ნათია კუჭუხიძე

ანტონ ქელბაქიანი

ნატალია ცაგარელი

მაია ცირამუა

# სასკოლო ავტონომიის პირობებში პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება

## სახელმძღვანელო მასწავლებლებისთვის

თბილისი

2020

სახელმძღვანელო დოკუმენტი მომზადებულია „ღია საზოგადოების ფონდის“ ფინანსური მხარდაჭერით. ავტორების მიერ კვლევის ფარგლებში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდის პოზიციას, შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

## სარჩევი


როგორ ვესაუბროთ უფროსკლასელ მოსწავლეებს ძალადობაზე? 4
I თემა - რა არის ძალადობა? 6
II თემა - ბულინგი და ბულინგის იდენტიფიკაცია 12
III თემა - თანასწორობა და დისკრიმინაცია 18
ტოლერანტობა 31
საკითხავი მასალა პედაგოგებისთვის 31
გაკვეთილის ჩატარების გეგმა 40
თანატოლთა მედიაცია 50
საკითხავი მასალა პედაგოგებისთვის 50
გაკვეთილის ჩატარების გეგმა 61
ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტები და ბავშვი და მართლმსაჯულება 65
საკითხავი მასალა მასწავლებლებისათვის 66
I თემა. ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები 66
II თემა. ბავშვი და მართლმსაჯულება 73

*მაია ცირამუა*

# როგორ ვესაუბროთ უფროსკლასელ მოსწავლეებს ძალადობაზე?

## (მოდული მასწავლებლებისათვის)

მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ძალადობა ერთ-ერთ წამყვან პრობლემადაა მიჩნეული. ძალადობას ვაწყდებით ყველგან - ოჯახში, სასწავლო დაწესებულებებსა თუ სამუშაო სივრცეში, ქუჩაში, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე. ზოგჯერ, აღმოვაჩენთ, რომ ძალადობრივი კომუნიკაცია ადამიანებისათვის ჩვეულებრივი ურთიერთობის ფორმაა, დამკვიდრებული ნორმაა, რაც თავისთავად ცხადია დიდ პრობლემას წარმოადგენს ნებისმიერი ტიპის საზოგადოებისათვის და შეიცავს ანტისოციალურ ქმედებებში გადაზრდის მაღალ რისკს, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, ჯერ კიდევ სასკოლო ასაკიდან დაიწყოს მუშაობა ადამიანების ცნობიერების ამაღლებასა და საკითხისადმი მგრძნობელობის გაზრდაზე.

წინამდებარე სასწავლო მასალა დაეხმარება პედაგოგებს წამოიწყონ დისკუსია მოსწავლეებთან, მიაწოდონ იფორმაცია ძალადობის სახეებსა და ფორმებზე, გამომწვევ მიზეზებზე და დაასწავლონ სოციალური უნარები, რომლებიც არაძალადობრივი კომუნიკაციისა და ქცევის პოზიტიური ნორმების დამკვიდრებას შეუწყობს ხელს.

სასწავლო პროგრამა მოიცავს შემდეგ თემებს:

- ძალადობის ფორმები;
- სასკოლო ბულინგი (თანატოლთა შორის ძალადობა)
- თანასწორობა და ტოლერანტობა.

მასალა მოიცავს: თეორიულ მიმოხილვას, საკითხებს თემატური დისკუსიისათვის და სავარჯიშოებს (როლური თამაშები, ტექნიკები თვითრეფლექსიისათვის).

მასწავლებელმა მუშაობის პროცესში შეიძლება გამოიყენოს შემდეგი მეთოდები:

***ინტერაქტიული მინი ლექცია***

მასწავლებელი მონაწილეებს მათთვის გასაგებ ენაზე აწვდის თეორიულ ინფორმაციას, მეცნიერული კვლევის შედეგებს, განიხილავს პრაქტიკულ მაგალითებს. პროცესი ინტერაქტიულია, სადაც მონაწილეებს შესაძლებლობა აქვთ თამამად დასვან შეკითხვები და ღიად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები.

***გონებრივი იერიში***

მეთოდი იდეების გენერაციის შესაძლებლობას იძლევა. ის მოითხოვს თითოეული მონაწილის ინდივიდუალურ ჩართულობას, თუმცა გადაწყვეტილება ერთობლივად მიიღება. მისი წარმატებით გამოყენებისათვის ჯგუფმა წინასწარ უნდა აღიაროს შემდეგი წესები:

- ნებისმიერი იდეისადმი არაგანსჯითი დამოკიდებულება;
- მთავარია იდეების რაოდენობა და არა ხარისხი;
- მონაწილეთა თანასწორუფლებიანობა;
- ყველა იდეა ფიქსირდება

გონებრივი იერიშის დადებითი მხარეებია: ის ახდენს შემოქმედებითი აზროვნების წახალისებას და სწავლების პროცესში პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას იძლევა, პროცესი საინტერესოა და განაპირობებს მთელი ჯგუფის ჩართულობას.

*დიკუსია*

აზრებისა და ცოდნის ვერბალური გაცვლის პროცესია. ლექციისაგან განსხვავებით ის ფოკუსირებულია ერთ კონკრეტულ ამოცანაზე და მსჯელობს მისი გადაწყვეტის გზებზე. თემაზე, რომელსაც ჯგუფი განიხილავს, საჭიროა მას წინასწარ რაიმე ცოდნა ან წარმოდგენა ჰქონდეს. თუ ახალ საკითხს ვეხებით, უმჯობესია დისკუსიას წინ უსწრებდეს მცირე თეორიული მიმოხილვა.

პროცესი უნდა იყოს სტრუქტურირებული - განისაზღვროს დროის რეგლამენტი, ასევე წინასწარ უნდა ვიცოდეთ მიზანი - რას ემსახურება დისკუსია? მასწავლებელი ამ პროცესში უფრო მოდერატორის ფუნქციას ასრულებს და მხოლოდ პროცესის მართვისა და საბოლოო მოსაზრებების შეჯამების ფუნქცია აქვს. დისკუსიის დროს ჯგუფი უნდა იყოს აქტიური და მნიშვნელოვანია მასწავლებელმა ხელი შეუწყოს აქტიურობის ბალანსის დაცვას, რომ მაქსიმალურად ყველა მონაწილემ გამოხატოს საკუთარი პოზიცია.

დისკუსიის სტიმულირებისათვის შეიძლება მასწავლეებლმა გამოიყენოს სხვადასხვა სახის თემატური მასალა: კვლევის შედეგები, მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ან დოკუმენტური ფილმები, ლიტერატურული ნაწარმოებები და სხვა.

*როლური თამაშები*

ეს არის მეთოდი, რომლის საშუალებირთაც მოსწავლეებს შეუძლიათ შეიძინონ პრაქტიკული გამოცდილება. როლური თამაში მოდელირებულ „სამყაროში“ მოგზაურობას ჰგავს, სადაც უფრო ადვილია პროცესის მიზეზ-შედეგობრივი ანალიზი. ის საშუალებას იძლევა უფრო ნაკლები რისიკის გაწევის ხარჯზე მოსწავლემ შეიძინოს ახალი ქცევითი ნორმები, ხერხები და გადაამოწმოს საკუთარი პრაქტიკული გამოცდილება. მოდელირებული სიტუაცია ახლოს უნდა იდგეს რეალობასთან. მოსწავლეებისათვის მიწოდებული ინსტრუქცია უნდა იყოს მარტივი და გასაგები, ასევე მონაწილეებს უნდა მიეცეთ თავისუფლება საკუთარი შეხედულებისამებრ შეასრულონ როლები და აქტიურად ჩართონ პროცესში საკუთარი შემოქმედებითი უნარები და ფანტაზია.

როლური თამაშის შედეგად მიღებული გამოცდილება ხანგრძლივია, თვითონ პროცესი კი სასიამოვნოა და უმეტეს შემთხვევაში ისინი ხალისით ერთვებიან პროცესში. შესაძლებელია იმის გაანალიზება თუ როგორ იქცევი თავად  და როგორ იქცევიან სხვები, რამდენად ფლობს მოცემულ უნარს და როგორ შეძლებს მოიქცეს მსგავს სიტუაციაში.

როლური თამაშის გამოყენებისას მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს  და დაიცვას პრინციპი „არავნო“, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლის ჩართულობისადმი დამოკიდებულება არ უნდა იყოს განსჯითი და კრიტიკული, არც ფასილიტატორის და არც ჯგუფის სხვა წევრების

მხრიდან. წახალისებული უნდა იყოს აქტიური ინტერაქცია და საკუთარი პოზიციის გამოხატვა. როლურმა თამაშმა ბიძგი უნდა მისცეს მოსწავლის თვითრეფლექსიის უნარს და შესძინოს მას ახალი გამოცდილება, რომელსაც რეალურ ცხოვრებაში გადაიტანს. ცხადია, როლური თამაშის შემდგომ უფრო ეფექტიანია დისკუსიის გამოყენება, რათა მასწავლებელს შესაძლებლობა მიეცეს შეაჯამოს მიღებული გამოცდილება.

# I თემა - რა არის ძალადობა?

*აქტივობა 1 – გონებრივი იერიში*

თეორიული მასალის მიწოდებამდე მასწავლებელს შეუძლია მოაწყოს გონებრივი იერიში თემაზე - რა არის ძალადობა? და ყველა მოსაზრება ჩამოწეროს სადემონსტრაციო დაფაზე და შეაჯამოს გამოხატული მოსაზრებები.

*აქტივობა 2 - თამაში წყვილებში - „მუშტი“*

მასწავლებელი ჯგუფს ყოფს წყვილებად და აძლევს შემდეგ დავალებას: „ერთ-ერთ თქვენგანს შეკრული აქვს „ძლიერი მუშტი“, თანამიწყვილემ ნებისმიერი მეთოდის გამოყენებით უნდა გაახსნევინოს მუშტი მეორე მოთამაშეს“ - მასწავლებელი აკვირდება თამაშის პროცესს, ინიშნავს საგულისხმო მომენტებს და რამდენიმე წუთის შემდეგ წყვილებს სთხოვს გაუზიარონ კლასს შთაბეჭდილებები და აღწერონ ის მეთოდები, რომლითაც მიაღწიეს შედეგს.

საგულისხმოა ის მომენტი, რომ, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ძირითადად ამოცანის შესასრულებლად ადამიანები ძალადობრივ მეთოდებს იყენებენ - ფიზიკური ძალის დემონსტრირებას, მუქარას, შანტაჟს, იძულებას და ა. შ. თუმცა, მონაწილეთა შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ძალდატანების გარეშე ახერხებენ მიზნის მიღწევას.

სავარჯიშოს შემდეგ მასწავლებელი აწყობს დისკუსიას, სადაც აქცენტს სვამს შემდეგ საკითხებზე:

- როგორ ფიქრობთ, მიუხედავად იმისა, რომ ინსტრუქციაში არანაირი მითითება არ ყოფილა, რატომ ვცდილობთ ხოლმე მიზნის მიღწევას ძალის გამოყენებით?
- როგორ ფიქრობთ განხილული შემთხვევებიდან, რომელი იყო ეფექტინი გზა, სადაც არცერთ მხარეს არ დასჭირდა ძალის დემონსტრირება?
- რას გვასწავლის ეს სავარჯიშო?

*აქტივობა 3 - ინტერაქტიული მინი ლექცია*

მასწავლეებლი მოსწავლეთა ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისად, მათთვის გასაგებ ენაზე, განიხილავს შემდეგ თეორიულ მასალას:

**ძალადობის დეფინიცია**

რა შეიძლება მივიჩნიოთ ძალადობად? სამწუხაროდ, ადამიანები ხშირად ვერ უძლებენ ცდუნებას საკუთარი უპირატესობა არ გამოიყენონ სხვა ადამიანის საწინააღმდეგოდ. თუმცა, ცხადია სიტყვა „უპირატესობა“ სუბიექტურ თვითაღქმას უკავშირდება. მნიშვნელოვანია დავფიქრდეთ - აძლევს თუ არა ადამიანს უფლებას ფიზიკური სიძლიერე დაჩაგროს თავისზე სუსტი? ან ეკონომიკურად ძლიერმა ადამიანმა გააკონტროლოს ეკონომიკურად სუსტი? ასაკით უფროსმა - პატარა და ა. შ. - ნებისმიერ ქმედებას, რომლის მიზანიცაა გააკონტროლოს ან დათრგუნოს სხვა ადამიანი და ამით მიაყენოს მას ფიზიკური, ემოციური, ეკონომიკური თუ სოციალური ზიანი, ძალადობად მიიჩნევენ.

არსებობს ძალადობის შემდეგი სახეები:

- ოჯახში ძალადობა;
- გენდერული ძალადობა;
- ბავშვთა მიმართ ძალადობა და უგულებელყოფა;
- თანატოლთა შორის ძალადობა (ბულინგი).

ოჯახში ძალადობა

ოჯახური ძალადობა არის განმეორებადი და ხშირი ციკლი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ან ეკონომიკური შეურაცხყოფისა, რომელსაც ახორციელებს ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი მეორეზე, მასზე კონტროლის ან ძალაუფლების მოპოვების მიზნით.

მნიშვნელოვანია ოჯახში ძალადობის კონტექსტში განვიხილოთ **მითები და სინამდვილე ოჯახში ძალადობის შესახებ**[1]**:**

- **მითი:** ძალადობა და ოჯახში ძალადობა ღარიბ, შეჭირვებულ და სოციალურად დაუცველ, ასევე დაბალი განათლების მქონე ოჯახებში ხდება.
  **რეალობა:** ძალადობის ფენომენი ზოგადად და, მათ შორის, ოჯახში ძალადობა, არ არის დამოკიდებული სოციალურ მდგომარეობაზე, შემოსავალზე და ფუფუნების საგნებზე.
- **მითი:** ოჯახში ძალადობა მხოლოდ ცოლ-ქმრის საქმეა და არც სახელმწიფო და არც საზოგადოება მასში არ უნდა ჩაერიოს.
  **რეალობა:** ოჯახში ძალადობა ნებისმიერ ოჯახის წევრთა შორის, არ არის მხოლოდ ოჯახის საქმე, ვინაიდან ძალადობა ოჯახში არის სახელმწიფოში ჩადენილი დანაშაული, რომელიც ლახავს მსხვერპლის უფლებებს (და მის სიცოცხლეს და ჯანმრთელობას უქმნის საფრთხეს)
- **მითი**: მსხვერპლი იმსახურებს ძალადობას, მათ შორის სექსუალურ ძალადობას, რადგან ხშირად თავად ახდენს მოძალადის პროვოცირებას.
  **რეალობა:** ჩადენილი ძალადობის გამომწვევი მიზეზი მსხვერპლის ქცევა კი არ არის, არამედ მოძალადის მხრიდან ძალაუფლებისა და კონტროლის განხორციელებაა.
- **მითი:** როცა მსხვერპლს არ მოსწონს ძალადობრივი გარემო, შეუძლია დატოვოს ეს გარემო და წავიდეს.

[1] გაკვეთილის ეს ნაწილი ხელს შეუწყობს საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპებისა და მითების მსხვრევას და ასევე, სწორ მიმართულებას მისცემს მოსწავლეებს მოახდინონ ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება, გაზრდის სენსიტიურობას მსხვერპლის მიმართ.

რეალობა: არსებობს მრავალი მიზეზი, რაც მსხვერპლს მოძალადის მიტოვებაში ხელს უშლის.

- **მითი:** მოძალადე ძალადობის მომენტში ალკოჰოლის ან ნარკოტიკის მოქმედების ქვეშაა.
  **რეალობა:** ყველა შემთხვევისათვის დამახასიათებელი გარემოება ეს არ არის, მით უმეტეს, ძალადობის გამომწვევი მიზეზი.
- **მითი:** მოძალადეები გაუწონასწორებელი ფსიქიკის მქონე ადამიანები არიან.
  **რეალობა:** ხშირ შემთხვევაში მოძალადეები ჩვეულებრივ ყოფაცხოვრებაში სავსებით გაწონასწორებული ადამიანები არიან. ისევე როგორც ყველა ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ადამიანი, მოძალადე არ არის და აუცილებელი არაა, რომ მოძალადე იყოს.
- **მითი:** ძალადობას სტრესი და ბრაზი იწვევს.
  **რეალობა:** ძალადობა ძალაუფლების და კონტროლის სურვილითაა გამოწვეული და გაცნობიერებული არჩევანია. გარდა ამისა, აუცილებელია აღინიშნოს ისიც, რომ ყველა სტრესის ან ბრაზის დროს ძალადობა არ ხდება.

<u>გენდერული ძალადობა</u>

ცნება „გენდერი" გულისხმობს ბიოლოგიური სქესის და მასთან დაკავშირებული სოციალური როლის გამიჯვნას, მაგალითად, „გენდერული ძალადობა ქალის მიმართ ხორციელდება მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქალია!"

ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (ე.წ. სტამბოლის კონვენცია) მე-3 მუხლის მიხედვით:

**ქალის მიმართ ძალადობა განიმარტება როგორც *<u>ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა წინააღმდეგ მიმართული დისკრიმინაციის ფორმა,</u>* რაც გულისხმობს გენდერულ (სქესის, სექსუალური ორიენტაციის ან გენდერული იდენტობისა და გამოხატვის) საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ყველა იმ აქტს, რომელსაც შედეგად მოაქვს ან სავარაუდოდ შედეგად მოიტანს ქალების მიმართ მიყენებულ ფიზიკურ, სქესობრივ, ფსიქოლოგიურ ან ეკონომიკურ ზიანს ან ტანჯვას, მათ შორის ასეთი აქტების ჩადენის მუქარას, იძულებას ან თავისუფლების თვითნებურად აღკვეთას.**

გენდერული ნიშნით ძალადობა არის ძალადობა, რომელიც მიმართულია ქალის წინააღმდეგ, ან ეხება მას არათანაბარზომიერად, მხოლოდ იმიტომ რომ ის არის ქალი. (CEDAW მუხლი 19, სტამბოლის კონვენცია, მუხლი 3)

**ოჯახში ძალადობის 90%-ზე მეტი მამაკაცის მხრიდან ქალზე ვრცელდება. ამიტომ ეს პრობლემაც გენდერული საკითხების კონტექსტში განიხილება.**

გაეროს ქალთა ფონდის მიერ შესწავლილი იქნა გენდეული ნიშნით ძალადობა საქართველოში, რომლის შედეგებსაც შეგიძლიათ გაეცნოთ შემდეგ დიაგრამაზე:




გენდერული ძალადობის ძირითადი მკვებავია „გენდერული როლები“ და სტერეოტიპები.

მინი ლექციის ამ ნაწილში მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს სთხოვოს გაიხსენონ რა სახის გენდერული სტერეოტიპების შესახებ სმენიათ და ჩამოწეროს ისინი სადემონსტრაციო დაფაზე.

მაგალითად: „ქალის ადგილი პოლიტიკაში არ არის!“ „ბიჭები არ ტირიან!“ „ქალის ადგილი სამზარეულოშია!“ და სხვა. ასევე, მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს შეახსენოს გამოთქმები, ანდაზები, იდიომები, რომლებიც განამტკიცებს, კვებავს გენდერულ სტერეოტიპებს[2]:

- ლამაზი ქალი ცოლად შეირთე და წყალში გადავარდიო.
- 16 წლის ქალი ან ქმრის ან ქვის ქვეშო.
- ავი ცოლის ყოლას ავი ძაღლის ყოლა სჯობიაო.
- არა მწამს არც დიაცისა, არცა მოწმენდილი ცისა.
- ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო.
- ქალი დოქივითაა - ყურს როგორც მიაბავ, ისე მოიხმარო.

<u>ბავშვთა მიმართ ძალადობა და უგულებელყოფა</u>

---

[2] გაკვეთილის ეს ნაწილი შეიძლება გარდამტეხი აღმოჩნდეს, რადგან მისი ფუნქციაა ხელი შეუწყოს სტერეოტიპების მსხვრევას და დააფიქროს მოსწავლეები იმაზეც, თუ როგორ აისახება ასეთი გამონათქვამები ადამიანებს შორის დამოკიდებულებაზე.

ბავშვთა მიმართ ძალადობა არის ნებისმიერი ქმედება, რომელიც აკნინებს ან დაზიანებით ემუქრება ბავშვის ფსიქიკურ და ფიზიკურ კეთილდღეობას, საფრთხეს უქმნის მის ჯანმრთელობას და განვითარებას.

ბავშვთა მიმართ ძალადობის ფორმები:

- ფიზიკური ძალადობა: ნებისმიერი ფიზიკური ზემოქმედება, რომელიც ტკივილს აყენებს ბავშვს და/ან იწვევს სხეულის სხვადასხვა სიმძიმის დაზიანებას. ფიზიკური ძალადობა გულისხმობს დარტყმას, ხელის კვრას, სხეულის დაზიანებას, თმის მოქაჩვას, ყურის აწევას (თუნდაც აღმზრდელობითი მიზნით) ან ტრავმის მიყენების მცდელობას.
- ემოციური (ფსიქოლოგიური) ძალადობა: სიტყვიერი ან/და ქცევითი ზემოქმედებით ბავშვში შიშის, დამცირების, მარტოობისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის საზიანო სხვა მდგომარეობების პროვოცირება.
  - ქცევა, რომლის მიზანია ბავშვის ქცევის, ემოციების კონტროლი.
  - დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა.
  - მუქარა.
  - ბავშვის შეკითხვის უპასუხოდ დატოვება.
  - სამომავლო ქცევის უარყოფითი პროგნოზი.
  - დაბრალება.
- სექსუალური ძალადობა: ბავშვის გამოყენება სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და/ან გამორჩენის მიზნით: სექსუალური მეტყველებით თუ შენიშვნებით დევნა, სექსუალური გარყვნა, ეროტიული ელფერის ალერსი, თვალთვალი, ბავშვისთვის პორნოგრაფიული სურათების გადაღება, სექსუალური შინაარსის ფილმების ყურების ან პორნოგრაფიული ჟურნალების დათვალიერების ნებართვა ან ხელშეწყობა, გაუპატიურება ან გაუპატიურების მცდელობა, სასქესო ორგანოების დემონსტრირება, ღია საუბრები სექსზე ბავშვის შოკირების ან მისი ცნობისმოყვარეობის გაღვიძების მიზნით, სისხლის აღრევა[3].
- უგულებელყოფა: ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური საჭიროებების ხანგრძლივი დაუკმაყოფილებლობა, ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის აუცილებელი საჭიროებების (საკვები, საცხოვრებელი, ტანსაცმელი, მოვლა, მეთვალყურეობა, ყურადღება, განათლება, სამედიცინო დახმარება და სხვა) რეგულარული დაუკმაყოფილებლობა მშობლის თუ მეურვის მხრიდან, ობიექტური მიზეზების გამო (სიღარიბე, ფსიქიკური დაავადებები, გამოუცდელობა) ან ამგვარი მიზეზების გარეშე.

<u>თანატოლთა შორის ძალადობა (ბულინგი)</u>

სამეცნიერო ლიტერატურაში თანატოლთა, თანასწორთა შორის სასტიკი მოპყრობის აღსანიშნავად იყენებენ ტერმინებს - ბულინგი (ინგლისურად **Bully** - ხულიგანი, მოძალადე) და

[3] გაკვეთილის დროს მასწავლებელმა თავი არ უნდა აარიდოს მსგავსი ინფრომაციის მოსწავლეებისათვის მიწოდებას, რადგან მას დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისთვის

მობინგი (mob - ბრბო, **mobbing** - თავდასხმა, შევიწროება). ქართულ ენაში კი მისი ყველაზე ზუსტი შესატყვისია „ჩაგვრა“. ძალადობის ეს ფორმა გულისხმობს დაშინებას, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ შევიწროებას, დევნას იმ მიზნით, რომ სხვა ადამიანში გამოიწვიოს შიში და მორჩილება.

დღესდღეობით ყველაზე გავრცელებულია როლანდის (Roland, 1988) განმარტება - ბულინგი ეს არის ხანგრძლივი ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა ერთი ინდივიდის ან ჯგუფის მხრიდან მეორე ინდივიდზე ან ჯგუფზე, რომელსაც არ შეუძლია საკუთარი თავის დაცვა კონკრეტულ სიტუაციაში.[4]

*აქტივობა 4 - მუშაობა მცირე ჯგუფებში:*

მასწავლებელი კლასს ჰყოფს სამ ჯგუფად და თითოეულ ჯგუფს ურიგებს სიტუაციურ ამოცანას:

## I სიტუაცია

თამარი 20 წლისაა. ის 5 წლის წინ დაქორწინდა თავისი ნების საწინააღმდეგოდ. 21 წლის მერაბმა მოიტაცა, როდესაც სკოლიდან სახლში ბრუნდებოდა. თამარს სწავლა აღარ გაუგრძელებია, რადგან ქმრის ოჯახი თვლიდა, რომ ქალმა ოჯახს უნდა მიხედოს და შვილები აღზარდოს. პირველი შვილი 16 წლის ასაკში შეეძინა და ბავშვს სახელი მეუღლემ და დედამთილმა შეარქვეს. თამარი ძირითადად საოჯახო საქმიანობითა და შვილის აღზრდითაა დაკავებული. რამდენიმე დღის წინ უახლოესმა მეგობარმა თამარი დაბადების დღეზე დაპატიჟა, თუმცა ქმარმა მას კატეგორიულად აუკრძალა წვეულებაზე წასვლა და მანქანის გასაღები დაუმალა.

მერაბი თამარს ყოველთვიურად 500 ლარს აძლევს საყიდლებისთვის, თუმცა მისი ნებართვის გარეშე ქალი ვერანაირ შენაძენს ვერ აკეთებს. მეუღლე მისგან მოითხოვს აწარმოოს საყიდლებისა და დანახარჯების სია და თვის ბოლოს წარუდგინოს და სამაგიეროდ ჰპირდება, რომ წლის ბოლოს ახალი მანქანით დაასაჩუქრებს. თამარი თავისი ქმრის მადლიერია და ტელეფონით საუბრისას ხშირად ეუბნება მეგობრებს, რომ ქმარი ანებივრებს - ჯერ მანქანის მართვის კურსებზე გაუშვა, შემდეგ კი დაბადების დღეზე ავტომობილი აჩუქა და ახლა ახალ მანქანასაც ჰპირდება.

**დავალება:** შეაფასეთ სიტუაცია და მონიშნეთ ქმედებები, სადაც შეამჩნიეთ ძალადობის ნიშნები. მიუთითეთ რა სახის ძალადობასთან გვაქვს საქმე და მოიყვანეთ არგუმენტები.

## II სიტუაცია

შიო 5 წლისაა. მას არ უყვარს საბავშვო ბაღში სიარული და ყოველ დილით ტირილით იღვიძებს, რაზეც მამა ბრაზობს და ყვირილს იწყებს ხოლმე. დღეს დილით დედამ გადაწყვიტა შიო ბაღში არ გაეშვა და სამსახურიდან თავი გაეთავისუფლებინა, თუმცა მეუღლემ ჯერ მას დაუყვირა - „შენი ბრალია, ზედმეტად ანებივრებო“, ხოლო შემდეგ შიოს ახალი სათამაშოები დაუმალა და უთხრა, რომ თუ დღეს ბაღში არ წავა, არასოდეს ჩაუშვებს ეზოში სათამაშოდ. შიო მამის ნათქვამზე გაბრაზდა, მისი ნაჩუქარი ტანსაცმელი მიყარ-მოყარა და ტირილს კიდევ უფრო

[4] ძალადობის ამ ფორმის შესახებ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ გაკვეთილზე - ბულინგი და ბულინგის პრევენცია.

მოუმატა. რის გამოც დედამ ყური აუწია და უთხრა - თუ ახლავე არ შეწყვეტს ტირილს, სახლში მარტოს დატოვებს.

**დავალება:** შეაფასეთ სიტუაცია და მონიშნეთ ქმედებები, სადაც შეამჩნიეთ ძალადობის ნიშნები. მიუთითეთ რა სახის ძალადობასთან გვაქვს საქმე და მოიყვანეთ არგუმენტები.

III სიტუაცია

უკვე მერამდენე შემთხვევაა, როცა დიტო შესვენების შემდეგ საკლასო ოთახში ბრუნდება, აღმოაჩენს, რომ მისი ნივთები იატაკზე ყრია. როცა ის ამაზე ბრაზობს, კლასელები დასცინიან და „შარიანს" ეძახიან. როცა მასწავლებელმა ამის გამო კლასს შენიშვნა მისცა, ნინიმ წამოიძახა - დიდი ამბავი, მას, გაკვეთილი მაინც არასოდეს იცის და რაში სჭირდება რვეული და წიგნებიო?! რაზეც თანაკლასელებმა ხმამაღლა გაიცინეს. დიტო გაბრაზდა, მერხს ფეხი ჰკრა და საკლასო ოთახიდან გაიქცა.

**დავალება:** შეაფასეთ სიტუაცია და მონიშნეთ ქმედებები, სადაც შეამჩნიეთ ძალადობის ნიშნები. მიუთითეთ რა სახის ძალადობასთან გვაქვს საქმე და მოიყვანეთ არგუმენტები.

*აქტივობა 5* - მასწავლებელი აჯამებს გაკვეთილს და მოსწავლეებისაგან იღებს უკუკავშირს.

## II თემა - ბულინგი და ბულინგის იდენტიფიკაცია

*აქტივობა 1 - გონებრივი იერიში*

თეორიული მასალის მიწოდებამდე მასწავლებელს შეუძლია მოაწყოს გონებრივი იერიში თემაზე - რა არის ბულინგი? რა ნიშნებით შეუძლიათ ამოიცნონ თანატოლებს შორის ურთიერთობა ჩვეულებრივი ბავშვური ხუმრობაა თუ ჩაგვრის მახასიათებლებს შეიცავს?

მასწავლებელი ინიშნავს მოსწავლეთა მოსაზრებებს და ბოლოს შეაჯამებს.

*აქტივობა 2 - სიტუაციური ამოცანის განხილვა ჯგუფური დისკუსიის მეთოდით*

მასწავლებელი კლასს განსახილველად აძლევს შემდეგ სიტუაციას: ლიზა მეათე კლასელია. ის კლასის ერთ-ერთი წარმატებული მოსწავლეა და გაკვეთილიც მუდამ მზად აქვს. ქიმიის გაკვეთილზე ეკა ლიზას გვერდით ზის, ნიკო კი უკან. დღეს მათ ქიმიის საკონტროლო უნდა დაწერონ. გაკვეთილის დაწყებამდე ეკა ლიზას მიმართავს:

- იცოდე, მაშინდელივით არ გააკეთო ვითომ რომ ვერ მოასწარი ჩემი ვარიანტის დაწერა.
- ცოტა ისე დაჯექი რო გადავიწერო, მე ხო არ გთხოვ ჩემი ვარიანტი დაწერე თქო - უკნიდან მიაძახა ნიკომ.

იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ რთული დავალების შესრულება უწევდა და მასწავლებლის თვალსაც ვერაფერს გამოაპარებდა, ლიზა იძულებული იყო კლასელების მოთხოვნაზე უარი არ ეთქვა და დახმარებასაც შეეცადა, მაგრამ მასწავლებელმა შეამჩნია და რვეული ჩამოართვა:

- ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ ერთმანეთს დათვურ სამსახურს აღარ გავუწევთ? უკვე მერამდენე შემთხვევაა ლიზა?

საორიენტაციო შეკითხვები:

1. თქვენი აზრით რას გრძნობს ახლა ლიზა?
2. როგორ ფიქრობთ უნდა გადააწერინოს თუ არა ლიზამ კლასელებს საკონტროლო? რატომ? დაასაბუთეთ.
3. რას დაარქმევდით ეკას და ნიკოს ქცევას?
4. რატომ საუბრობს მასწავლებელი დათვურ სამსახურზე?
5. რა იქნებოდა საუკეთესო გამოსავალი შექმნილი ვითარებიდან?[5]

შემთხვევის განხილვის შემდგომ მასწავლებელი აჯამებს თემას და საკითხში უფრო სიღრმისეულად გასარკვევად კლასს თეორიულ მასალას აწვდის.

*<u>აქტივობა 3 - ინტერაქტიული მინი ლექცია</u>*

მასწავლეებლი მოსწავლეთა ასაკობრივი კატეგორიის შესაბამისად, მათთვის გასაგებ ენაზე, განიხილავს თეორიულ მასალას.

პირველ რიგში შევეხოთ საკითხს - როგორ და რა ნიშნებით შეიძლება ამოვიცნოთ ბულინგი? ბულინგის იდენტიფიცირებისათვის მნიშვნელოვანია ყურადღება გავამახვილოთ და დავეყრდნოთ შემდეგ ნიშნებს:

- **ძალთა უთანასწორობა:** ბავშვი, რომელიც ბულინგს მიმართავს, იყენებს მექანიზმებს, როგორიცაა, ფიზიკური ძლიერება, მსხვერპლის შემარცხვენელ, შემავიწროებელ (დამაზიანებელ) ინფომაციაზე ხელმისაწვდომობა ან პოპულარობა, იმისთვის, რომ გააკონტროლოს ან ზიანი მიაყენოს სხვებს. ძალთა უთანასწორობა შესაძლოა შეიცვალოს დროთა განმავლობაში და სხვადასხვა სიტუაციებში, მიუხედავად იმისა ჩართულნი არიან თუ არა ერთი და იგივე ადამიანები.
- **განმეორება:** ბულინგის ქცევები გამოვლინდება ერთხელ ან აქვს პოტენცია იმისა, რომ განმეორდეს მეტჯერ.
- **ჩაგვრის მიზანმიმართულობა**: გაცნობიერებული განზრახვა, ფიზიკური ან სულიერი ტკივილი მიაყენოს მსხვერპლს.

ბულინგის დროს, როგორც ოლვეუსის[6] კვლევებმა აჩვენეს ზიანდება არა უშუალოდ მსხვერპლი, არამედ ისიც, ვინც ამ მოვლენის შემსწრე და მაყურებელია (bystanders). შესაბამისად პრობლემა ბევრად უფრო მასშტაბურია, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს.

ბულინგის განმახორციელებელი (Bully) - პირი, რომელიც ახდენს ფიზიკური, სოციალური ან ინტელექტუალური უპირატესობის დემონსტრირებას სხვებისადმი მიზანიმართული ფიზიკური ან ემოციური ზიანის მიყენებით.

---

[5] აღნიშნული აქტივობა კარგი სტარტია, რომ მასწავლებელმა შემოიტანოს თეორიული მასალა და აამაღლოს მოსწავლეების ცნობიერება ბულინგის მახასიათებლებზე.

[6] მეცნიერი, რომელმაც გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან დაიწყო საკითხის კვლევა.

მსხვერპლი - პირი, რომელიც არის ბულინგის სამიზნე და რომლის მიმართაც ხორციელდება მიზანმიმართული ძალადობა.

ბულინგის შემსწრე (bystander) - პირი, რომელიც არის მოვლენების შემსწრე და თავისი პოზიციით ან პასიურია და ეთანხმება, ან იგნორირებას უკეთებს, ან ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

როგორც კვლევები აჩვენებს არ არის დიდი სხვაობა ბულინგის განმახორციელებლებსა და მსხვერპლს შორის. 75% მოსწავლეებისა, რომლებიც აღმოჩდნენ მსხვერპლის როლში, თავად გვევლინებიან მოძალადის როლში (Classroom Bullying Prevention - Melissa Allen Heath, Tina Taylor Dyches).

**ქცევითი პატერნები, რომლებიც დამახასიათებელია ბულინგისათვის:**

- ☐ დამაკნინებელი მეტსახელების შერქმევა;
- ☐ დაცინვა;
- ☐ მუქარა;
- ☐ შანტაჟი;
- ☐ ხელისკვრა;
- ☐ ფიზიკური შეურაცხყოფა (ხელის წამორტყმა, წიხლის ამორტყმა და სხვა) ;
- ☐ ჯგუფიდან გარიყვა;
- ☐ დამამცირებელი წარწერები;
- ☐ ნივთების წართმევა, დაზიანება;
- ☐ იგნორირება;
- ☐ მუშტებით ან ფეხებით ცემა;
- ☐ გამოძალვა;
- ☐ ცილისწამება;
- ☐ ჭორების გავრცელება და სხვა.

ბულინგის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, თუ ის უმრავლესობისაგან რაიმე ნიშნით განსხვავდება.

არასოდეს არ უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ვინმე მსხვერპლი ხდება ის „ცუდია", „სუსტია" ან „არასრულფასოვანია". ძალადობა ყოველთვის ხდება არა მსხვერპლის, არამედ მოძალადის მიზეზით და აქ წამყვანია მისი მოტივი მოიპოვოს ვინმეზე ან რამეზე კონტროლი და ზიანი მიაყენოს სხვას, რითაც ხშირად მოძალადე თავისი უპირატესობის ილუზიას იქმნის. სინამდვილეში ბულინგში ჩართულ ორივე მხარეს და ასევე ე.წ. „Bystander"-ებსაც სიტუაციაში, საკუთარ თავში გარკვევა და დახმარება სჭირდებათ, რადგან თუ დროული ჩარევა არ ხდება, ხშირად მსხვერპლი სხვის ჩაგვრას იწყებს ან მუდმივად დაჩაგრულის როლში ხდება, ხოლო მოძალადე კი იქმნის ილუზიას, რომ სხვების ჩაგვრას მისთვის უპირატესობისა და წარმატების განცდა მოაქვს და მომავალში შეიძლება ის სერიოზული პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს ან სულაც კრიმინალურ ქმედებებამდე მივიდეს.

ბულინგის ფორმები:




*<u>ფსიქოლოგიური ბულინგი</u>*

**ვერბალური ბულინგი** არის უხეში გამოთქმები ან განზრახ დაწერილი უხეში სიტყვები, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- გამოჯავრება;
- ზედმეტსახელების დაძახება;
- შეუსაბამო სექსუალური შინაარსის კომენტარები;
- გამოწვევა ძალადობრივი, უხეში კომენტარებით;
- მუქარა, რომ ზიანს მიაყენებს სხვას.

**სოციალური ბულინგი** გულისხმობს სხვისი ღირსებისა და რეპუტაციის შელახვას, ურთიერთობების გაფუჭებას, რომელიც მოიცავს შემდეგს:

- განზრახ გარიყვას ჯგუფიდან;
- სხვა ბავშვებისთვის იმის თქმას, რომ არ ემეგობრონ კონკრეტულ ადამიანს;
- მასზე ჭორების გავრცელებას;
- მის შერცხვენას საჯაროდ.

**კიბერ-ბულინგი** არის ბულინგის ფორმა, რომელსაც ციფრულ სამყაროში ვხვდებით, იქნება ეს:

- სოციალური მედია: ფეისბუქი, ინსტაგრამი, სნეპჩათი, ტვიტერი;
- მოკლე ტექსტური შეტყობინებები;
- მეილი და სხვ.

კიბერ-ბულინგის მნიშვნელოვანი ასპექტებია ის, რომ მუდმივია და რთულად შესამჩნევი.

*კიბერ - ბულინგის ფორმებია:*

*შევიწროება* - ამ დროს ადგილი აქვს შეურაცხმყოფელი, უხეში მესიჯების გაგზავნას, რომელიც თავისი შინაარსით ძალადობრივია. ასევე, დამამცირებელი კომენტარები პოსტებზე, ფოტოებზე, ჯგუფურ დიალოგში ან ონლაინ-თამაშებში.

*რეპუტაციის შელახვა* - როდესაც ინდივიდი სხვა ადამიანის შესახებ აგზავნის ცრუ ინფორმაციას.

*ალის მოდება (აგიზგიზება)* - როდესაც ადამიანი მიზანმიმართულად იყენებს დამამცირებელ ენას ონლაინ დისკუსიის დროს და იწყებს ჩხუბს.

*პერსონაცია (სხვის მაგივრად თავის გასაღება)* - როდესაც ადამიანი გატეხავს სხვის მეილს ან ნებისმიერ სოციალურ ქსელს და გამოიყენებს სხვის იდენტობას იმისთვის, რომ დაწეროს, გააზიაროს შეურაცხმყოფელი პოსტები სხვებზე.

*კიბერ-სტალკერობა* - ამ დროს ადგილი აქვს დამაზიანებელი, შემავიწროებელი, პირადი შინაარსის მესიჯების გაგზავნას, რომელიც მუდმივად მეორდება, ან ისეთ ონლაინ აქტივობებში ჩართვას, რომელიც აშინებს სხვა ადამიანს და საფრთხეს უქმნის მის უსაფრთხოებას.

*გაძევება/მოშორება* - როდესაც სხვები მიზანმიმართულად ტოვებენ ადამიანს ჯგუფს გარეთ, ჯგუფურ ტექსტურ შეტყობინებებში, ონლაინ თამაშებში თუ ა.შ.

*ფიზიკური ბულინგი*

ფიზიკური ბულინგი გულისხმობს სხვა ადამიანის სხეულის ან საკუთრების დაზიანებას:

- დარტყმა/ამორტყმა/ბწკენა;
- შეფურთხება;
- ფეხის დადება(წაბორძიკება);
- ხელის კვრა;
- სხვისი ნივთის დაუკითხავად აღება ან გატეხვა/გაფუჭება/დამალვა;
- ხელით უხეში ჟესტების გაკეთება, რომელიც სხვას ღირსებას ულახავს.

ბულინგი შეიძლება იყოს ღია, გაცხადებული და ფარული, როცა ზედაპირზე არ ჩანს დამამცირებელი დამოკიებულება და შესაძლოა მოძალადე მალავდეს, ნიღბავდეს მას, ამ დროს რთულია მისი როგორც იდენტიფიცირება, ასევე აღკვეთაც.

პირდაპირია ბულინგი, როცა თანატოლები ბავშვს ღიად აყენებენ შეურაცხყოფას, თავს ესხმიან, ხელს კრავენ, საჯაროდ დასცინიან და ა.შ.

ირიბი ბულინგის დროს კი ბავშვს ტკივილს აყენებენ უშუალო აგრესიის გამოყენების გარეშე. მაგალითად, არ ელაპარაკებიან, არ აძლევენ საერთო საქმიანობაში ჩართვის საშუალებას, ტოვებენ ონლაინ ჯგუფის გარეთ, ზოგჯერ არც კი ესალმებიან და სხვა.

***აქტივობა 4 - დისკუსია***

თეორიული მასალის მიწოდების შემდეგ მასწავლებელი ცდილობს მოსწავლეებთან ერთად შეთანხმდეს საკითხზე - როგორ დავძლიოთ ბულინგი? როგორ შეიძლება ვიმოქმედოთ თუ ჩვენს გვერდით მყოფ მოსწავლეს ჩაგრავენ? არის თუ არა დასმენა ან „ჩაშვება“, თუ ხმას აიმაღლებ საკუთარი ან სხვა ადამიანის მიმართ ძალადობრივი მოპყრობის გამო? დისკუსიის წამოსაწყებად მასწავლებელი კლასს სთავაზობს შემდეგ სიტუაციურ ამოცანას:

**სიტუაციური ამოცანა** - ერთ დღეს ნიკა თავის თანაკლასელ დიტოს ეუბნება, რომ ის მათსავე თანაკლასელს გიოს ფულს სძალავს.

- მომისმინე, რაღაც უნდა გითხრა და საიდუმლოდ შეინახე იცოდე, არავისთან წამოგცდეს. დღეს გიომ 20 ლარი უნდა მომიტანოს, აუცილებლად მჭირდება და შენ უნდა დამეხმარო.
- როგორ?
- როგორ და პირველი გაკვეთილის შემდეგ სპორტის დარბაზში ჩახვალ, იქ მოგიტანს და გამოართვი, კარგად შეინახე და გაკვეთილების ბოლოს სკოლის გასასვლელთან მომიტანე.
- რომ არ მოიტანოს?
- მოიტანს! არ მოიტანს და ხვალ ორჯერ მეტი ექნება მოსატანი!

როგორ უნდა მოიქცეს დიტო? - ეს არის შეკითხვა, რაზეც მოსწავლეები უნდა შეეცადონ პასუხის პოვნას.

მასწავლებელს ასევე შეუძლია დისკუსიის პროცესში შემოიტანოს დამატებითი გარემოებები, რაც მოსწავლეებს გაუადვილებს სწორ პოზიციამდე მისვლას:

I. როგორ უნდა მოიქცეს დიტო? - თუ დიტომ იცის, რომ ნიკას კლასში ბევრი თანამოაზრე ჰყავს, რადგან ის ლიდერია და მისი დავალების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეგობრებს დაკარგავს და მარტო დარჩება.
II. როგორ უნდა მოიქცეს დიტო? - თუ დიტომ იცის, რომ ნიკას ფული მეგობარ გოგონასთან ერთად კინოში წასასვლელად სჭირდება?
III. როგორ უნდა მოიქცეს დიტო? – თუ დიტოს მიაჩნია, რომ ნიკა ამ საქციელით გიოს ფულს სძალავს, თანაც მასზე ზეწოლას ახორციელებს, თვლის, რომ ეს არასწორი საქციელია და ჩაგვრაა?
IV. როგორ ფიქრობთ რა იქნებოდა ამ სიტუაციიდან საუკეთესო გამოსავალი?

დისკუსიის ბოლოს მასწავლებელი შეაჯამებს მოსწავლეთა მოსაზრებებს და გადადის შემდეგ აქტივობაზე:

***<u>აქტივობა - 5</u>*** - დისკუსიის შემდგომ მასწავლებელი მოსწავლეებს ესაუბრება ე. წ. „bystander“-ის (შემსწრეების) როლზე და გააცნობს ანტი-ბულინგური ქცევის მოდელს:

არსებობს „bystander“-თა მოქმედების ამდაგვარი ალგორითმიც, რომელიც შემდეგი აკრონიმის სახითაა შემოთავაზებული - TELL IT[7] (თქვი!):

| | |
|---|---|
| Think before you react | იფიქრე, ვიდრე იმოქმედებ! |
| Express yourself — clearly state how you feel | ცხადად გამოხატე, რას განიცდი! |
| Leave the situation — walk away | გაეცალე სიტუაციას! |
| Laugh it off — use humor to defuse the situation | შეწყვიტე დაცინვა და გამოიყენე იუმორი სიტუაციის განმუხტვისათვის! |

[7] Classroom Bullying Prevention - Melissa Allen Heath, Tina Taylor Dyches

| | |
|---|---|
| Ignore the bully | დატოვე აგრესორი ყურადღების გარეშე! |
| Tell a trusted adult | უთხარი ამის შესახებ შენთვის სანდო, უფროს ადამიანს! |

თვალსაჩინოებისათვის კი მოსწავლეებს შესთავაზებს შემდეგ ვიდეოს: https://www.facebook.com/194857340569501/videos/599462837219419/

***აქტივობა 6*** - შეხვედრის ბოლოს[8] მასწავლებელი მონაწილეებს დავალებას აძლევს მოიფიქრონ რაიმე აქტივობა, რითაც გამოხატავენ საკუთარ დამოკიდებულებას თანატოლთა ძალადობის მიმართ, ეს შეიძლება იყოს - პლაკატების მომზადება, უმცროსკლასელთათვის შეხვედრის ორგანიზება, თხზულებების კონკურსი, დისკუსია და სხვა.

## III თემა - თანასწორობა და დისკრიმინაცია

საკითხავი მასალა მასწავლებლებისათვის, რაც მათ დაეხმარებათ მოსწავლეებთან თემატური შეხვედრის ორგანიზებაში:

| |
|---|
| ადამიანის იდენტობის ჩამოყალიბებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს სოციალიზაციისა და თვითიდენტიფიკაციის პროცესებს - ერთი მხრივ, ადამიანის მიერ საკუთარი სოციალური როლების მორგებისა და სხვა ადამიანების მიერ მისი პიროვნების აღქმის, აღიარება/არაღიარების პროცესს და, მეორე მხრივ, ინდივიდის მიერ სოციალურ–კულტურული ნორმების, ღირებულებების ათვისებისა და გაზიარების პროცესს.<br><br>იდენტობის ფორმირებისათვის კი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის ბავშვობას, განსაკუთრებით - მოზარდობის ასაკს (12 – 18 წწ). ფსიქოსოციალური განვითარების თეორიის ავტორის, ერიკ ერიქსონის მიხედვით - მოზარდობის ასაკში მნიშვნელოვანი ხდება პიროვნების მიერ წარსულში საკუთარი თავის შესახებ დაგროვილი ინფორმაციის, გამოცდილების განზოგადება და საკუთარ თავზე შეხედულებების კონცეფციის სახით ჩამოყალიბება, რასაც ის მე-კონცეფციას უწოდებდა.<br><br>მოზარდისათვის 3 რამ არის ძალიან მნიშვნელოვანი:<br>1. იცოდეს ვინ არის? (მე - იდენტობა)<br>2. იცოდეს როგორ აღიქვამენ მას სხვები (სოციალური ატრიბუცია)<br>3. იცოდეს ისიც, რამდენად მოდის წინააღმდეგობაში გარემოსთან მისი ცოდნა და წარმოდგენები საკუთარი თავის შესახებ და რა მოლოდინები შეიძლება ჰქონდეს (სოციალური მოლოდინები)<br><br>გამომდინარე იქედან, რომ ბავშვის სოციალიზაციის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გარემოს სკოლა |

[8] მასალის მოცულობიდან გამომდინარე შესაძლოა საჭირო გახდეს წარმოდგენილი თემებისა და სავარჯიშოების გადანაწილება 2 გაკვეთილზე

წარმოადგენს, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ რა გავლენა აქვს სასკოლო გარემოს, იქ არსებულ ღირებულებებს, წინასწარგანწყობებსა და სტერეოტიპებს, მოსწავლის იდენტობის ჩამოყალიბებაზე.

დასაწყისისთვის განვმარტოთ რა არის იდენტობა?

სიტყვა „იდენტობა“ მოდის ლათინური ფრაზიდან „Idem et Idem“, რაც სიტყვასიტყვით ნიშნავს „იგივე და იგივეს“ ანუ „ერთსა და იგივეს“.

იდენტობა არის ადამიანის ფსიქოლოგიური წარმოდგენა საკუთარ „მე“-ზე, როგორც სუბიექტურად აღქმულ მთლიანობასა და ინდივიდუალურობაზე, რომლის მეშვეობითაც პიროვნება საკუთარ თავს აიგივებს გარკვეულ ტიპოლოგიურ კატეგორიასთან (სახელმწიფო, სოციალური სტატუსი, კულტურა, ეროვნება, ასაკი, სქესი, პროფესია და ა. შ.).

იდენტობის ჩამოყალიბებისათვის, როგორც დასაწყისში აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია იდენტიფიკაციისა და თვითიდენტიფიკაციის პროცესები:

იდენტიფიკაცია გულისხმობს - ინდივიდის სოციალიზაციის, სოციალური როლების მორგება/ადაპტაციის, სოციალურ-კულტურული მოდელების ათვისების პროცესს.

თვითიდენტიფიკაცია - ინდივიდის მიერ სოციალურ–კულტურული ნორმების გათავისების, საკუთარი თავის გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნების პროცესს.

იდენტობის საკითხებზე მუშაობდა ჯეიმს მარსიაც. მან აღწერა იდენტობის პრობლემის გადაჭრის 4 ფორმა, სადაც გადამწყვეტი როლი ენიჭება შემდეგ ფაქტორებს:

I. გაიარა თუ არა მოზარდმა საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების პერიოდი, რომელსაც „იდენტობის კრიზისს“ ვეძახით

II. და თავად აიღო თუ არა პასუხისმგებლობა არჩეულ ღირებულებათა სისტემაზე და მომავალზე.

ჯეიმს მარსია, კვლევების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს იდენტობის 4 სტატუსი:

1. მიღწეული იდენტობა – ადამიანმა გამოიარა შეკითხვების დასმისა და თვითგამორკვევის პერიოდი. მან ისეთი ღირებულებითი და იდეური საფუძველი/პლატრფორმა შეიქმნა, რომელიც თავად აირჩია და მომავალიც თავად განსაზღვრა.
2. წინასწარგანსაზღვრული იდენტობა - ამ სტატუსში მყოფმა ადამიანმაც აირჩია თავისი მომავალი პროფესია და ღირებულებითი იდეური პოზიცია, მაგრამ მას არ გაუვლია იდენტობის კრიზისი. მათ შეკითხვების, გააზრების გარეშე მექანიკურად მიიღეს და გადმოიტანეს საკუთარ ცხოვრებაში მშობლების შეხედულებები და ღირებულებითი სისტემები. (მაგალითად, მეთევზის შვილი მეთევზე გახდა).
3. დიფუზური იდენტობა - როცა ადამიანს გამოვლილი აქვს იდენტობის კრიზისი, თუმცა ჯერ კიდევ არ აქვს საკუთარი თავის გამთლიანებული აღქმა.
4. მორატორიუმი - (იდენტობის საბოლოო მიღების გადავადება) ეს სტატუსი გულისხმობს, რომ ადამიანი იდენტობის კრიზისის კულმინაციას გადის. მართალია, ის ეძებს შეკითხვებზე პასუხს, მაგრამ პოულობს შეუსაბამობებსა და კონფლიქტებს საკუთარ ინტერესებსა და გარემოს შორის.

რა ფაქტორები განსაზღვრავს იდენტობის ჩამოყალიბებას?

<u>კოგნიტური ფაქტორები</u>

მოზარდები, რომლებიც დაეუფლნენ ფორმალურ-ლოგიკურ ოპერაციებს და აქვთ ლოგიკური აზროვნების უნარი, აქვთ პერსპექტივა თავიანთი მომავალი იდენტობა სწორად გაიაზრონ, შესაბამისად, ნაკლებად აშინებთ იდენტობის მოსაპოვებლად გასავლელი გზა, ვიდრე იმ მოზარდებს, რომლებსაც ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებიათ მიზეზ-შედეგობრივი განსჯისა და ზრდასრული გადაწყვეტილებების მიღების უნარები და მათი აზროვნება, ქცევა გარკვეული იმპულსურობით ხასიათდება.

<u>აღზრდის სტილი</u>

ასევე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია მოზარდების ურთიერთობა მშობლებთან (markstom-adams, 1992; Waterman, 1982). კვლევებმა აჩვენა, რომ დიფუზური სტატუსის მქონე მოზარდები ხშირად არიან მშობლების მხრიდან უგულებელყოფილები, გაუცხოვებულები (Archer, 1994). მეორე მხრივ, მოზარდები მოუმწიფარი იდენტობით, ზედმეტად მიჯაჭვულები ხდებიან თავიანთ მშობლებზე, ასეთმა მოზარდებმა შესაძლოა არასდროს ეჭვქვეშ არ დააყენონ მშობლების ძალაუფლება და არ ჰქონდეთ დამოუკიდებელი იდენტობის მოპოვების მოთხოვნილება.

მოსიყვარულე და დემოკრატიული აღზრდის სტილი ეხმარება ბავშვს ჰქონდეს თვითპატივისცემა და მოზარდობის პერიოდში ჩამოუყალიბდეს ჯანსაღი და ადაპტაციური იდენტობა.

<u>სასწავლო გარემო</u>

სასწავლო გარემო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს იდენტობის პროცესს. ბავშვის სასკოლო ცხოვრება მის ცხოვრებაში სოციალიზაციის პროცესის დაწყებას ნიშნავს. სკოლა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის, მას აღმზრდელობითი ფუნქციაც აკისრია. ამდენად ის, რაც ზემოთ აღზრდის სტილზე წერია სამართლიანია სასწავლო გარემოს კონტექსტშიც, მზრუნველი და დემოკრატიული სტილის ურთიერთობები ეხმარება ბავშვებსა და მოზარდებს წარმატებით გაიარონ იდენტობის მოპოვების რთული გზა. სკოლის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ყველა ბავშვს ოჯახში არ აქვს სათანადო, ჯანსაღი ატმოსფერო, რაც უარყოფით გავლენას ახდენს, ბავშვის განვითარებაზე და სკოლას აქვს საშუალება ასეთ ბავშვებსა და მოზარდებს დაეხმარონ წარმატებით დაძლიონ იდენტობის მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეები.

<u>სოციოკულტურული ფაქტორები</u>

იდენტობის ფორმირება დიდადაა დამოკიდებული სოციალურ და კულტურულ კონტექსტზე. თავად იდეა, რომ მოზარდებმა თვითონ უნდა აირჩიონ თავიანთი იდენტობა, არის მე-20-21-ე საუკუნის ინდუსტრიული საზოგადოების მახასიათებელი. თანამედროვე არაინდუსტრიული საზოგადოებების ბავშვები მექანიკურად ღებულობენ იმ როლებს, რომლებსაც მათგან გარემო ელოდება, ყოველგვარი საკუთარი თავის ძიებისა და ექსპერიმენტების გარეშე.

დასავლური კულტურები კი აძლევენ მოზარდებს საკუთარი არჩევანის გაკეთების

საშუალებას, წააქეზებენ თავის თავს დაუსვან საკუთარ „მესთან“ დაკავშირებული შეკითხვები.

კულტურულ ფაქტორთა შორის მნიშვნელოვანია განვიხილოთ იმ წარმოდგენათა და ღირებულებათა სისტემა, რომელიც დამახასიათებელია ნებისმიერი საზოგადოებისათვის. თუმცა აქვე მნიშვნელოვანია გავმიჯნოთ ინდივიდუალისტური და კოლექტივისტური კულტურები:

- ინდივიდუალისტური კულტურა - ინდივიდუალისტურ კულტურებში საზოგადოების ძირითადი ერთეულია ინდივიდი. სოციალური ცხოვრების მთავარი რეგულატორია აბსტრაქტული ნორმა (კანონი, რელიგიური მცნება ა.შ). ასეთ კულტურებში თანასწორობისა და ინდივიდუალური თავისუფლების ხარისხი მეტია.
- კოლექტივისტური კულტურა - კოლექტივისტურ კულტურებში საზოგადოების ძირითადი ერთეულია ჯგუფი, დიდი (ერი, „ხალხი“, რელიგიური ერთობა, ანუ ისეთი ჯგუფები, რომელთა წევრებიც არ იცნობენ ერთმანეთს პირადად), ან მცირე (გაფართოებული ოჯახი, სანათესაო, სამეგობრო, სამეზობლო და ა.შ., ანუ ჯგუფები, რომელთა წევრებიც ერთმანეთს პირადად იცნობენ). ასეთ სისტემაში ჯგუფის ინტერესები პრევალირებს ინდივიდუალურზე. კოლექტივისტურ კულტურებში ჯგუფის წევრობიდან გამომდინარე, ვალდებულებების პირნათლად შესრულების შემთხვევაში, ჯგუფი იცავს თავის წევრს და ზრუნავს მასზე. სოციალური ცხოვრების მთავარი რეგულატორია ჯგუფში არსებული ნორმები, ზოგჯერ კი ავტორიტარული პიროვნების ნება.

ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია განვიხილოთ სოციალური იდენტობის ცნებაც - რაც გულისხმობს გარკვეულ სოციალურ ჯგუფთან (ჯგუფებთან) მიკუთვნებულობის განცდას, „ჩვენ vs ისინი“ მენტალობა (in group out group), რაც გულისხმობს საკუთარი ჯგუფისადმი მაღალ ტოლერანტობას და განსხვავებული ჯგუფების ნეგატიურ ატრიბუციას, მათდამი ნაკლებ შემწყნარებლობას და ზოგჯერ მტრობასაც კი. ხშირად კულტურა და გარკვეული ჯგუფისადმი მიკუთვნებულობა განსაზღვრავს ჩვენს სტერეოტიპებსა და წინასწარგანწყობებს, რასაც ეფუძნება განსხვავებული ჯგუფებისადმი ნაკლებშემწყნარებლური, დისკრიმინაციული დამოკიდებულებები.

სწორედ ასე იქმნება სამკუთხედი:




სადაც განსხვავებული, „სხვა“ ჯგუფისადმი, ემოციური (აფექტური) წინასწარგანწყობას დაფუძნებული კოგნიციები, მოსაზრებები, აზრები, იგივე სტერეოტიპები, ბიძგს აძლევს

დისკრიმინაციულ ქცევას. საკითხის გააზრებისათვის მნიშვნელოვანია ცალ-ცალკე განვიხილოთ თითოეულიკომპონენტი.

<u>რა არის წინასწარგანწყობა და სტერეოტიპები?</u>

წარმოდგენებს, რომლებსაც არ გააჩნიათ საკმარისი, ობიექტური საფუძველი და არ არის დასაბუთებული, წინასწარგანწყობებს ვუწოდებთ.

წინასწარგანწყობები არ ეფუძნება ჩვენ მიერ აღქმულსა და დანახულს, პირიქით, მოვლენათა აღქმა ექცევა ჩვენივე წინასწარგანწყობების გავლენის ქვეშ. წინასწარგანწყობები წარმოადგენს სამყაროს მიმართ არა რაციონალურ, არამედ ირაციონალურ, ემოციურ დამოკიდებულებას. როცა ჩვენი წინასწარგანწყობები ზედმეტად განზოგადებულია ადამიანთა მთელ ჯგუფზე და გვექმნება შთაბეჭდილება, თითქოს ამ ჯგუფის ყველა წევრს საერთო მახასიათებლები და თვისებები გააჩნია, მაშინ საქმე გვაქვს სტერეოტიპებთან. სტერეოტიპული აზროვნება არის სქემატური აზროვნების ერთ-ერთი გამოხატულება. ჩვენი სტრეოტიპები ყალიბდება საკუთარი გამოცდილების, საზოგადოებაში, მასმედიაში მოარული აზრის განზოგადების გზით.

მეცნიერები საუბრობენ წინასწარგანწყობების გარდაუვალობაზე, მაგალითად, ევოლუციის ფსიქოლოგებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ყველა ცხოველი გენეტიკურად თავის მსგავსს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო გენეტიკურად განსხვავებულ ორგანიზმებს სიფრთხილით ეკიდება, მაშინაც კი, როცა ამ უკანასკნელთ მისთვის არასდროს არაფერი დაუშავებიათ. მეცნიერთა აზრით, წინასწარგანწყობა თანდაყოლილია; ის თვითგადარჩენის ბიოლოგიური მექანიზმია, რომელიც გვიბიძგებს, უპირატესობა ჩვენს ოჯახს, ტომს და რასას მივანიჭოთ და შეგვეშინდეს სხვების ან არ მოგვეწონოს ისინი.

მეცნიერები ასევე გამოყოფენ სხვა ფაქტორებსაც:

*1.* <u>ეკონომიკური და პოლიტიკური შეჯიბრი ან კონფლიქტი</u>. თუ გავითვალისწინებთ, რომ რესურსები, ზოგადად, შეზღუდულია, მაშინ დომინანტი ჯგუფი შეიძლება, ეცადოს და უმცირესობის ჯგუფს ექსპლუატაცია გაუწიოს ან დაამციროს, რათა მატერიალურ უპირატესობას თავად ფლობდეს.
წინასწარი განწყობები, როგორც წესი, უფრო დაძაბულ პერიოდებში იზრდება და ისეთ პერიოდებში, როცა ერთი-მეორის გამომრიცხავი მიზნებისთვის კონფლიქტს აქვს ადგილი. ეს ეხება, როგორც ეკონომიკურ, ისე პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მიზნებს. მაგალითად, მე-19 საუკუნის ამერიკაში უარყოფითი სტერეოტიპები და წინასწარგანწყობები ძალიან ვარირებდა ჩინელი ემიგრანტების მიმართ და ეს ვარირება სწორედ ეკონომიკაში მიმდინარე ცვლილებებზე იყო დამოკიდებული. როცა კალიფორნიის საბადოებში ჩინელები ოქროს მოპოვებას ცდილობდნენ, მათ შემდეგნაირად ახასიათებდნენ: „გარყვნილები და უზნეოები ... გაუმაძღართა მასა ... სისხლმოწყურებული და არაადამიანი."

*2.* <u>ჩანაცვლებული აგრესია.</u> განტევების ვაცის თეორია - ძველ ებრაელებს ერთი ადათი ჰქონდათ: მონანიების დღეებში მღვდელი ვაცს თავზე ადებდა ხელებს და ამ დროს ხალხის ცოდვებს ჩამოთვლიდა. ამით მას ცოდვები და ბოროტება სიმბოლურად ვაცზე გადაჰქონდა. ამის შემდეგ ვაცს საშუალება ეძლეოდა გაქცეულიყო უდაბურ ადგილებში და ამ სახით, საზოგადოება ცოდვისგან განეწმინდა. ამ ცხოველს *განტევების ვაცი* ერქვა. დღეს, ტერმინი განტევების ვაცი იხმარება იმ პროცესის აღსაწერად, როცა შედარებით უძლურ და

უდანაშაულო ადამიანს ადანაშაულებენ იმაში, რაც მისი ბრალი არ არის. თუ ხალხი უმუშევარია ან ინფლაციამ მათი დანაზოგები შეიწირა, მათ არ შეუძლიათ რისხვა პირდაპირ ეკონომიკურ სისტემაზე მიიტანონ, მაგრამ მათ შეუძლიათ, განტევების ვაცი იპოვონ. სამწუხაროდ, მსხვერპლს უკვე არ შეუძლია უდაბურ ადგილებში გაქცევით დააღწიოს თავი, არამედ ის ხშირად ბოროტების ან თვით სიკვდილის საფრთხის წინაშე დგება. ნაცისტურ გერმანიაში, განტევების ვაცის როლში ებრაელები იყვნენ, მე-19 საუკუნის კალიფორნიაში – ჩინელი ემიგრანტები, ამერიკის სამხრეთის სოფლებში კი - შავკანიანები.

3. <u>სტატუსისა ან „მე“-ხატის შენარჩუნება</u>. თუ საკუთარ თავს დავარწმუნებთ, რომ ესა თუ ის ჯგუფი უღირსია, არაადამიანური, ბრიყვი ან ამორალური, ეს საშუალებას მოგვცემს, ამ ჯგუფის წევრები დავჩაგროთ, მოვაკლოთ მათ ნორმალური განათლების უფლება ან მათდამი აგრესიულად განვეწყოთ, თან ეს ყველაფერი ისე, რომ საკუთარი მორალი კითხვის ნიშნის ქვეშ არც კი დავაყენოთ; შემდეგ, მშვიდად გავარგძელოთ ეკლესიაში სიარული და თავი კარგ ქრისტიანად ვიგრძნოთ, რადგან ის, ვისაც ჩვენ ვატკინეთ, წესიერი ადამიანი არ არის. მაგალითად - „ყველა ბოშა იპარავს“ ამ კოგნიციის (სტერეოტიპის) არსებობა ამართლებს ჩვენს წინასწარგანწყობას და ბოშების მიუღებლობას.

4. <u>დისპოზიციური წინასწარგანწყობა</u>. გარკვეული მეცნიერული მონაცემები ზურგს უმაგრებს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ სიძულვილის ტენდენციაში ინდივიდუალური სხვაობები არსებობს. სხვა სიტყვებით – ზოგ ადამიანს უფრო მეტად აქვს პრედისპოზიცია, ჰქონდეს წინასწარგანწყობა არა მხოლოდ მყისიერი გარე ზეგავლენების გამო, არამედ იმიტომაც, რომ უბრალოდ აი, ასეთი ადამიანი არის.

თეოდორ ადორნო (Theodor Adorno) და მისი კოლეგები ასეთ ინდივიდებს <u>ავტორიტარულ პიროვნებებს</u> უწოდებდნენ. ამ პრედისპოზიციის განსაზღვრაში მნიშვნელოვანი როლი აქვს ბავშვობის გამოცდილებას, აღზრდის სისტემებს, სადაც თაობები იზრდებიან, მაგალითად, ძალადობრივ გარემოში, ტოტალიტარულ სისტემაში აღზრდილ ადამიანებს უფრო მაღალი პრედისპოზიცია აქვთ.

5. <u>არსებული სოციალური ნორმებისადმი კონფორმულობა</u>. ადამიანები მიდრეკილნი არიან მოექცნენ უმრავლესობის აზრის ზეგავლენის ქვეშ, ისინი იჩენენ კონფორმიზმს იმ სოციალური ნორმებისადმი, რომელიც საყოველთაოდ აღიარებულია.

<u>რა არის ქცევა?</u>

დისკრიმინაციული ქცევის ანატომია

იმისათვის, რომ დისკრიმინაციული ქცევის არსში გავერკვეთ, მნიშვნელოვანია გავიაზროთ ადამიანის ქცევა A – B – C მოდელის მიხედვით, სადაც:

A - წარმოადგენს ქცევის წინაპირობას, მაგალითად: მეტროს ვაგონში ხუთი ადამიანი ზის: სიმპათიური ქალი; ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა მამაკაცი, მკლავზე სვირინგით; ბოშა ქალი, ბანქოთი ხელში; რესპექტაბელური შესახედაობის შავსათვალიანი მამაკაცი, მობილური ტელეფონით ხელში. უცებ ვაგონში ჩოჩქოლი ატყდა - ახალგაზრდა ქალი აცხადებს, რომ მას საათი მოპარეს. იგი თვალს ავლებს მგზავრებს და პირდაპირ ხელს ადებს...

B - წარმოადგენს ადამიანის რწმენათა სისტემას (beliefs), რომელიც მოიცავს კოგნიტურ დაშვებებს, სტერეოტიპებს, მაგალითად: ახალგაზრდა ქალი ფიქრობს, რომ „ბოშები დაბადებიდან ქურდები არიან“ (სტერეოტიპი) ან „ვისაც სვირინგი აქვს ყველა ციხეში მჯდარა“ (სტერეოტიპი) ან სხვა.

C - წარმოადგენს შედეგს, პასუხს ქცევის წინაპირობაზე. ესაა ემოციური და ქცევითი რეაქცია. მაგალითად: ახალგაზრდა ქალი ბრაზდება და ხელს პირდაპირ ბოშა ქალს ადებს ან ახალგაზრდა ქალი ბრაზდება და ხელს სვირინგიან ახალგაზრდას ადებს.




ამ მოდელიდან გამომდინარე კარგად ჩანს თუ რა გავლენა აქვს ჩვენს რწმენა-შეხედულებებს (beliefs), კოგნიტურ დაშვებებსა და სტერეოტიპებს ჩვენს ემოციურ და ქცევით რეაქციებზე. წარმოვიდგინოთ, რომ თუ ახალგაზრდა ქალს არ ექნებოდა სტერეოტიპი ბოშებზე ან სვირინგიან ადამიანებზე, სულ სხვა ემოცია ექნებოდა და სხვაგვარად მოიქცეოდა.

დისკრიმინაციული ქცევის მთავარ ბირთვს სწორედ ჩვენი კოგნიციები წარმოადგენენ, რომლებიც „იკვებებიან" სწორედ იმ წინასწარგანწყობებითა და სტერეოტიპებით, რაც ამა თუ იმ საზოგადოებაშია გავრცელებული.

როგორც ზემოთ დავინახეთ ბევრი ფაქტორი განსაზღვრავს წინასწარგანწყობებისა და დისკრიმინაციის გარდაუვალობას, რაც ყველა ტიპის საზოგადოებას მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე აყენებს - დაძლიოს წინასწარგანწყობები და სტერეოტიპები, რათა თავიდან აირიდოს განსხვავებული ჯგუფებისადმი დისკრიმინაციული დამოკიდებულების რისკები.

სანამ უშუალოდ დისკრიმინაციის პრევენციაზე ვისაუბრებდეთ მნიშვნელოვანია გავეცნოთ როგორ დაიწყო მუშაობა წინასწარგანწყობების შემცირებაზე. 1954 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: უარი თქვა რასობრივად სეგრეგირებულ სკოლებზე და სანაცვლოდ ინტეგრირებული სკოლები შემოიღო. ამას მრავალი ადამიანი ეწინააღმდეგებოდა; მეტიც, სკოლებში სხვადასხვა რასის იძულებით შერევის შემთხვევაში, ისინი „ჰოლოკოსტსაც" კი წინასწარმეტყველებდნენ. ამბობდნენ, რომ კანონები ვერ აიძულებდა ადამიანებს, ერთმანეთს შეწყობოდნენ. მეცნიერები სერიოზული დილემის წინაშე აღმოჩდნენ - ჯერ აზროვნება თუ ჯერ ქცევა? ანუ, საიდან უნდა დაიწყოს ცვლილებები და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებამდე მივიდნენ: მეცნიერები ფიქრობდნენ, რომ თუ ადამიანების ქცევის შეცვლა გინდა, ჯერ აზროვნება უნდა შეუცვალო; ანუ, ვთქვათ, კარგად მოფიქრებული სარეკლამო კამპანიების წყალობით (სადაც შავკანიანებს დადებითი თვისებების მქონეებად წარმოაჩენდნენ), თეთრკანიანებს შავკანიანთა მიმართ წინასწარგანწყობები შეეცვლებოდათ და შვილებს ინტეგრირებულ სკოლებში გაუშვებდნენ. მაგრამ ღრმად ფესვგადგმული დამოკიდებულების შეცვლა ასე ადვილი არაა. შესაძლოა, პოზიტიური ცვლილებები წააქეზოს, მაგრამ ძირეულად არაფერს შეცვლის.

რაც სოციალურმა ფსიქოლოგებმა დიდი ხანია იცოდნენ, თუმცა, რისი გაგებაც სულ რაღაც ცოტა ხნის წინ დაიწყეს, გახლავთ ის, რომ ცვლილებებს ქცევაში შეუძლია, გავლენა იქონიოს ცვლილებებზე დამოკიდებულებებში. გამოითქვა მოსაზრება, რომ – ყველაზე მარტივ დონეზე – თუ შავკანიანები და თეთრკანიანები ერთმანეთთან უშუალო კონტაქტში შევლენ, წინასწარგანწყობის მქონე ინდივიდები საკუთარი გამოცდილების რეალობასთანაც შევლენ კონტაქტში და ეს უბრალოდ სტერეოტიპით არ იქნება განპირობებული; დროთა განმავლობაში ამან შედეგად შეიძლება ურთიერთგაგება გამოიწვიოს.

მორტონ დოიჩმა და მერი ელენ კოლინსმა (Morton Deutsch & Mary Ellen Collins) 1951 წელს, საჯარო საცხოვრებელ კომპლექსებში შავკანიანთა მიმართ თეთრკანიანების დამოკიდებულებები იკვლიეს. ერთ-ერთ საცხოვრებელ კომპლექსში, შავკანიანი და თეთრკანიანი ოჯახები სეგრეგირებულად ცხოვრობდნენ; ანუ ერთი კომპლექსის ფარგლებში მათ ცალ-ცალკე შენობები ჰქონდათ გამოყოფილი. სხვა კომპლექსში ისინი ინტეგრირებულად, ერთსა და იმავე შენობაში ცხოვრობდნენ. ინტეგრირებული კომპლექსის მაცხოვრებლების დამოკიდებულებები შავკანიანთა მიმართ მნიშვნელოვნად პოზიტიურად იყო შეცვლილი მას შემდეგ, რაც ამ კომპლექსში გადავიდნენ საცხოვრებლად, რასაც ვერ ვიტყვით სეგრეგირებული კომპლექსის მცხოვრებთა დამოკიდებულებებზე. ამ შედეგებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფოს ნაბიჯებს მართლაც შეუძლია, ხალხის ნაბიჯები შეცვალოს და რომ ზნეობის დაკანონება შესაძლებელია – ცხადია, არა პირდაპირ, არამედ თანაბარ-სტატუსობრივი კონტაქტის გაშუალებით.

თუ ზემოთ მოტანილ მეცნიერულ მოსაზრებებს განვაზოგადებთ, გამოდის, რომ წინასწარგანწყობებისა და დისკრიმინაციის შემცირებაში გადამწყვეტი როლი აქვთ სისტემებს, რომლებიც ადგენენ პოლიტიკას. თუ სისტემა წამყვან პოლიტიკურ ღირებულებად იღებს თანასწორობის პრინციპს და უშვებს თანაბარ-სტატუსობრივი კონტაქტების შესაძლებლობას, ამ სისტემაში მყოფ ადამიანებს, მიუხედავად რასობრივი, ეროვნული, რელიგიური, სქესობრივი სხვაობებისა, თანასწორობის განცდა აქვთ და დაცულნი არიან დისკრიმინაციისაგან. თავისთავად ცხადია დისკრიმინაციასთან ბრძოლის საქმეში მნიშვნელოვან როლს თამაშობს საგანმანათლებლო სისტემა, ორი მნიშვნელოვანი მიზეზის გამო:

1. პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა ადამიანების ინფორმირება და განათლებაა, ხოლო სკოლა ის სივრცეა, სადაც შემეცნებისა და აღზრდის პროცესი ურთიერთგადაჯაჭვულია;
2. სკოლა ის ადგილია, სადაც ადამიანის იდენტობა ყალიბდება და აქ არსებული დამოკიდებულებები არა მხოლოდ მის აწმყოზე, არამედ მომავალზეც მნიშვნელოვნად აისახება.

***აქტივობა 1 - დისკუსია***

მასწავლებელი მონაწილეებს აჩვენებს ორაზროვან ნახატს და იწვევს დისკუსიაში.



დისკუსიის ჩასატარებლად მასწავლებელი მიჰყვება შემდეგ ინსტრუქციას:

სთხოვეთ მოსწავლეებს გაგიზიაროთ, რას ხედავენ მოცემულ ნახატზე? („ექსპერიმენტი" სავარაუდოდ აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევს, ზოგი მოხუც ქალს დაინახავს, ზოგიც - ახლაგაზრდას).

დაყავით კლასი ორ ჯგუფად იმის მიხედვით ვინ რომელ ქალს ხედავს და სთხოვეთ მოიტანონ არგუმენტები თავიანთი პოზიციის დასადასტურებლად (მაგალითად, აჩვენონ ნახატზე კონტურები, რაც მათ მოსაზრებას ადასტურებს).

განავრცეთ შემოტანილი თემა შემდეგნაირად: „როგორც ვხედავთ ნახატზე ზოგმა მოხუცი ქალი დაინახა, ზოგმაც - ახლაგაზრდა და ალბათ ყველას აინტერესებს, რაშია ამ ნახატის საიდუმლო, რომელია სწორი პასუხი?! შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ, მაგრამ აქ ერთი სწორი პასუხი არ არსებობს, ყველა მართალია! თქვენც - ვინც მოხუცს ქალს ხედავთ და თქვენც - ვინც ახალგაზრდა ქალი დაინახეთ, რადგან ობიექტურად ნახატზე მართლაც ორივე ქალია გამოსახული.

ასეა ცხოვრებაშიც, ყველას საკუთარი ხედვა და სიმართლე აქვს! ჩვენ ხშირად ვბრაზდებით სხვა ადამიანებზე იმის გამო, რომ ისინი ზუსტად ისე არ ხედავენ და ფიქრობენ, როგორც ჩვენ. ამის გამო ვჩხუბობთ კიდეც, თან ისე, რომ ერთმანეთის მოსმენა არ გვინდა. თუ კარგად დავფიქრდებით, ამ დროს ჩვენთვის მთავარია საკუთარი პოზიციის სისწორე დავამტკიცოთ და ნაკლებად გვაღელვებს, რას ფიქრობს ან განიცდის მეორე ადამიანი.

კარგი იქნება თუ ეს ნახატი დარჩება თქვენთვის იმის მეტაფორად, რომ სამყარო მრავალფეროვანია და რამდენი ადამიანიც არსებობს დედამიწაზე, იმდენი აზრი, ფიქრი, ოცნება, ხედვა, მოსაზრება და სურვილია; არავინ არის ვალდებული ზუსტად ჩვენსავით ესმოდეს და გრძნობდეს.

ადამიანები განსხვავდებიან, ისინი ჩვენ არ გვგვანან. განსხვავდებიან გარეგნობით, ჩაცმის სტილით, ეროვნებით, სქესით, რელიგიური მრწამსით, შეხედულებებით ცხოვრებაზე. ამითაა საინტერესო ცხოვრება!

მივცეთ სხვა ადამიანებს უფლება, თუნდაც ჩვენთვის მიუღებელი და გაუგებარი ხედვებით, სურვილებითა და ოცნებებით ცხოვრობდნენ ჩვენს გვერდით.

*აქტივობა 2 - სიტუაციური ამოცანა*

მასწავლებელი მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ სიტუაციას:

**შემთხვევა მეტროში:** მეტროს ვაგონში ხუთი ადამიანი ზის: სიმპათიური და სანდომიანი ქალი, ათლეტური აღნაგობის ახალგაზრდა მამაკაცი, ბოშა-ქალი, ბანქოთი ხელში, ინტელიგენტური გამომეტყველების სათვალიანი მამაკაცი, მობილური ტელეფონით ხელში და ძველმანებში, დახეულ ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი.



უცებ ვაგონში ჩოჩქოლი ატყდა - ახალგაზრდა ქალი აცხადებს, რომ მას ტელეფონი მოპარეს. იგი თვალს ავლებს მგზავრებს და პირდაპირ ხელს ადებს...

- როგორ გგონიათ, ვის მიიჩნევდა ქალი დამნაშავედ?
- როგორ გგონიათ რატომ?
- რა იწვევს ამ ადამიანისადმი ასეთ დამოკიდებულებას?
- ხშირად აფასებენ შენს გარშემო ადამიანებს ჩაცმულობის მიხედვით?
- პირადად თქვენთვის შეუშლია თუ არა ხელი უკვე დაკანონებულ აზრს, წინასწარ შექმნილ „რეცეპტს"?
- ხომ არ გახსენდებათ მსგავსი ისტორია?

*აქტივობა 3 - მინი ლექცია - წინასწარგანწყობები და სტერეოტიპები*

საკითხავ მასალაში განხილული თემების გამოყენებით მასწავლებელი შეხვედრის მონაწილეებს აწვდის ინფორმაციას წინასწარგანწყობებისა და სტერეოტიპების შესახებ:

წინასწარგანწყობა ეს ემოციური შეფერილობის მდგომარეობაა, რომელიც არანაირ კონკრეტულ ფაქტს ან მტკიცებულებას არ ეფუძნება, თუმცა განსაზღვრავს ჩვენს დამოკიდებულებას

ადამიანთა გარკვეული ჯგუფისადმი. ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში, სადაც ადამიანები ხელს ადებენ ბოშას ან დახეულ ტანსაცმელში გამოწყობილ ადამიანს, სწორედ წინასწარგანწყობით ხელმძღვანელობენ და მათი ვარაუდი არანაირ ფაქტს არ ეფუძნება. სწორედ ესაა წინასწარგანწყობა. როგორც მეცნიერები ამბობენ, ჩვენ ადამიანებს, გვახასიათებს ასეთი წინასწარგანწყობები და ძირითადად ის უარყოფითი ემოციითაა შეფერილი, თუკი საქმე ჩვენგან განსხვავებულს შეეხება. მეცნიერები საუბრობენ წინასწარგანწყობების გარდაუვალობაზე, მაგალითად, ევოლუციის ფსიქოლოგებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ყველა ცხოველი გენეტიკურად თავის მსგავსს ანიჭებს უპირატესობას, ხოლო გენეტიკურად განსხვავებულ ორგანიზმებს სიფრთხილით ეკიდება, მაშინაც კი, როცა ამ უკანასკნელთ მისთვის არასდროს არაფერი დაუშავებიათ. მეცნიერთა აზრით, წინასწარგანწყობა თანდაყოლილია; ის თვითგადარჩენის ბიოლოგიური მექანიზმია, რომელიც გვიბიძგებს, უპირატესობა ჩვენს ოჯახს, ტომს და რასას მივანიჭოთ და შეგვეშინდეს სხვების ან არ მოგვეწონოს ისინი. რა გამოდის ამ მსჯელობიდან? წინასწარგანწყობა ჩვეულებრივი მოვლენაა და ის ყველას ახასიათებს.

ამას გარდა წინასწარგანწყობების არსებობას განაპირობებს ისიც, რომ სამყაროში დიდი კონკურენციაა, როგორც სოციალურ, პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ სფეროებში, სადაც განსხვავებული ყოველთვის იჩაგრება.[9]

რა არის სტერეოტიპი? თუ წინასწარგანწყობა ემოციური შეფერილობის უარყოფითი დამოკიდებულებაა განსხვავებულისადმი, სტერეოტიპი არის განზოგადებული მოსაზრება, რომელიც ვრცელდება ადამიანთა მთელს ჯგუფზე. სტერეოტიპი ბერძნული სიტყვაა (stereo - მყარი, typos - ფორმა) და ნიშნავს მყარად გამჯდარ, ერთხმად აღიარებულ, ფართოდ გავრცელებულ აზრს, რომელიც თაობიდან თაობას გადაეცემა, როგორც ჭეშმარიტება.

მაგალითად :

- ყველა კაცი ერთნაირია;
- ებრაელებმა მხოლოდ ვაჭრობა იციან;
- ჩინელები ჭიანჭველებივით მშრომელები არიან;
- ქალებს არ შეუძლიათ მანქანის ოსტატურად მართვა;
- ყველა ბოშა იპარავს და ა. შ.

ჩვენ ბავშვობიდან უამრავ „მყარ" წარმოდგენას გვინერგავენ, ბევრი მათგანი აუცილებელი და სასარგებლოა ადამიანის არსებობისათვის, მაგალითად, სტერეოტიპი, რომ ჯანსაღი ცხოვრების წესი ახანგრძლივებს სიცოცხლეს ან თამბაქო იწვევს დაავადებებს და სხვა, მაგრამ არსებობენ სტერეოტიპები, რომლებიც ხელს გვიშლის სწორად შევაფასოთ მოვლენები, ადამიანები. ხშირად ჩვენ სტერეოტიპებს უკრიტიკოდ ვიღებთ, როგორც „ერთადერთ ჭეშმარიტებას", რაც ფაქტობრივად ხელს გვიშლის სწორად შევაფასოთ მოვლენები და ადამიანები.

წინასწარგანწყობები და სტერეოტიპები კი განაპირობებს დისკრიმინაციულ ქცევას, მაგალითად:

- არ ვენდობი ბოშებს - წინასწარგანწყობაა.
- ყველა ბოშას შეუძლია მოგპაროს - სტერეოტიპია.
- ბოშას მივიჩნევ დამნაშავედ (მეტროს ინციდენტი) და ხელს მას ვადებ - დისკრიმინაციული ქცევაა.

[9] მოსწავლეთა ასაკის, ინტერესთა სფეროს შესაბამისად, მასწავლებელს შეუძლია გამოიყენოს ის თეორიული მასალაც, რაც ასევე შეეხება წინასწარგანწყობებს და აღწერილია „მასწავლებლის საკითხავ მასალაში"

სწორედ წინასწარგანწყობებისა და სტერეოტიპების არსებობა ხელს უშლის თანასწორობის იდეას. არაფერია უცნაური იმაში, რომ ჩვენ ვუფრთხით, გვეშინია ან არ მოგვწონს განსხვავებული (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს ბიოლოგიურად განპირობებულია), მაგრამ ადამიანები ცივილიზებულ სამყაროში წარმატებით ახერხებენ გააცნობიერონ და დაძლიონ „სხვისი“ მიუღებლობა. როგორ გგონიათ როგორ გადაწყვიტეს ეს საკითხი დემოკრატიულმა ქვეყნებმა?

*აქტივობა 4 - როლური თამაში*

მასწავლებელი აგრძელებს თეორიული მასალის ბოლოს დასმული შეკითხვით - როგორ გგონიათ როგორ გადაწყვიტეს დისკრიმინაციის საკითხი დემოკრატიულმა ქვეყნებმა?

მოსწავლეებს ჰყოფს სამ ჯგუფად:

I - ექსპერტები

II - უმცირესობების წარმომადგენლები

III - მოქალაქეები

თითოეულ ჯგუფს ეძლევა შემდეგი სახის დავალება:

I. ექსპერტებმა უნდა წარმოადგინონ სამოქმედო გეგმა, როგორ სურთ ქვეყანაში გადაწყვიტონ თანასწორობის საკითხი, გაწერონ სტრატეგია;
II. უმცირესობის წარმომადგენლებმა თავიანთი სურვილის შესაბამისად უნდა წარმოადგინონ საზოგადოების სხვადახვა ჯგუფები, მაგალითად, მათ შორის შეიძლება იყვნენ შშმ პირები, რელიგიური ან ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები (არჩევანს თვითონ აკეთებენ, თავიდან რომ ავირიდოთ უხერხულობა გარკვეული დისკრიმინირებული ჯგუფის წარმომადგენლის როლის მინიჭებისას). უმცირესობის წარმომადგენლებმა უნდა მოამზადონ პრობლემების ნუსხა, რასაც აწყდებიან თავინთ ყოველდღიურ ცხოვრებაში.
III. მოქალაქეებს ეძლევათ დავალება მოამზადონ მოსაზრებები, სტრატეგია იმასთან დაკავშირებით თუ როგორ უნდათ თანაცხოვრება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან.

მასწავლებელი ასრულებს ფასილიტატორის როლს.

როლური თამაშისას მნიშვნელოვანია წინასწარ შემუშავდეს წესები, რომელიც უნდა დაიცვან თამაშის მონაწილეებმა იმისათვის, რომ დაცული იყოს მონაწილეთა აქტიურობის ბალანსი, განსხვავებული მოსაზრებისადმი არაგანსჯითი დამოკიდებულება. გამორიცხულია მონაწილეებს შორის ურთიერთბრალდებები და სხვა.

**თამაშის პირველი ეტაპი:** დადგენილი წესების შესაბამისად, ჯგუფები წარმოადგენენ საკუთარ პოზიციებს მიღებული დავალებების მიხედვით.

**თამაშის მეორე ეტაპი:** თამაშის მონაწილეები იწყებენ მოძრაობას სივრცეში, აკვირდებიან სხვა მონაწილეებს, ესალმებიან, ხელს ართმევენ და მასწავლებლის სიგნალზე ქმნიან დემოკრატიული საზოგადოების მოდელს. მაგალითად, მასწავლებელი მათ აძლევს დავალებას - ახლა განლაგდით სივრცეში ისე, რომ თქვენი განლაგება შეესაბამებოდეს თანასწორობის პრინციპს. (სავარაუდოდ მონაწილეები შექმნიან წრეს).

**თამაშის მესამე ეტაპი:** მასწავლებელი ეკითხება მონაწილეებს რა შეიცვალა მათში თამაშის შედეგად, რას მიხვდნენ, როგორ გრძნობენ თავს და ა. შ.

*აქტივობა 5 - გაკვეთილის შეჯამება:*

შეხვედრის დასასრულს მასწავლებელი მონაწილეებს უკითხავს ან უყვება იმ კვლევებზე და მცდელობებზე, რაც დემოკრატიულ ქვეყნებში გაკეთდა თანასწორობის იდეის დასამკვიდრებლად:

დისკრიმინაციის დაძლევის გზები:

მეცნიერებმა ბევრი იფიქრეს როგრ შეიძლებოდა დისკრიმინაციის დაძლევა. ისინი ასეთი დილემის წინაშე იდგნენ: რა უნდა შეეცვალათ ადამიანებში? ჯერ აზროვნება თუ ჯერ ქცევა?

1954 წელს აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო: უარი თქვა რასობრივად სეგრეგირებულ სკოლებზე და სანაცვლოდ - ინტეგრირებული სკოლები შემოიღო. ამას მრავალი ადამიანი ეწინააღმდეგებოდა; მეტიც, სკოლებში სხვადასხვა რასის იძულებით შერევის შემთხვევაში, ისინი „ჰოლოკოსტსაც“ კი წინასწარმეტყველებდნენ. ამბობდნენ, რომ კანონები ვერ აიძულებდა ადამიანებს, ერთმანეთს შეწყობოდნენ.

ცვლილებებს ქცევაში შეუძლია, გავლენა იქონიოს ცვლილებებზე დამოკიდებულებებში.

მორტონ დოიჩმა და მერი ელენ კოლინსმა (Morton Deutsch & Mary Ellen Collins) 1951 წელს, საჯარო საცხოვრებელ კომპლექსებში შავკანიანთა მიმართ თეთრკანიანების დამოკიდებულებები იკვლიეს. ერთ-ერთ საცხოვრებელ კომპლექსში, შავკანიანი და თეთრკანიანი ოჯახები სეგრეგირებულად ცხოვრობდნენ; ანუ ერთი კომპლექსის ფარგლებში მათ ცალ-ცალკე შენობები ჰქონდათ გამოყოფილი. სხვა კომპლექსში ისინი ინტეგრირებულად, ერთსა და იმავე შენობაში ცხოვრობდნენ. ინტეგრირებული კომპლექსის მაცხოვრებლების დამოკიდებულებები შავკანიანთა მიმართ მნიშვნელოვნად პოზიტიურად იყო შეცვლილი მას შემდეგ, რაც ამ კომპლექსში გადავიდნენ საცხოვრებლად, რასაც ვერ ვიტყვით სეგრეგირებული კომპლექსის მცხოვრებთა დამოკიდებულებებზე. ამ შედეგებიდან ირკვევა, რომ სახელმწიფოს ნაბიჯებს მართლაც შეუძლია, ხალხის ნაბიჯები შეცვალოს და რომ ზნეობის დაკანონება შესაძლებელია – ცხადია, არა პირდაპირ, არამედ თანაბარ-სტატუსობრივი კონტაქტის გაშუალებით.

დღესდღეობით მიჩნეულია, რომ თანასწორობის იდეის დამკვიდრებისათვის ორივე რამ მნიშვნელოვანია - აზროვნებაც და ქცევაც. აზროვნებას ცვლის ინფორმირებული მოქალაქე, ხოლო განსხვავებულ ადამიანებთან ერთ სივრცეში, ერთ ქალაქში, ერთ საცხოვრებელ სახლში, ერთ სამუშაო ადგილას ურთიერთობა კი ანგრევს სტერეოტიპებს, რაც დისკრიმინაციული ქცევის ცვლილებების წინაპირობა ხდება.

*ნატალია ცაგარელი*

# ტოლერანტობა

## (საკითხავი მასალა პედაგოგებისთვის)

განსხვავებულობა წარმოადგენს იმ საზოგადოების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევას, რომელშიც ბავშვებს უწევთ ცხოვრება. მსოფლიოში, სადაც კულტურები აქტიურად ურთიერთქმედებენ და იკვეთებიან, განსხვავებულ ადამიანთა თანაცხოვრების სწავლა პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა. შესაბამისად მნიშვნელოვანია ბავშვები ღია და მიმღებელნი იყვნენ სხვა კულტურების, ისტორიის მიმართ. მნიშვნელოვანია მათ ისწავლონ ძალადობაზე უარის თქმა და კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტა, სასურველია ახალი თაობა გამსჭვალული იყოს ალტრუიზმის, სხვების მიმართ პატივისცემის სულისკვეთებით.

ტოლერანტობა ადამიანის უფლებების დაცვისა და მშვიდობის განუყოფელი და უმთავრესი შემადგენელია. ტოლერანტობა გულისხმობს, რომ ადამიანების პიროვნება, მათი იდენტობა პატივისცემას იმსახურებს სხვების მხრიდან. ტოლერანტობა უმნიშვნელოვანესია სოციალური წესრიგის შესანარჩუნებლადაც.

ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ხაზი გაუსვა მშვიდობიანი სამყაროს იდეას, რაც გამოიხატა უფლებების დეკლარირებაში, ფუნდამენტურ ნორმებში, რომლებითაც საზოგადოების ყველა წევრი უნდა სარგებლობდეს. ოჯახის როლი ტოლერანტული და მშვიდობიანი დამოკიდებულების ჩამოყალიბებაში გადამწყვეტია, თუმცა საგანმანათლებლო დაწესებულებაც, როგორც ცვლილებების მნიშვნელოვანი აგენტი ჩართული უნდა იყოს შემწყნარებლობისა და პატივსცემაზე დაფუძნებული გარემოს ფორმირებაში.

შეუწყნარებლობა და ძალადობა მომდინარეობს რწმენისგან, რომ რომელიმე კონკრეტული ჯგუფი (რომელსაც პირი განეკუთვნება), მათი რწმენა, ღირებულებები ან ცხოვრების წესი სხვებისაზე აღმატებულია. ამ განცდამ შესაძლოა გამოიწვიოს მოვლენათა ჯაჭვი მარტივი მიუღებლობიდან ისეთ რთულ სოციალურ მოვლენებამდე, როგორიცაა, აპართეიდი, გენოციდი და სხვა.

შესაბამისად, სკოლაში ტოლერანტობის სწავლების მიზეზია ბავშვებმა იცოდნენ სხვისი პატივისცემა, ყველა ადამიანის განუყოფლობა. ეს წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებული ადამიანის უფლებების ძირითად ქვაკუთხედსაც. შეუწყნარებლობა კი, თავის მხრივ, წარმოადგენს საფუძველს ისეთი სახიფათო სოციალური მოვლენისა, როგორიცაა, ძალადობა. ძალადობა, ეს არის მოვლენა, რომლის წინააღმდეგ უნდა მოხდეს ყველა შესაძლო ძალისხმევის გაერთიანება, რათა დაცული იყოს ადამიანთა კეთილდღეობა და ჯანმრთელობა. ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული „მედიკამენტი" ძალადობის განსაკურნებლად არის განგრძობადი სწავლება მშვიდობის, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის მიმართულებით.

პრევენციისთვის უმნიშვნელოვანესია ძალადობის სიმპტომებზე ადრეული რეაგირება. ყველას (მათ შორის, განათლების სფეროს წარმომადგენლებს) უნდა შეეძლოთ შეუწყნარებლობის იდენტიფიცირება და შესაბამისი ზომების მიღება მის თავიდან ასარიდებლად. ეს ზომები მიღებული უნდა იქნას ძალადობის ინდიკატორების გაჩენისთანავე. თუ ბავშვები ამჟღავნებენ

ასეთ ქცევას საკლასო ოთახში ან სათამაშო მოედნებზე, პედაგოგმა აუცილებლად უნდა მოინიშნოს ამგვარი ქცევა. ხშირად (განსაკუთრებით, მცირე ასაკის ბავშვებში) ეს შესაძლოა წარმოადგენდეს სახლში არსებული ქცევის/დამოკიდებულებების რეპლიკაციას. მაშინაც კი, როდესაც ამ ტიპის ქცევა შესაძლოა პირდაპირ მოიცავდეს ძალადობას, უფლებების დარღვევას, მართალია, საჭიროა პირდაპირი რეაგირება, თუმცა ეს არ უნდა იყოს დამოძღვრა, მორალის კითხვა, უმჯობესია დაიგეგმოს ისეთი აქტივობები, რომელთა მიზანია ახსნა, რეფლექსია, ქცევის შედეგების გააზრება. შეუწყნარებლობაზე საუბრისას უმჯობესია ეს რეფლექსია დაიწყოს სხვა, ზოგადი შემთხვევების განხილვით და არა კონკრეტულად კლასში მომხდარი ამბით. დისკუსიისას პედაგოგს შეუძლია საუბარი წაიყვანოს კონკრეტული შემთხვევისკენ, ეს ეხმარება მოსწავლეებს თავად გაიაზრონ და დაარქვან სახელი შეუწყნარებლობის ფაქტს. მნიშვნელოვანია მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ შეუწყნარებლობა, განსხვავებულის მიუღებლობა გლობალური პრობლემაა და ამის კლასის დონეზე აღმოფხვრით ისინი მონაწილეობენ ძალიან მნიშვნელოვანი, საყოველთაო პრობლემის გადაჭრაში.

*შეუწყნარებლობის სიმპტომები:*

**ენა** - სასაუბრო ენა, რომელიც მიზნად ისახავს კონკრეტული რასის, კულტურის, ნაციონალობის, სექსუალური ორიენტაციის ჯგუფის დამცირებას, ახდენს მის დეჰუმანიზებას;

**სტერეოტიპები** - ჯგუფის ყველა წევრისთვის მსგავსი (როგორც წესი უარყოფითი) სტერეოტიპების მიწერა;

**დაცინვა** - ყურადღების გამახვილება კონკრეტულ ქცევებზე, მახასიათებლებზე, მასხრად აგდების ან შეურაცხყოფის მიზნით;

**ცრურწმენები** - ნეგატიური სტერეოტიპებით გენერალიზებული მსჯელობა, რომელიც არ ეყრდნობა კონკრეტულ ფაქტებს, ან კონკრეტული ჯგუფის ან ინდივიდის ქცევას;

**განტევების ვაცად გადაქცევა** - სოციალური პრობლემების ან ტრავმატული მოვლენების გადაბრალება კონკრეტულ ჯგუფზე;

**დისკრიმინაცია** - კონკრეტული ჯგუფის გამორიცხვა სოციალური სარგებლის მიღებისგან და გარკვეულ აქტივობებში ჩართვისგან;

**ოსტრაციზმი/განდევნ**ა - ქცევა, როდესაც თითქოს სხვა არ არსებობს, ან იქ არ იმყოფება, როდესაც კონკრეტულ ადამიანს/ადამიანთა ჯგუფს არ ესაუბრები, არ სცნობ მათ კულტურას;

**შევიწროება** - განზრახი ქმედება, რომლის მიზანია სხვების დამცირება, რაც უმეტესად ხორციელდება საზოგადოებიდან, ორგანიზაციიდან ან ჯგუფიდან მათი განდევნისთვის;

**სიწმინდის შებღალვა და დამახინჯება** - რელიგიური ან კულტურული სიმბოლოების შებღალვა, რომელიც მიზნად ისახავს რწმენისა და იდენტობის დამცირებას, დაცინვას, რომელიც კონკრეტული ადამიანთა ჯგუფისთვის მნიშვნელოვანია;

**ბულინგი** - უპირატესი ფიზიკური ძალის ან რაოდენობის გამოყენება სხვის დასამცირებლად, სტატუსის ან ქონების წასართმევად, კონკრეტული ქმედების იძულება;

**გაძევება** - ოფიციალურად და ძალადობრივად გაძევება კონკრეტული ადგილიდან, სოციალური ჯგუფიდან, პროფესიიდან და ნებისმიერი ადგილიდან ან ჯგუფური აქტივობიდან.

**გარიცხვა/უგულებელყოფა** - ფუნდამენტური საჭიროებების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, საზოგადოებაში სრულუფლებიანი ჩართულობის გამორიცხვა, საზოგადოებრივ აქტივობებში ჩართულობაზე უარის თქმა;

**სეგრეგაცია** - სხვადასხვა რასის, რელიგიის, სქესის ადამიანების ძალადობით განცალკევება, რაც უმეტესად კონკრეტული ჯგუფისთვის გარკვეული უფლების წართმევას ისახავს მიზნად;

**რეპრესია** - ადამიანის უფლებებით სარგებლობის ძალადობრივი აღკვეთა;

**დესტრუქცია** - ფიზიკური ძალადობა, მკვლელობა, შეიარაღებული თავდასხმა.

*ტოლერანტობა და პოზიტიური სოციალური ინდიკატორები, შემწყნარებლური გარემოს მაჩვენებლები:*

**ენა** - რასობრივი, ეთნიკური და გენდერული ეპითეტების არარსებობა, წინასწარ განწყობითი ზედსართავების არარსებობა კონკრეტული მოვლენებისა და ადამიანების აღსაწერად;

**საზოგადოებრივი წესრიგი** - თანასწორი გარემო, თანაბარი ხელმისაწვდომობა, თანაბარი შეაძლებლობები ყველასთვის;

**სოციალური კავშირები** - ურთერთპატივისცემაზე დაფუძნებული ურთიერთობები;

**პოლიტიკური პროცესები** - დემოკრატიული პროცესები, რომლებიც უზრუნველყოფს უმცირესობების, ქალების, კაცების თანაბარ შეაძლებლობებს;

**უმრავლესობების-უმცირესობების ურთიერთობები** - შეგნებულად უმრავლესობასა და უმცირესობას შორის დიალოგის უზრუნველყოფა, კულტურული იდენტობის შენარჩუნების ხელშეწყობა, უმცირესობების უფლებების დაცვა;

**საზოგადოებრივი ღონისძიებები** - საზოგადოებრივი ღონისძიებების ორგანიზებაში ყველას ჩართვა, მონაწილეობა, ისტორიული მოვლენების გაშუქება ყველა ჯგუფის მიმართ სენსიტიური მიდგომით, უმცირესობათა ტრადიციების აღნიშვნა;

**რელიგიური რიტუალები** - არავინ არის ვალდებული ჩაერთოს რელიგიურ აქტივობებში სურვილის საწინააღმდეგოდ, ასევე შეუძლია მისდიოს საკუთარ რწმენას, ისე, რომ არ ხელყოს სხვათა უფლებები;

**ჯგუფებს შორის თანამშრომლობა** - საერთო გამოწვევებზე პასუხისას ჯგუფებს შორის თანამშრომლობა, საერთო სოციალური მიზნებისკენ ერთობლივი სწრაფვა.

*შეუწყნარებლობის რთული ფორმები:*

**სექსიზმი** - ქალების სრულუფლებიანი მონაწილეობის გამორციხვა საზოგადოებაში, მამაკაცების უპირატესობების აღიარება;

**რასიზმი** - რასობრივი მიზეზით ადამიანის უფლებების ხელყოფა;

**ეთნოცენტრიზმი** - კულტურის ან ენის გამო გარიყვა;

**ანტი-სემიტიზმი** - ებრაელი ხალხის დისკრიმინაცია;

**აგრესიული ნაციონალიზმი** - კონკრეტული ერის უპირატესობის აღიარება;

**ფაშიზმი** - რწმენა, რომ სახელმწიფო არ უნდა იყოს შემწყნარებელი განსახვევბულობის მიმართ და რომ სახელმწიფოს აქვს კონტროლი მოქალაქეთა სიცოცხლეზე;

**ქსენოფობია** - უცხოელების მიმართ სიძულვილი და შიში, რწემნა, რომ სხვა/გარედან მოსული ავნებს საზოაგდოებას;

**იმპერიალიზმი** - ადამიანის ან ადამიანების დამორჩილება, მათი ქონებისა და რესურსის კონტროლი;

**ექსპლოატაცია** - ადამიანების დროისა და შრომის გამოყენება სამართლიანი კომპენსაციის გარეშე, გარემოსა და რესურსების მიმართ მფლანგველური დამოკიდებულება;

**რელიგიური ფანატიზმი** - კონკრეტული რწმენის მქონე ადამიანების განდიდება, განწყობა, რომ კონკრეტული რწმენა არის რელიგიის ერთადერთი აუთენტური ინტერპრეტაცია;

**პოლიტიკური რეპრესია** - პოლიტიკურ იდეებზე ღია და თავისუფალი დისკურსის არარსებობა, პოლიტიკური ჩართულობისთვის ხელის შეშლა, თავისუფალი არჩევნების უარყოფა, ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვა.

ცოტაა ადამიანი, რომლებსაც არ ახასითებთ გარკვეული ტიპის ცრურწმენები, თუმცა მნიშვნელოვანია მათი წარმომავლობისა და ადამიანის ქცევასა და აზროვნებაზე მათი ზეგავლენის გააზრება. ცრურწმენებზე საუბრისას, პედაგოგი უნდა ეცადოს განახორციელოს გარკვეული თემების სენსიტივიზაცია, რათა მოსწავლეებმა გაიაზრონ, რომ ისინი შესაძლოა გახდნენ ცრურწმენათა მსხვერპლნი და ამავდროულად დისკრიმინაციის სუბიექტი. ცრურწმენა შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც აზროვნების შეზღუდვა, თუმცა პედაგოგმა უნდა გააცნობიეროს, რომ შესაძლოა ეს იყოს იმ ფაქტორებზე ემოციური პასუხი, რომლის შესახებაც მას ინფორმაცია არ აქვს. ეს არის პროცესი, სადაც პედაგოგიც შესაძლოა იყოს ინფორმაციის მიმღები.

შეუწყნარებლობა შესაძლოა იყოს ბულინგისა და ძალადობის გამომწვევიც. სასკოლო ძალადობა დიდ წილად უკავშირდება სასკოლო ბულინგს.

**იმისათვის, რომ სკოლამ შეძლოს ძალადობასთან გამკლავება:**

- უნდა გააცნობიეროს პრობლემა;
- შექმნას ანტი ძალადობრივი ატმოსფერო;
- მნიშვნელოვანია კვლევის ჩატარება პრობლემის მასშტაბის შესასწავლად;
- კვლევის შედეგების გაცნობა მოსწავლეებისა და პედაგოგებისთვის;
- გარეშე ორგანიზაციების ჩაბმა და სხვა.

**ძალადობასთან ბრძოლის სტრატეგიები:**

- დაუყოვნებლივი ჩართვა/ინტერვენცია ძალადობის იდენტიფიცირებისას;
- არაძალადობრივი სწავლების მეთოდების გამოყენება; ანტიძალადობრივი პროგრამების არსებობა; უზრუნველყოფა, რომ პედაგოგი არ მოდელირებდეს ძალადობას; ძალადობის შემთხვევების გაცხადებისა და შესწავლის წახალისება;
- ბულინგის შემთხვევებზე სწორი რეაგირება;
- მნიშვნელოვანია, როგორც მსხვერპლის, ასევე არატოლერანტული ქცევის გამომვლენ პირთან მუშაობა;

- ძალადობის გადაწყვეტის კონსტრუქციული გზაა, კონფლიქტების არაძალადობრივი გზით გადაწყვეტის სწავლება.

**ბულინგის პრევენციისა და მიმღებლობის/ტოლერანტობის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ტოლერანტული და მხარდამჭერი საკლასო გარემოს შექმნა:**

ბავშვმა თავი უნდა იგრძნოს მნიშვნელოვნად, დაფასებულად და უნიკალურად; ჰქონდეს მაქსიმალური თავისუფლება; უნდა გრძნობდეს თავს უსაფრთხოდ, კომფორტულად და ენდობოდეს იქ მყოფებს; ხელი უნდა შეეწყოს მოსწავლეთა მეგობრობას, მათ შორის, ემპათიას, ერთმანეთის საჭიროებებისა და გრძნობების პატივისცემას; უნდა იგეგმებოდეს აქტივობები, სადაც ბავშვები თანამშრომლობენ; უნდა არსებობდეს გარემო, რომელიც ხელს უწყობს საკუთარი თავის შეცნობას, განსხვავებულობის შესწავლას, საკუთარი იდეებისა და გრძნობების გაზიარებას, სხვების გაგებას, სასკოლო გარემო უნდა ქმნიდეს სოციალური უნარების განვითარების შესაძლებლობას; პედაგოგი უნდა ეცადოს შექმნას გარემო, სადაც ბავშვებს აქვთ პოზიტიური თვითშეფასება, ემპათიურობა და ტოლერანტობა, კარგი მოსმენის უნარები, პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომა, იცნობენ კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის გზებს.

პედაგოგი უნდა წარმოადგენდეს პოზიტიური ქცევის მოდელს. იმ სკოლებში, სადაც არიან უმცირესობათა წარმომადგენლები, კარგი იქნება ამ ბავშვების ჩაბმა ტოლერანტობის წამახალისებელ აქტივობებში (მათი რესურს-ადამიანად ჩართვა). მათ უნდა გაუზიარონ კლასელებს ინფორმაცია საკუთარი რწმენის, ჩვეულებების შესახებ. სკოლა უნდა წარმოადგენდეს გარემოს, სადაც შემწყნარებლობაზე არა მხოლოდ ფიქრობენ და საუბრობენ, არამედ მას პრაქტიკაშიც ახორციელებენ.

სკოლა, როგორც ინსტიტუციური აგენტი და ტოლერანტული საკლასო კლიმატი, გამსჭვალული უნდა იყოს ტოლერანტობის ღირებულებებითა და პრაქტიკით. კერძოდ, ნეგატიური გამოცდილებებია: დაკითხვა, იგნორირება, სახელების დარქმევა, დამოძღვრა, შერცხვენა, დაბრალება, კრიტიკა. პოზიტიური მიდგომებია: რჩევის მიცემა, მოსმენა, შეთანხმება, ემპათიის გამოხატვა, წესრიგის ხელშეწყობა, ღია, მზრუნველი, უსაფრთხო საკლასო კლიმატის შექმნა.

მნიშვნელოვანია ამ კუთხით პედაგოგების კავშირი მშობლებთან. პედაგოგებმა უნდა იცოდნენ ასევე, რამდენად შეუძლია სხეულის ენასა და სახის გამომეტყველებას ინტერ პერსონალურ ურთიერთობებზე ზეგავლენის მოხდენა. მაგალითად: ღიმილი, თავის დაკვრა, თვალის ჩაკვრა, წარბის აწევა, მკლავის გაშლა, ყურადღებით ყურება, ტაშის კვრა, ხელის ჩამორთმევა, მიშტერება, ათვალიერებ-ჩათვალიერება, ფეხის დაბაკუნება, დოინჯით დგომა, ზურგის შექცევა, როდესაც მოსწავლე საუბრობს. ეს აჩვენებს პედაგოგის დამოკიდებულებას მოსწავლის მიმართ, პედაგოგთა ნაწილი, სამწუხაროდ, ვერ აკონტროლებს საკუთარი საუბრის/პედაგოგიური მიდგომის მანერულობას.

საგანმანათლებლო პროცესი უნდა ასახავდეს თანამედროვე მსფოლიოს გამოწვევებს. მომავალზე ორიენტირებული მიდგომა უნდა იყოს ცენტრალური საგანამანთლებლო პროცესში. სასურველია პედაგოგებმა იხელმძღვანელონ გაეროს მიერ აღიარებული შემდეგი პრინციპებით: მიეცით განათლება სიყვარულით და სიყვარულისთვის; გამოასხივეთ და აირეკლეთ სიმშვიდე; ჩართეთ მშობლები და საზოგადოება; წაახალისეთ მონაწილეობა/ჩართულობა; პატივი ეცით ინდივიდის მნიშვნელოვნებას; შექმენით სამართლიანი ატმოსფერო; ნაკლებად გაუსვით ხაზი იერარქიულ ურთიერთობას; ასწავლეთ თავისუფალ გარემოში და საკლასო ოთახში გქონდეთ დემოკრატია; უარი თქვით

მანიპულაციასა და ავტორიტარიზმზე; წაახალისეთ დიალოგი, ურთიერთგაგება და სოლიდარობა; ასწავლეთ გაზიარება; იყავით მაგალითი, აჩვენეთ, რომ მშვიდობა რეალური შესაძლებლობაა, ხელი შეუწყეთ გულწრფელობასა და შემწყნარებლობას; იცოდეთ, როგორ მოუსმინოთ; მიეცით საშუალება მოსწავლეებს გადაჭრან პრობლემები.

***ზოგიერთი ქცევა, რომელიც შესაძლოა იყოს შეუწყნარებლობის ინდიკატორი***

**კომუნიკაციის ენა** ➡ კლასში ეძახიან თუ არა ბავშვები ერთმანეთს რასობრივად ან ეთნიკურად მოტივირებულ სახელებს;

**სტერეოტიპი** ➡ განიხილავენ თუ არა ბავშვები განსხვავებულად რასობრივ, ეთნიკურ უმცირესობებს, მოხუცებს ან შშმ პირებს;

**დაცინვა** ➡ ამცირებენ თუ არა ბავშვები სხვებს პერსონალური მახასიათებლების, ცხოვრების წესის, შეცდომების გამო;

**წინასწარგანწყობა** ➡ მიიჩნევენ თუ არა, რომ ზოგიერთი ბავშვი ნაკლებად არის უნარიანი, რასობრივი ან ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური კუთვნილების გამო;

**განტევების ვაცად ქცევა** ➡ აბრალებენ თუ არა წარუმატებლობას, დავას, წაგებას კონკრეტულ ბავშვს ან ჯგუფს;

**დისკრიმინაცია** ➡ რეგულარულად არ მიიჩნევენ კონკრეტულ კლასელებს პარტნიორებად, გუნდელებად;

**ოსტრაციზმი** ➡ არის პერიოდები, როდესაც კონკრეტულ ბავშვს ან ბავშვთა ჯგუფს არ ესაუბრებიან და არ რთავენ საერთო აქტივობებში;

**შევიწროება** ➡ ბავშვების ნაწილი ავიწროებს სხვებს რიგიდან გამოგდებით, ანონიმური წერილების დატოვებით, კარიკატურების დახატვით მათ მერხებსა და რვეულებში, სხვა აქტივობით, რომელიც მიმართულია სხვა ბავშვის ვიქტიმიზაციისკენ;

**სიწმინდეების შებღალვა** ➡ გრაფიტი, ნახატების დაზიანება, რაც განპირობებულია სკოლის, სხვა ბავშვის ნამუშევრების დაზიანების სურვილით;

**ბულინგი** ➡ სხვა უფრო სუსტი ან პატარა ბავშვების დაჩაგვრა, სოციალური სტატუსის გამოყენება სხვისი იძულებისთვის გააკეთოს ის, რაც სურს მოძალადეს;

**გარიყვა/გაძევება** ➡ ბავშვების გამოდევნა გუნდიდან, კლუბიდან, სამუშაო ჯგუფიდან უსამართლოდ და შეურაცხმყოფელი გზით;

**გამორიცხვა** ➡ ზოგიერთი ბავშვის მუდმივად გამოგდება თამაშებიდან, კლასგარეშე აქტივობებიდან;

**სეგრეგაცია** ➡ მოსწავლეთა სოციალიზაცია ძირითადად იგივე რასობრივ ჯგუფთან, რელიგიურ, ეთნიკურ ან გენდერულ ჯგუფთან;

**რეპრესია** ➡ სხვა ბავშვების შერცხვენა, იძულება არ მიიღონ მონაწილეობა დისკუსიებში, სოციალურ ინტერაქციებში;

**დესტრუქცია** ➡ სხვა ბავშვებზე შეტევა, მათი ფიზიკურად დაზიანება სხვა ბავშვების მხრიდან.

არ არსებობს ადამიანი, რომელიც ოდესმე მაინც არ იჩენს შეუწყნარებლობას. ეს შესაძლოა გამოიხატებოდეს ისეთ მარტივ ფორმაში, როგორიცაა, განსხვავებულის აუტანლობა, თუმცა შესაძლოა ეს გამოიხატოს უფრო სერიოზულ ქცევაში, როგორიცაა, სხვა ადამიანის თვითშეფასების, მისი ღირსების დაზიანება. სამწუხაროდ, პედაგოგებს არ აქვთ იმუნიტეტი შეუწყნარებლობის მიმართ. ვინაიდან ამას შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდეთ ბავშვებზე, ყველა პედაგოგი უნდა იყოს ფრთხილი და ყურადღებიანი საკუთარი ქცევისა და დამოკიდებულებების მიმართ.

*ტოლერანტობის მაჩვენებელი ქცევა სასკოლო გარემოში:*

➞ ბავშვები არ იყენებენ შეურაცხმყოფელ ენას ერთმანეთის მიმართ; ისინი ეხმარებიან კლასელებს;

➞ ყველას მიმართ მოპყრობა თანაბარია, ყველა თანამშრომლობს კარგი სასწავლო კლიმატის შესაქმნელად;

➞ მოსწავლეები და ბავშვები ურთიერთობენ პატივისცემით, ბავშვები ერთმანეთს ეპყრობიან პატივისცემით;

➞ყველას აზრის მოსმენა წახალისებულია, ისინი გამოთქვამენ აზრს, ერთვებიან დისკუსიაში;

➞ყველა ბავშვს, მათ შორის, სხვადასხვა კულტურული, ეთნიკური, რელიგიური, ლინგვისტური უმცირესობის წარმომადგენლებს ეპყრობიანი პატივისცემითა და მგრძნობელობით, სასწავლო პროგრამაში ჩართულია უმცირესობების საკითხები;

➞ ყველა ღონისძიებაში, სხვადასხვა სქესის ბავშვები და უმცირესობები თანაბრად არიან ჩართულნი;

➞ შესაძლებლობის ფარგლებში, სკოლა აღნიშნავს სხვადასხვა კულტურული ჯგუფების დღესასწაულებს;

➞ ბავშვების რწმენას პატივს სცემენ. ყველას ეძლევა შესაძლებლობა თუ სურვილი აქვს კლასელებს ესაუბროს თავის რელიგიაზე. ყველა გამოხატავს პატივისცემას მისი რელიგიის მიმართ;

➞ თანამშრომლობა და ჯგუფური სამუშაო ხშირად ტარდება, პედაგოგი ცდილობს ჯგუფური სამუშაოს დროს წარმოდგენილი იყოს ყველა კულტურისა და იდენტობის ინტერესი.

*ტოლერანტობის შვიდი საფუძველი:*

➞გააცანით ბავშვებს საყოველთაო ადამიანური ღირსების იდეა, რომ ჩვენ ვალდებულები ვართ სხვებს მივცეთ ღირსეული ცხოვრების უფლება, უფლება გახდნენ თავიანთი კულტურის სრულუფლებიანი წევრები;

➞პედაგოგებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ყველა მოსწავლე ერთმანეთს იცნობდეს (სხვადასხვა აქტივობების გამოყენებით);

➞განსხვავებულობის შესწავლა კლასში;

➞უნიკალურობის ხაზგასმა: მოსწავლეებმა უნდა გაიგონ, რომ ისინი ყველანი ადამიანები არიან, თუმცა ახასიათებთ ჯგუფური და ინდივიდუალური განსხვავებულობა, ყველა უნიკალური და შეუცვლელია, ყველა მათგანი შენაძენია კაცობრიობისთვის;

➞ ბავშვებმა უნდა შეისწავლონ როგორ შეუძლია მათ განსხვავებულობას ჯგუფის დახმარება, როდესაც თითოეულის განსხვავებული უნარები მნიშვნელოვანია თანამშრომლობისთვის;

➞ ბავშვებს უნდა ჩაუტარდეთ ერთობლივი სწავლის, პრობლემის საერთო გადაჭრის სესიები, რათა მათ ნახონ როგორ უწყობს თანამშრომლობა ხელს საერთო ინტერესს;

➞ ბავშვები ჩართულნი უნდა იყვნენ აქტივობებში, რომლებიც ხაზს უსვამს ჰარმონიას, მხიარულებას, რომელიც ახლავს მშვიდობიან თანაარსებობას. მნიშვნელოვანია განსხვავებულთან თანამშრომლობის უნარების გამომუშავება, პედაგოგი ყურადღებით უნდა მოეკიდოს ჯგუფების დაკომპლექტებას, უზრუნველყოს, რომ ბავშვებს ჰქონდეთ, როგორც მსგავსთან, ისე განსხვავებულთან მუშაობის გამოცდილება.

***<u>კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოგვარება</u>***

კონფლიქტის განმუხტვა გულისხმობს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, სადაც უნდა შეფასდეს ვისი არგუმენტები მოაგვარებს ან გადაწყვეტს კონფლიქტს იმგვარად, რომ მოხდეს მშვიდობისა და ადამიანის უფლებების გათვალისწინება. არსებობს სხვადასხვა სახის კონფლიქტები, რომლებიც გულისხმობს როგორც მცირე სახის უთანხმოებას, ასევე ძალადობრივ კონფლიქტს. მართალია, კონფლიქტი შესაძლოა განსხვავდებოდეს ინტენსიურობითა და კონკრეტული მიზეზით, თუმცა აქვს საერთო მახასიათებლებიც: ემოციური სიბრაზე, ფრუსტრაცია, შიში, კომუნიკაციის ნაკლებობა, ერთმანეთის ბრალდებისა და დადანაშაულების ტენდენცია, ესკალაცია. პატიების თხოვნა, მობოდიშება მნიშვნელოვანია, თუმცა სერიოზული კონფლიქტების დროს ზოგჯერ ისინი არ მუშაობს. ყველა მხარე ფიქრობს, რომ მსხვერპლია, რომლის უფლებებიც მეორე მხარემ შელახა და ისინი იძულებულნი გახდნენ ისე მოქცეულიყვნენ, როგორც მოიქცნენ. მხოლოდ მაშინ, თუ ისინი მოისმენენ მეორე მხარის პოზიციას იმ ტანჯვასა და განცდებზე, რაც მათ გადაიტანეს, შესაძლოა დაივიწყონ წარსული და სამომავლოდ დაამყარონ უკეთესი ურთიერთობები.

კონფლიქტების გადაჭრა კიდევ უფრო რთულდება კულტურული, თუ სხვა ტიპის განსხვავების არსებობის დროს. შესაბამისად, ადამიანებისთვის მნიშვნელოვანია კარგი მოსმენისა და კომუნიკაციის უნარები, ინტერ პერსონალური ურთიერთობის ფსიქოლოგიური ასპექტები, სხვებთან კონსტრუქციულად მუშაობის უნარი. მათ თავი უნდა აარიდონ ქცევას, რომელიც აღრმავებს კონფლიქტს, ბრაზის დესტრუქციულად გამოხატვას, ბრალდებით გამსჭვალულ დამოკიდებულებას. კონფლიქტის მოგვარებით დაინტერესებული მხარეები შესაძლოა იყვნენ არა მხოლოდ ისინი, ვინც უშუალოდ მონაწილეობს კონფლიქტში, არამედ ისინიც, რომელთა წინააღმდეგობამაც შესაძლოა ხელი შეუშალოს კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას. ესენი შესაძლოა იყვნენ ფაქტობრივი და პოტენციური ოპონენტები, მათი მხარდამჭერები. მხარეების ჩართულობით საკითხი შესაძლოა კომპლექსური გახდეს, თუმცა ამავდროულად ეს ხდება საერთო გამოწვევა, მხარეები ჩართულნი არიან და ცდილობენ ერთობლივი გადაწყვეტილება პრაქტიკული და განხორციელებადი იყოს. კონფლიქტების მოგვარების გადაწყვეტილება უნდა აერთიანებდეს რამდენიმე ძირითად საჭიროებას ყველა მხარისთვის: უსაფრთხოების საჭიროება, იდენტობა, აღიარება, ჩართულობა/მონაწილეობა და განვითარება. ისინი, ვინც ჩართულნი არიან ძალადობრივ კონფლიქტში სხვისი უფლებების შეზღუდვას აღიქვამენ როგორც პირდაპირ ფასს მათი უფლებების აღდგენისთვის. მესამე მხარეები/მედიატორები მნიშვნელოვანი მხარეა კონფლიქტის მოგვარებაში. ისინი მხარეებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, რადგან მათ არ შეუძლიათ გადაწყვეტილების თავს მოხვევა. თუმცა მათ მოაქვთ იდეები, უნარები და ინფორმაცია. მედიატორებს შეუძლიათ სტერეოტიპებისა და ცრუ მოსაზრებების მსხვრევა, მათ

შეუძლიათ საკითხის ხედვის გაფართოება, კონფლიქტის გაგების გაღრმავება, გადაჭრის კრეატიული გზების მოსაფიქრებლად გარემოს შექმნა. მათ შეუძლიათ ისეთი მიზნების მიღწევა, რასაც მხარეები მათ გარეშე ვერ შეძლებდნენ, მათ შეუძლიათ მხარეებს მისცენ მათი ქცევის გამართლების ისეთი მიზეზი, რომელიც მათ „სახესაც შეუნარჩნებს" და თავიდან აარიდებს კონფლიქტის სპირალში შესვლას. ასევე მხარეები შეძლებენ დაინახონ კონფლიქტის გადაჭრის სარგებელი და შემდგომი შესაძლებლობები. კონფლიქტის გადაჭრის გზები შემოსაზღვრულია იმ ადამიანების წარმოსახვითა და ფანტაზიით, რომლებსაც სურთ მისი გადაჭრა. ხშირად პირველ რიგში წახალისებულია მოლაპარაკებები, შემდეგ მედიაციის გარკვეული ფორმა და ბოლოს თუ გადაწყვეტა მაინც ვერ ხდება, საჭიროა საკითხების უფრო ფორმალური განხილვა.

***<u>თანატოლთა მედიაცია</u>***

ბულინგი ბევრ ქვეყანაში წარმოადგენს სასკოლო პრობლემას. ამან აიძულა კანადა დაეწყო კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების სწავლება, სადაც ბავშვები სწავლობენ მოისმინონ კონფლიქტში ჩართული მხარეების განსხვავებული აზრი, შემდეგ კი თანატოლთა მონაწილეობით მოძებნონ კონფლიქტიდან გამოსავალი. როდესაც ბავშვები ავითარებენ მოლაპარაკებების ენას, პედაგოგები აკვირდებიან მათ. აღნიშნული პროექტების მიზანია: ბავშვებმა ისწავლონ მათგან განსხვავებულთან თანაცხოვრება და მათი პატივისცემა, განივითარონ მოლაპარაკებების უნარი, რათა იმუშაონ მულტიკულტურულ და განსხვავებულ საზოგადოებაში, ბავშვებმა შეძლონ (მათ შორის წერილობით) თავიანთი პოზიციების წარმოდგენა, მოხდეს მათი წახალისება მონაწილეობა მიიღონ პრობლემის მოგვარებაში და შესაძლო გადაჭრის გზების მოძიებაში. ამით ისინი პასუხისმგებლობას აიღებენ საკუთარ ქმედებებზე და სკოლის საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ბავშვებმა უნდა გააცნობიერონ, რომ გარკვეული პასუხისმგებლობა აქვთ იმ სამყაროზე, სადაც ცხოვრობენ.

ის ბავშვები, რომლებსაც აქვთ ამის მზაობა, შესაძლოა გახდნენ ე.წ. „მშვიდობისმყოფელები". მათ როლს წარმოადგენს სხვების კონფლიქტურ სიტუაციაში ჩარევა და კითხვების დასმა, რომლებიც ბავშვებს დიდი ხნის მანძილზე აწუხებთ. გსურთ ამ პრობლემის გადაჭრა? გსურთ ჩავერიოთ პრობლემის გადაწყვეტაში? თუ გირჩევნიათ პედაგოგის დახმარებით მოაგვაროთ? მზად ხარ მოისმინო? არ გაიქცე, არ გააწყვეტინო? არ დაარქვა ზედმეტსახელები? ილაპარაკო სიმართლე? როდესაც ბავშვები გამოთქვამენ მზადყოფნას მოაგვარონ კონფლიქტები, დაიცვან წესები, მშვიდობისმყოფელები ერთვებიან, გამოთქვამენ მზადყოფნას გამოხატონ საკუთარი აზრი და მოუსმინონ სხვას. ამის შემდეგ იწყება გადაჭრის გზების შეთავაზება, ვიდრე მოინახება ისეთი გადაწყვეტა, რომელზეც ყველა თანახმაა. ყველა ხელს ართმევს ერთმანეთს და ეკითხება ხომ ყველაფერი რიგზეა. თანატოლთა მედიაციამ გააუმჯობესა ბავშვების თანამშრომლობის უნარი ჯგუფებად და მთელი კლასის მასშტაბით. ბავშვები არ უნდა ჩარჩნენ ტრადიციებში, რომ ტკივილსა და ფრუსტრაციაზე აგრესიით ან დუმილით არ უპასუხონ. მათ შეუძლიათ ჩაერთონ უსაფრთხო გარემოს შექმნაში, სადაც მათ პატივს სცემენ.

# გაკვეთილის ჩატარების გეგმა

*<u>გაკვეთილის მიზანი</u>*: ტოლერანტული საკლასო/სასკოლო გარემოს უზრუნველყოფა, სადაც ბავშვები თავს გრძნობენ უსაფრთხოდ; ყველა ბავშვი თანასწორი და თანაბრად მნიშნელოვანია, მათ შეუძლიათ თავისუფლად გამოხატონ თავიანთი აზრი ისე, რომ არ მოხდეს მათი დისკრიმინაცია ამა თუ იმ ნიშნით.

*<u>მოდულის სტრუქტურა:</u>* მოდული აერთიანებს <u>თეორიულ მასალას</u>, <u>სავარჯიშოების კრებულს,</u> რომლიდანაც პედაგოგი ირჩევს არსებული თემატიკისა და აქტუალობის შესაბამის სავარჯიშოს. ასევე, ცალკე დოკუმენტის სახით, მოდულს ახლავს <u>საკითხავი მასალა პედაგოგებისთვის,</u> რომელიც მათ სჭირდებათ იმისათვის, რომ უკეთ გააცნობიერონ შემწყნარებლობის/მიმღებლობის შესახებ გაკვეთილების ჩატარების მნიშვნელობა და უფრო სიღრმისეულად დაფიქრდნენ აღნიშნული საკითხის აქტუალობაზე. მოდულის ბოლოს მითითებულია პედაგოგებისთვის განკუთვნილი დამატებითი რესურსები.

*<u>თეორიული მასალა ბავშვებისთვის</u>*:

ადამიანის უფლებები ზოგადად, ასევე ცალკე ბავშვთა უფლებები, გაერთიანებულია გარკვეული სახის დოკუმენტებში, რომლებზეც სხვადასხვა ქვეყნები ერთობლივად თანხმდებიან და იცავენ. ერთ-ერთი ასეთი დოკუმენტია 1948 წლის 10 დეკემბერს მიღებული „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია“, სადაც საუბარია, რომ  ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანასწორი თავისი ღირსებითა და უფლებებით. ყველა ადამიანი ერთმანეთის მიმართ პატივისცემით უნდა იქცეოდეს. ყველა უფლება და თავისუფლება მინიჭებული უნდა ჰქონდეს ყოველ ადამიანს განურჩევლად რაიმე განსხვავებისა, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულების, ეროვნების მიხედვით, მიუხედავად იმისა მდიდარია, თუ ღარიბი.

ასეთივე ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტია „ბავშვის უფლებათა კონვენცია“, რომელიც 1989 წელს იქნა მიღებული და რომელსაც საქართველოც მიუერთდა. ამ დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფოები პატივს სცემენ  ყველა ბავშვის კონვენციით გათვალისწინებულ უფლებებს, რაიმე განსხვავების გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული, ეთნიკური კუთვნილების მიუხედავად, განურჩევლად იმისა მდიდარია ბავშვი თუ ღარიბი, მიუხედავად მისი  ჯანმრთელობის მდგომარეობისა და დაბადების ადგილისა, მისი მშობლების ვინაობისა და სხვა გარემოებებისა. ზოგიერთი უფლება, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ჩამოყალიბდა უმნიშვნელოვანეს პრინციპად, რომლის დაცვა ყველა სხვა უფლების დაცვის საფუძველია და რომლის დარღვევისასაც სხვა უფლებების დაცვა ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება. ერთ-ერთი ასეთი უფლებაა დისკრიმინაციისგან დაცვის უფლება, რაც გულისხმობს ბავშვთა თანასწორობის ხელყოფისგან დაცვას. თანასწორობის დარღვევა შესაძლოა სხვადასხვა მიზეზით მოხდეს, მაგალითად, იმიტომ, რომ ბავშვი სხვა კანის ფერის მქონეა, არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება, იმიტომ რომ გოგონაა, იმიტომ, რომ ღარიბია, იმიტომ, რომ მისი მშობლები კონკრეტული რელიგიის მიმდევრები არიან და სხვა.

ამ საკითხების მნიშვნელობიდან გამომდინარე, საქართველომ 2014 წელს მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოხვრის შესახებ“, რომლის თანახმად: ყველას შეუძლია თანაბრად ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უფლებებით, მიუხედავად რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი მდგომარეობის, რელიგიის, რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, პოლიტიკური შეხედულებებისა. საქართველოში ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია აკრძალულია. დიკსრიმინაციაა:

- როდესაც ერთნაირ მდგომარეობაში მყოფი პირები სხვადასხვა მდგომარეობაში არიან ჩაყენებულნი, მაგალითდ: თუ კლასის მოსწავლეთა ნაწილს შეუძლია არ მოამზადოს დავალება, ან წამოწვეს და ისე მოისმინოს გაკვეთილის მიმდინარეობა, ან შეუძლია არ ატაროს ფორმა, ნაწილს კი ეს უფლება არ აქვს;
- ასევე როდესაც არათანაბარ მდგომარეობაში მყოფებს ერთნაირად ეპყრობიან, მაგალითად, იმ ბავშვს, რომელიც ეტლით გადაადგილდება არ აქვს პანდუსით სარგებლობის საშუალება და ვთხოვთ სხვა ბავშვების მსგავსად კიბეზე გადაადგილდეს ეტლით.

<u>სავარჯიშოების ნიმუშები (სავარჯიშო უნდა შეირჩეს ინდივიდუალურად თითოეული კლასისთვის, არსებული გამოწვევების, კონტექსტისა და მოსწავლეთა ასაკის გათვალისწინებით).</u>

**აღნიშნულ ქვეთავში მოცემული სავარჯიშოები ეხება შემდეგ თემებს: თავდაჯერებულობა, თვითგამოხატვა, ჯგუფის შეკვრა, მცდარი წინასწარი განწყობების დაძლევა, ბულინგი, პოზიტიური საკლასო გარემო:**

*<u>სავარჯიშო N1(4–8 წლის ასაკობრივი ჯგუფი)</u>*

თვითდაჯერებულობა გამომდინარეობს თვითგამოხატვიდან. იმისგან, რომ ბავშვმა იცოდეს ვინ არის, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი, პედაგოგებმა შესაძლებლობა უნდა მისცენ ბავშვებს დაინახონ საკუთარი თავი და სხვები არსებული წინასწარი განწყობებისგან დამოუკიდებლად. ერთ-ერთ ასეთ სავარჯიშოს წარმოადგენს - „მე ჩანთა“.

ბავშვებს ეძლევათ სუფთა ჩანთა (ტილოსი, პროდუქტის), რათა ის თავისი გემოვნებით გააფორმონ. შემდეგ სახლში მათ უნდა გაავსონ ჩანთა მათთვის მნიშვნელოვანი/ძვირფასი ნივთებით, რომლითაც ამაყობენ. მომდევნო დღეს, მათ უნდა აჩვენონ კლასს რა მიიტანეს. ამ სავარჯიშოთი ბავშვები სწავლობენ, რომ რაც მათ განასხვავებს, ისეთვე მნიშვნელოვანია, როგორც ნივთები, რაც მათ სხვა ბავშვებთან აერთიანებთ. ისინი საკუთარ თავს სხვისი თვალითაც უყურებენ, როგორც ინდივიდებს საკუთარი ტრადიციებით, რომელიც სხვების ტრადიციებზე არც უკეთესია და არც უარესი.

*<u>სავარჯიშო N2 მახინჯი იხვის ჭუკი (5–9 ასაკობრივი ჯგუფები)</u>*

ბავშვებს გავაცნობთ ტექსტს, მახინჯი იხვის ჭუკის ზღაპარს. კლასში მიმდინარეობს შემდეგი საკითხების განხილვა:

1. ახსენით რატომ არავის მოსწონდა იხვის ჭუკი, რატომ იყო ის თავდასხმის ობიექტი? ფიქრობთ, რომ ადამიანებს ახასიათებთ შეუწყნარებლობა სხვებთან ურთერთობაში? გთხოვთ, მოიყვანოთ კონკრეტული მაგალითები, სადაც ფიქრობთ, რომ დისკრიმინაციას ჰქონდა ადგილი.

2. როგორ ფიქრობთ, სხვადასხვა წარმომავლობის ადამიანს შეუძლია მშვიდობიანი თანაარსებობა? თუ ასეა, რატომ არის ეს კარგი? რა ხდება, როდესაც სხვების მიმართ შეუწყნარებლად ვიქცევით?

ადამიანებს, რომლებსაც ხშირად უარყოფენ ხშირად უვითარდებათ არასრულფასოვნების კომპლექსი, რომელიც მოქმედებს მათ თავდაჯერებულობაზე. ტექსტში მონახეთ სიტყვები, რომელიც მიუთითებს იხვის ჭუკის მხრიდან თავდაჯერებულობის დაკარგვაზე. როგორ უნდა დავეხმაროთ ერთმანეთს თავი კარგად ვიგრძნოთ? შეგვიძლია სხვების მიმართ კეთილგანწყობა, როდესაც საკუთარი თავის მიმართ არ გვაქვს კარგი დამოკიდებულება, არ მოგვწონს საკუთარი თავი?

3. გაითამაშეთ ზღაპრის მსგავსი რეალური სიტუაცია. ბავშვები სწავლობენ, როგორია სტერეოტიპული მიდგომა. მოვუყვანოთ ბავშვის უფლებათა დეკლარაციიდან (მათთვის გასაგებ ენაზე) შესაბამისი მუხლი და ვთხოვოთ ტექსტში მოძებნონ ამ უფლების დამრღვევი პასაჟი.

*<u>სავარჯიშო N3:</u>*

**აქტივობა 1:** ბავშვებს შეუძლიათ ერთობლივად იმღერონ ან იცეკვონ. ცეკვა, სადაც საჭიროა ხელები შეაერთონ, მსგავსი/მწყობრი ნაბიჯით იარონ, შეუძლიათ თვითონ მოიფიქრონ მოძრაობები. ამ დროს ბავშვები ერთმანეთთან უფრო ახლოს გრძნობენ თავს (ერთობლივი სიმღერა არის, როგორც არსებული სოლიდარობის გამომხატველი, ასევე სოლიდარული გარემოს შემქმნელი).

**აქტივობა 2**: ოთხკაციან ჯგუფებში მოსწავლეებს შეუძლიათ შექმნან ერთობლივი კოლაჟი. ეს მათ ასწავლის გაინაწილონ სამუშაო და მოახდინონ მისი კოორდინირება. ყველა ჯგუფმა უნდა შექმნას ერთიანი სურათი, მათ თავად უნდა მოახდინონ კოორდინირება. თუმცა ამ კოორდინაციის მიღწევამდე პედაგოგს ბევრი მუშაობა მოუწევს.

**აქტივობა 3:** შეგიძლიათ დაავალოთ მოსწავლეებს დაწერონ ესსე, ლექსი, ან შექმნან ნახატი მშვიდობის, ტოლერანტობის, კონფლიქტების მშვიდობიანად გადაწყვეტის თემაზე. შესაძლოა ამავე თემაზე სასკოლო გამოფენის მოწყობა, სოციალურად დაუცველთათვის ნივთების შეგროვება, მოხუცებულთა სახლების მონახულება, საავადმყოფოების მონახულება. საჭიროა მოსწავლეებს ჰქონდეთ ინფორმაცია ადამიანური განსხვავებების, საერთო თვისებების შესახებ, იცოდნენ როგორ გამოიყენონ ეს პერსონალური განვითარებისა და საზოგადოების გაძლიერებისთვის.

*<u>სავარჯიშო N4:</u>*

**საფეხური 1.** თითოეული ბავშვი წერს სახელს, ასაკს, სქესს, დების, ძმების რაოდენობას, საყვარელ სპორტს, საყვარელ საჭმელს, მუსიკას, საყვარელ საგანს (შესაძლოა ინტერესის მიხედვით კითხვები დაემატოს ან გამოაკლდეს). ხაზი გაუსვით იმ მრავალფეროვან საკითხებს, რომლებიც ახდენს ჩვენ იდენტიფიცირებას, ხაზი გაუსვით მსგავსებებს (საკვები, მუსიკა და სხვ.).

**საფეხური 2.** შეკითხვები: ვინ ვართ ჩვენ? რითი ვგავართ ერთმანეთს? რითი განვსხვავდებით? გავაერთიანოთ ჯგუფები, მაგალითად, მათი საყვარელი სპორტის, საჭმელის მიხედვით (4-7 კაცის მონაწილეობით). ჯგუფებმა უნდა დაასახელონ რატომ მოსწონთ ეს თამაში, საკვები. შემდეგ ხაზი გაუსვით მსგავს მიზეზებს, განსხვავებებს ჯგუფში, განსხვავებულობის იდეას, როგორც ერთიანობის ხელშემწყობს. სთხოვეთ ბავშვებს გაუზიარონ ერთმანეთს მათი საყვარელი გუნდების სახელები, მოთამაშეების სახელები, ადგილობრივი, უცხოური გუნდები.

**საფეხური 3:** რა გაქცევს „მე" „ჩვენის" ნაწილად? როგორ გრძნობთ თავს თქვენს მსგავსებთან? როგორ ვიგრძნობდით თავს მათთან, ვინც გასნხვავებული გემოვნების არის, ცუდად იქცევა? რიგიდან გვაგდებს? როგორ მოექცეოდით მოწინააღმდეგე გუნდის გულშემატკივარს? რამდენად გონივრული იქნებოდა ეს საქციელი?

**საფეხური 4:** აჩვენეთ ფილმი ან ვიდეო, სადაც იდენტობის საერთო ელემენტებს შეუძლია განსხვავებულობის დაძლევა (ასეთი ფილმის მაგალითია „Final Cup", რომელიც ეხება ებრაელი მეომრისა და მისი შემპყრობი არაბის მეგობრობის ისტორიას, რაც ფეხბურთის გულშემატკივორბით იწყება. ასეთივე ფილმია - „Mr. Baseball", რომელიც ეხება ამერიკელი ბეისბოლის მოთამაშისა და მისი კლუბის იაპონელი პრეზიდენტის კულტურული განსხვავებულობის დაძლევას.

ფილმების ყურების შემდეგ განიხილეთ თემები: „ერთიანობა და განსხვავებულობა". განიხილეთ რითი შეიძლება გავდნენ ან განსხვავდებოდნენ ადამიანები: სქესი, რელიგია, ეთნიკურობა, ეროვნება. როგორ ხდება სხვადასხვა ტიპის ადამიანების გაერთიანება, რომ მათ იგრძნონ მსგავსება? მაგალითდ: ქალები და კაცები განსხვავდებიან, ზოგჯერ სხვადასხვა ინტერესები აქვთ, თუმცა შესაძლოა გაერთიანდნენ ეთნიკური, რელიგიური ნიშნით, ეროვნებით. ზოგიერთ ქვეყანაში მშვიდად თანაარსებობენ სხვადასხვა რელიგიის, ეთნიკური წარმომავლობის წარმომადგენლები. სთხოვეთ ბავშვებს მოიყვანონ მაგალითები. რატომ უჭირთ ზოგჯერ განსხვავებულ ადამიანებს თავი მიაკუთვნონ ერთიან ჯგუფს - კაცობრიობას და იცხოვრონ ამ განწყობით?

## *<u>სავარჯიშო N5</u>*

**ერთმანეთის უკეთ გაცნობა:** ბავშვები სხედან წრეზე. მათ ეძლევათ ოთხი წუთი, რათა ინტერვიუ ჩამოართვან მათ გვერდით მჯდომს, მაგალითად: რას აკეთებ თავისუფალ დროს? გყავს თუ არა შინაური ცხოველი? რა ნაწარმოები გიყვარს?

თითოეული წყვილი ერთმანეთს ჩამოართმევს ინტერვიუს და შემდეგ ჯგუფს წარუდგენს მეწყვილეს. პედაგოგი აკეთებს გამამხნევებელ კომენტარებს თითოეულ სპიკერთან დაკავშირებით. ბავშვები უნდა გავაფრთხილოთ, რომ ყველა ბავშვის შესახებ ინფორმაცია მნიშვნელოვანია, ამიტომ ყველას უნდა უსმინონ და არ გააწყვეტინონ. ეს სავარჯიშო განსაკუთრებით კარგად მუშაობს ახალ კლასთან.

## *<u>სავარჯიშო N6</u>*

**(უფლებათა ქარტია/პაქტი).** შეგიძლიათ შესთავაზოთ კლასს შექმნან თავიანთი უფლებების დოკუმენტი, სადაც აღწერენ თითოეული მათგანის უფლებას. მაგალითად: ამ საკლასო ოთახში მე მაქვს უფლება ვიყო ბედნიერი და მომექცნენ კეთილგანწყობილად, რაც ნიშნავს, რომ არავინ დამცინებს, არავინ მოახდენს ჩემ იგნორირებას, არავინ შეურაცხყოფს ჩემ გრძნობებეს; მე მაქვს უფლება ამ ოთახში ვიყო „მე", რაც ნიშნავს იმას, რომ არავინ მომექცევა უსამართლოდ იმიტომ,

რომ მე ვარ მსუქანი ან გამხდარი, სწრაფი ან ნელი, ბიჭი ან გოგო; მე მაქვს უფლება საკლასო ოთახში უსაფრთხოდ ვიგრძნო თავი, რაც გულისხმობს იმას, რომ არავინ შემეხება ხელით (დამარტყამს), მკრავს ხელს ან მუჯლუგუნს; მე უფლება მაქვს მოვისმინო და მომისმინონ, რაც ნიშნავს იმას, რომ არავინ მიყვირებს და ჩემი მოსაზრებები გათვალისწინებული იქნება ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას; ამ საკლასო ოთახში მე მაქვს უფლება შევიცნო/შევიმეცნო საკუთარი თავი, რაც ნიშნავს იმას, რომ შემიძლია ღიად გამოვხატო ჩემი გრძნობები და მოსაზრებები ისე, რომ არავინ გამაწყვეტინოს ან დამსაჯოს.

გამოაკარით დოკუმენტი და ერთხელ სრულად წაიკითხეთ. შემდეგ წაიკითხეთ თითოეული პუნქტი, განმარტეთ, მოისმინეთ მასზე ბავშვების მოსაზრებები, მოიყვანეთ მაგალითები რა იქნება აღნიშნული პუნქტის დარღვევა ან დაცვა, რათა დარწმუნდეთ, რომ ისინი აცნობიერებენ რა ტიპის ქცევა მოეთხოვებათ თანასწორობის, ტოლერანტული გარემოსა და სოციალური პასუხისმგებლობისთვის. ბავშვები უნდა დაფიქრდნენ, თუ ყველას კლასში აქვს ეს უფლებები, რა ტიპის ქცევა მოითხოვება თითოეული მათგანისგან? შემდეგ დღეს სთხოვეთ მათ უპასუხონ აღნიშნულ შეკითხვას. მას შემდეგ, რაც მათ მოლოდინებს გაეცნობით, ჰკითხეთ რამდენად ფიქრობენ, რომ შეძლებენ ამ წესების შესრულებას, ხომ არ გაუძნელდებათ წესების დაცვა? როგორ შეუძლიათ დაეხმარონ ერთმანეთს გახდნენ უფრო შემწყნარებლები/მიმღებლები? შემდეგ უკვე შეგიძლიათ მიიღოთ უფლებათა დოკუმენტი.

### *სავარჯიშო N7*

დაწერეთ პატარა ბარათებზე (ფურცლებზე) სხვადასხვა პირობა, მაგალითად: დავალების მომზადებისგან გათავისუფლება; დაჯდომა ისეთ ადგილას, რომ მოსწავლე დაფას ვერ ხედავდეს; ბარათის ავტორს ეკრძალება სკამზე დაჯდომა; ბარათის ავტორს შეუძლია ხალიჩაზე წამოწვეს და ისე მოუსმინოს მასწავლებელს; ბარათის ავტორს შეუძლია არ მოამზადოს დავალება და სხვ. შემდეგ შემთხვევითი შერჩევით დაურიგეთ მოსწავლეებს, თითოეულ ჯგუფში უნდა იყოს მონაწილეთა თანაბარი რაოდენობა. სავარაუდოდ ბავშვები დაიწყებენ უთანასწორო პირობების გაპროტესტებას. დააკვირდით მხოლოდ ისინი აპროტესტებენ, რომლებსაც პრივილეგირებული უფლებები არ შეხვდათ, თუ სხვებიც.

ამავე უთანასწორო პოზიციაში მყოფებს აუხსენით, რომ წლების მანძილზე ადამიანები სხვადასხვა უფლებებით სარგებლობდნენ იმ ფაქტორების გამო, რომლებიც მათზე არ იყო დამოკიდებული და რომელთა შეცვლა მათ ძალებს აღემატებოდა, მაგალითად, კანის ფერის გამო, იმიტომ რომ იყვნენ კონკრეტული სქესის წარმომადგენლები (ქალები), რასობრივი განსხვავებულობის გამო და სხვა. შემდეგ ჰკითხეთ როგორ გრძნობენ ისინი თავს განსხვავებულ მდგომარეობაში, მათ, ვისაც მეტი უფლება აქვს, ჰკითხეთ რატომ არ გააპროტესტეს ან პირიქით გააპროტესტეს სხვა ნაკლებ უფლებიანი მეგობრის მდგომარეობა? ჰკითხეთ რა გავლენა შეიძლება იქონიოს კლასზე, საზოგადოებაზე ზოგიერთი ადამიანის უფლების შეზღუდვამ მისგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო? რა პასუხისმგებლობა გვაქვს თითოეულ ჩვენგანს, რომლებიც გარკვეული უფლებებით ვართ აღჭურვილნი? რატომ არის რთული სხვისი უფლების დაცვა? და ა.შ.

### *სავარჯიშო N8*

ქაღალდისგან, მუყაოსგან გამოჭერით ბავშვის ფიგურა, რომელიც უნდა იყოს ნეიტრალური სქესის და არ უნდა იყოს იმ ფერის ქაღალდისგან, რომელიც ზოგიერთი ბავშვის ცნობიერებაში სტერეოტიპულად რომელიმე სქესთან ასოცირდება (მაგალითად, ვარდისფერი და ცისფერი).

შესაძლოა ფიგურა იყოს მწავნე ან ყვითელი. მას ასევე უნდა დავარქვათ არა რომელიმე კონკრეტული სახელი, არამედ „მწვანა“ ან „ყვითელა“. შემდეგ შეგიძლიათ უთხრათ ბავშვებს: ბავშვებო, ეს თქვენი ახალი კლასელია „მწვანა“. შეგიძლიათ გამოხვიდეთ და უთხრათ მწვანას რამე საწყენი, რასაც მასზე ფიქრობთ. ამასთან თითოეულმა სიტყვის წარმოთქმის შემდეგ უნდა მოახიოს საკმაოდ დიდი ნაწილი და შეინახოს. მას მერე რაც ბავშვები სათითაოდ ეტყვიან მწვანას თავიანთ აზრებს, მაგალითად: რა დიდი თავი გაქვს, რას გავხარ, არაფერი იცი, შენთან ჯდომა/თამაში არ მინდა და ა.შ. სთხოვეთ მათ წებოვანი ლენტის (ე.წ. სკოჩის) საშუალებით ისევააწყონ „მწვანა“, დააწებონ. მართალია, ფიგურა აეწყობა, თუმცა დაწებებული ნაწილები შესამჩნევი იქნება და ფიგურა პირვანდელ სახეს ვეღარ დაიბრუნებს.

ამის შემდეგ შეგიძლიათ ბავშვებს უთხრათ, რომ ასევეა ადამიანიც. თუ მას აწყენინებ, ცუდად მოიხსენიებ, გულს ატკენ, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა შემდეგ მიიღო კიდეც იმ საზოგადოებაში, მოუბოდიშო, ის ვერასოდეს გახდება ისეთივე, როგორც ამ ფაქტამდე იყო, ის ვეღარასდროს იქნება ძველებური. ამიტომ თითოეულ სიტყვას აქვს დიდი ძალა და მას ადამიანისთვის გულის ტკენა შეუძლია, რამაც შესაძლოა ის სამუდამოდ შეცვალოს. შეგიძლიათ ჰკითხოთ, თავად როგორ იგრძნობდნენ თავს „მწვანას“ ადგილზე? რა შეეძლოთ გაეკეთებინათ, რომ ასეთი შედეგი არ დამდგარიყო?

*სქესის გამო დისკრიმინაცია და გენდერული სტერეოტიპები*

*სავარჯიშო N1*

გაყავით მონაწილეები მცირე ჯგუფებად და სთხოვეთ მოიფიქრონ ქალის სამი როლი (მაგალითად: ცოლი, დედა, ქალიშვილი). სთხოვეთ ასევე დაწერონ, რას მოელის მათგან საზოგადოება აღნიშნული როლიდან გამომდინარე. იმსჯელონ სამართლიანია თუ არა ეს მოთხოვნები. თითოეული ჯგუფი ირჩევს სპიკერს, რომელიც შემდგომ წარმოადგენს ჯგუფის პოზიციას.

შექმენით გოგონებისა და ბიჭების ჯგუფები. სთხოვეთ ჯგუფებს, დაწერონ რომელი უფლებების დაცვა მოუნდებოდათ თავიანთთვის და საპირისპირო სქესის ჯგუფის წევრებისთვის. თითოეულმა ჯგუფმა შექმნას უფლებების ნუსხა, რომელიც უნდა, რომ დაცული იყოს კანონმდებლობით. შემდეგ ჯგუფს წარუდგინონ მათ მიერ შექმნილი დოკუმენტი და იმსჯელონ უფლებების მსგავსებაზე, განსხვავებულობაზე.

*სავარჯიშო N2:*

ქსოვის ან ხეზე მუშაობის, ფეხბურთის ან კულინარიის კლასის ორგანიზება ორივე სქესის ბავშვების მონაწილეობით, სადაც ყველა ბავშვს აქვს თანაბარი შესაძლებლობები. ისინი უნდა იყვნენ შერეულ ჯგუფებში და არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინაცია გენდერული ნიშნით. შემდეგ ჯგუფებმა უნდა გაცვალონ საქმიანობები.

*სავარჯიშო N3.*

დაგვჭირდება რამდენიმე ბუშტი, რომლებსაც მივამაგრებთ ფურცელზე დაწერილ სხვადასხვა გენდერულ სტერეოტიპს, მაგალითად, ქალები ცუდი მძღოლები არიან; მამაკაცები ქალებზე უკეთ სწავლობენ მათემატიკას; ქალი არ უნდა თამაშობდეს ფეხბურთს; დედა ვალდებულია

მამაზე მეტი ყურადღება დაუთმოს შვილს; გადამწყვეტი სიტყვა ოჯახში მამაკაცს ეკუთვნის და სხვა.

შემდეგ ჰკითხეთ ბავშვებს ფიქრობენ თუ არა ასე და რატომ, მოიყვანონ არგუმენტები, გამართონ დისკუსია ამ საკითხზე. შეუძლიათ თუ არა საპირისპირო მაგალითების მოყვანა? დაეხმარეთ საპირისპირო მაგალითების მოძიებაში. როდესაც ჩამოყალიბდებით, რომ ეს უბრალოდ წინასწარ განწყობები და მცდარი შეხედულებებია, თითოეული ბუშტი მასზე დამაგრებული სტერეოტიპის დაძლევისთანავე გახეთქეთ.

***<u>კონფლიქტის გადაწყვეტის მშვიდობიანი ალტერნატივები/მედიაცია</u>***

***<u>ტოლერანტობის პრინციპები</u>***

მიჩნეულია, რომ სოციალური პასუხისმგებლობა გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა და სოციალური ღირებულებების აღიარებიდან. ასეთი ღირებულებებია: სამართლიანობა და თანასწორობა.

ტოლერანტი ადამიანი არის ადამიანი, რომელიც იღებს სხვის გამოცდილებებს და მოსაზრებებს, არ ახვევს სხვას საკუთარ შეხედულებებს. ტოლერანტი ადამიანი განსხვავდება ფანატიკოსისგან, რომელიც არ აღიარებს სხვის აზრებსა და შეხედულებებს, პირიქით, ხშირად თავს ესხმის სხვას. რადგან ადამიანები განსხვავდებიან კულტურული წარმომავლობით, რწმენით, ბუნებრივია, რომ ჰქონდეთ განსხვავებული მოსაზრებები სხვადასხვა პრობლემასა და ფენომენზე. ტოლერანტი ადამიანი იღებს ამ განსხვავებულობას და თავის მოსაზრებებს გამოხატავს პატივისცემით. საკუთარი აზრის ძალადობრივ მოხვევას სხვაზე შეუძლია გამოიწვიოს დესქტრუქცია, კონფლიქტი, არა მხოლოდ კონკრეტული ინდივიდების, არამედ მთლიანად საოზგადოების მიმართ. ტოლერანტი ადამიანი პატივს სცემს ოპონენტის მოსაზრებას, აქვს მიტევების პოტენციალი. ტოლერანტი ადამიანი განიხილავს განსხვავებულობას დიალოგის გზით, კონფლიქტს აგვარებს კონსტრუქციულად. კონფლიქტი ცხოვრების ჩვეულებრივი ნაწილია, რომელიც არ უნდა გადაიზარდოს ძალადობასა და დესტრუქციაში.

ბავშვთა მხრიდან გამოვლენილი შეუწყნარებლობა და დესტრუქციული ქმედებები გამოწვევას წარმოადგენს, დილემასაც კი პედაგოგისთვის. უნდა ჩაერიოს თუ არა პედაგოგი საერთოდ? თუ უნდა ჩაერიოს, როგორ? რა არის ყველაზე კონსტრუქციული გზა ბავშვთა მხრიდან განსხვავებულის მიუღებლობის გასამკლავებლად.

ერთ-ერთო ფრანგი პედაგოგი აღნიშნავს, რომ როდესაც ის ასწავლიდა 5 წლის ბავშვებს, კონფლიქტები ძალიან სწრაფად იწყებოდა სათამაშო მოედანზე ან გაკვეთილებს შორის. ერთი დღეც არ ჩაივლიდა ცრემლებისა და ჩხუბის გარეშე ისე, რომ ბავშვები ერთმანეთს არ დასხმოდნენ და ტკივილი არ მიეყენებინათ.

მისი რჩევით, მნიშვნელოვანია, ორი კვირის განმავლობაში დაკვირვება, კონფლიქტების მიზეზის გარკვევა, რაც უმეტესად არის ხოლმე ერთი და იმავე ობიექტის სურვილი, შური, ჩხუბი ნივთის მოსაპოვებლად, ბავშვების სურვილი გახდნენ ლიდერები, ხელმძღვანელები; სირთულეები, რომელსაც ზოგიერთი ბავშვი აწყდება ურთიერთობების დამყარებისას, შესაძლოა მათ აგრესია გამოხატონ იმ ბავშვის მიმართ, რომელთანაც სურთ თამაში, რათა მიიქციონ მათი ყურადღება. ბავშვების ნაწილი სამიზნე ხდება მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არ შეუძლიათ თავის დაცვა, ან აქვთ განმასხვავებელი ნიშნები (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლიობები და სხვა). შესაძლოა ეს იყოს (ჩვენი გადასახედიდან) სრულიად უმიზეზო აგრესია, როდესაც

ბავშვები ურტყამენ სხვას ან თმას ქაჩავენ; ყურადღების დეფიციტი სახლში, ბავშვებსა და მშობლებს შორის არსებული ანტაგონისტური დამოკიდებულება.

როგორც თავად აღნიშნავს, ერთ დილას პედაგოგმა დაიწყო დიალოგი ბავშვებთან, გაუზიარა წუხილი, რომ კლასში კონფლიქტების რაოდენობა იზრდებოდა და საკლასო ოთახში არსებობა ამ ფორმით შეუძლებელი ხდებოდა. ბავშვების ნაწილმა თქვა: მე მიყვარს ჩხუბის დაწყება, კარგია როცა შენ იწყებ ჩხუბს, რადგან აჩვენებ, რომ შენ ყველაზე ძლიერი ხარ, მამა მეუბნება, რომ თუ თავს დამესხმებიან, უნდა შევძლო თავის დაცვა, რადგან სხვები მიტევენ, მეც თავს ვიცავ. სხვადადხვა კუთხით საკითხების განხილვის შედეგად, ბავშვები შეეცადნენ აღმოეჩინათ კონფლიქტების გადაჭრის გზები და ნელ-ნელა ისწავლეს სხვების პატივისცემა და ბედნიერების განცდა.

ამ მიმართულებით, აქტივობები შესაძლოა იყოს, როგორც მუსიკის ერთად მოსმენა, ამბების მოყოლა, ასევე სხვადასხვა თამაშები, ერთმანეთისთვის კოცნის გაცვლა, მაკიაჟის გაკეთება, სასაცილო სახეების მიხატვა, ჯამბაზად მოხატვა.

*სავარჯიშო N1*

ეს სავარჯიშო შეიქმნა გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ, რომლის მიზანს წარმოადგენს ალტერნატიული გადაწყვეტის გზების ძიება, რათა მოსწავლეებმა დაინახონ, რომ ხანდახან გადაჭრის ისეთი გზებია ხელმისაწვდომი, რომ დააკმაყოფილოს კონფლიქტის ორივე მხარე. სანამ როლურ თამაშს დაიწყებთ ბავშვებს აუხსენით, რომ კონფლიქტი არის სიტუაცია, სადაც ერთი მხარე ფიქრობს, რომ მეორე მას რაღაცას ვნებს ან იღებს ისეთ რამეს, რაც მას სურს ან სჭირდება. ძალიან ბევრი კონფლიქტი უკავშირდება ისეთ ნივთებს, როგრიცაა, სათამაშოები ან სივრცე, რიგში ადგილი და სხვა.

სავარჯიშოსთვის საჭიროა ფანქარი და ფურცელი.

ორ მოსწავლეს ვთხოვთ კლასის წინაშე გაითამაშონ შემდეგი სიტუაცია (თუმცა არ შემოგვთავაზონ საკითხის მოგვარების გზა): კლასი გასულია სათამაშო მოედანზე, სადაც მხოლოდ ერთი ბურთია, ორი მოსწავლე გარბის მის მოსაპოვებლად, ერთდროულად მიდიან ბურთამდე და ებღაუჭებიან მას. პირველი ამბობს: „ჩემია, პირველი მე ავიღე“, მეორე პასუხობს: „მე ავიღე პირველმა და შენ წამართვი, დამიბრუნე“ და ისინი აგრძელებენ ბრძოლას ბურთისთვის.

**მეორე საფეხური:** დანარჩენი მოსწავლეები ახორციელებენ „გონებრივ იერიშს“ საკითხის გადაწყვეტის გზების მოსაფიქრებლად, რომლებიც შეუძლიათ ჩამოწერონ ფურცელზე. უნდა ეცადონ რაც შეიძლება ბევრი ვერსია მოიფიქრონ, კონფლიქტში ჩართული ბავშვების შეფასებისა და განსჯის გარეშე.

**მესამე საფეხური:** მოსწავლეები ერთად აჯგუფებენ პრობლემის გადაწყვეტის გზებს ოთხ ნაწილად: გადაწყვეტილებები, სადაც ბავშვები წყვეტენ ბურთი ერთად ითამაშონ; გადაწყვეტილებები, სადაც ორივე მხარე იღებს იმას, რაც სურს, მაგალითად, ერთი თამაშობს ათი წუთი და შემდეგ მეორე თამაშობს ათი წუთი; გადაწყვეტილებები, სადაც მხოლოდ ერთი მხარე იღებს იმას, რაც სურს, მაგალითდ, ერთ-ერთი იშორებს მეორეს და გარბის ბურთიანად; სიტუაციები, როდესაც ვერცერთი იღებს იმას, რაც სურს, მაგალითად, მასწავლებელი ჩამოართმევს ბურთს და ეუბნება, რომ სხვა რამით დაკავდნენ. გადაწყვეტის თითოეულ გზას უნდა მიენიჭოს ნომერი და შეფასდეს. ბავშვები დახატავენ მოწყენილ და გახარებულ სახეებს, ვადგენთ ცხრილს, სადაც ორი სვეტია ორივე ტიპის ემოციისთვის. თითოეული

გადაწყვეტილების შეფასებისას, შესაბამისი ემოცია თავსდება სვეტებში. მაგალითად, ერთი მოწყენილი და ერთი ღიმილიანი სახე ნიშნავს, რომ მხოლოდ ერთი მხარეა ბედნიერი. ორი მოწყენილი სახე ნიშნავს, რომ ვერცერთმა მიიღო ის, რაც სურდა და ა.შ.

**მეოთხე საფეხური:** მოსწავლეები განიხილავენ გადაწყვეტილებების ტიპებს, რომელი ჩანს ყველაზე მისაღები, რატომ არის კონკრეტული გადაწყვეტილება სხვებზე უკეთესი. აქტივობა შესაძლოა განმეორდეს სხვადასხვა კონფლიქტური სიტუაციის აღწერით. მოსწავლეებმა უნდა შეაფასონ: ყოველთვის შესაძლებელია თუ არა კონფლიქტის გადაჭრის ისეთი გზების მოძებნა, როდესაც ორივე მხარე იღებს იმას, რაც სურს? ყოველთვის სასურველია თუ არა ამგვარი გადაწყვეტის მონახვა? რამდენად მნიშვნელოვანია ყველა შესაძლო გადაჭრის გზის მოფიქრება? შესაძლებელია თუ არა ძალადობა ოდესმე დასრულდეს ისე, რომ ორივე მხარემ მიიღოს ის, რაც სურს? როგორც წესი რა ხდება, როდესაც ძალადობრივი მეთოდები გამოიყენება? კონფლიქტის გადაწყვეტის რომელი გზები უზრუნველყოფს საკითხის ხანგრძლივი ვადით მოგვარებას?

უფროსი ასაკის ბავშვებს ღიმილების ნაცვლად შეუძლიათ გამოიყენონ (+) და (–) სიმბოლოები.

*<u>სავარჯიშო N2</u>*

1. შექმენით ხუთი-ექვსი ბავშვისგან შემდგარი ჯგუფები და სთხოვეთ გაიხსენონ კლასში მომხდარი კონფლიქტი, კერძოდ: ვინ იყო ჩაზმული კონფლიქტში? რასთან დაკავშირებით წარმოიქმნა კონფლიქტი? როგორ დასრულდა? რამდენად დადებითად გადაწყდა?

2. ჯგუფებმა უნდა გაიხსენონ ერთი კონფლიქტი, რომელიც კარგად არ დასრულდა და იმსჯელონ რატომ არ დასრულდა კარგად? რა მოხდა ჩხუბის/კონფლიქტის შეწყვეტის შემდეგ? როგორი იქნებოდა ამ კონფლიქტის პოზიტიური დასასრული?

3. შემდეგ ხდება პოტენციური „კარგი გადაწყვეტის" მოფიქრება. ავუხსნათ ჯგუფს, რომ ტოლერანტობა/შემწყნარებლობა არის სხვისი უფლებების პატივისცემა და არა მისი იძულება. შემდეგ მათ უნდა უპასუხონ შეკითხვებს: რატომ არის შემწყნარებლობა კონფლიქტის შემდეგ მნიშვნელოვანი? როგორ შეიძლება ტოლერანტობის გამოვლენა კამათისა და კონფლიქტის შემდგომ? რა უნდა გააკეთონ ადამიანებმა კონფლიქტის დასრულების შემდეგ? ვინ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა კონფლიქტზე? როგორ შეუძლიათ ამის გაკეთება? ასევე ბავშვები უნდა დაფიქრდნენ ვინ უნდა აპატიოს, რა საქციელი უნდა აპატიოს? რა უნდა გააკეთონ მათ ერთად, რომ ხელი შეუწყონ მხარეების დამეგობრებას, სთხოვეთ ჯგუფებს მოიფიქრონ რისი გაკეთება შეუძლიათ მოდავე მხარეებს ერთად, როგორ დაეხმარება ოპონენტების თანამშრომლობა მთელ კლასს. რამდენად მნიშვნელოვანია ტოლერანტობა/მიმღებლობა ამისთვის?

4. აიღეთ კლასში ცოტა ხნის წინ მოხმდარი რეალური კონფლიქტი, მოდავე მხარეების ნებართვით და სთხოვეთ ბავშვებს განიხილონ შემდეგი საკითხები: იხდიან თუ არა ორივე ბოდიშს და მზად არიან აპატიონ ერთმანეთს? რას გრძნობენ ამის შემდეგ? აცნობიერებენ თუ არა როგორ აწყენინეს ერთმანეთს? მოიმოქმედეს თუ არა რამე ამ წყენის დასავიწყებლად? რით შეუძლია ერთს მეორეს თავი უკეთ აგრძნობინოს? რა შეუძლიათ ერთად გააკეთონ ერთმანეთის ხასიათის უკეთ გასაგებად, დასამეგობრებლად? რატომ არის მთელი კლასისთვის უკეთესი თუ ისინი დამეგობრდებიან? შესაძლებელია მოიფიქრონ რამე ერთობლივი საქმიანობა, რომლისგანაც ორივე მიიღებს სარგებელს?

დაიმახსოვრეთ: ერთობლივ აქტივობებზე ფიქრის დროს, მნიშვნელოვანია ისეთი აქტივობის მოფიქრება, რომელიც მთელი კლასისთვის იქნება სასარგებლო, მაგალითად, ფურცლების ალაგება, კლასის მილაგება და სხვა. შესაძლოა ეს იყოს ასევე მოდავე მხარეების მხრიდან

ერთმანეთისთვის დავალების მომზადებაში დახმარება, ერთობლივად ბავშვებისთვის ორცხობილების მომზადება, შესაძლოა მათ მოვუყვანოთ პოზიტიური თანამშრომლობის მაგალითები და გავაცნოთ მათი შედეგები.

**დამატებითი რესურსები პედაგოგებისთვის:**

1. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
2. ბავშვის უფლებათა კონვენცია;
3. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოხვრის შესახებ;
4. file:///C:/Users/hp/Desktop/tolerantobis%20moduli/Mini-Lesson-Tolerating-and-Acceptance.pdf;
5. Tolerance – threshold of peace, Betty A Reardon, teacher training resource unit, file:///C:/Users/hp/Desktop/tolerantobis%20moduli/teacher's%20book.pdf
6. Tolerance – threshold of peace, Betty A Reardon, primary school resource unit, file:///C:/Users/hp/Desktop/tolerantobis%20moduli/tolerance.pdf
7. მხატვრული ფილმი „კლასი“, https://www.adjaranet.com/movies/3623/The-Class?lang=GEO&quality=SD
8. მხატვრული ფილმი „საფრთხობელა“ (1984წ).

*ნათია კუჭუხიძე*

# თანატოლთა მედიაცია

## (საკითხავი მასალა პედაგოგებისთვის)

„მედიაცია“ (სიტყვიდან medium - შუალედური) ნიშნავს მოლაპარაკებას ნეიტრალური მედიატორ-შუამავლის მონაწილეობით.

*მედიაცია* - პროცესი, რომლის დროსაც ნეიტრალური პირი ეხმარება დავის მონაწილეებს სადავო საკითხების გაანალიზებასა და კომპრომისის გზით კონსენსუსის (შეთანხმების) მიღწევაში.

*მედიატორი* - ნეიტრალური პირი, რომელიც ეხმარება დავის მონაწილეებს კომპრომისის გზით კონსენსუსის (შეთანხმების) მიღწევაში.

(ძირითად იურიდიულ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 26, 2010 წლის 15 ივნისის მდგომარეობით, თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის ბიურო)

მედიაცია ამერიკასა და ევროპის რიგ ქვეყნებში კონფლიქტის მოგვარების საკმაოდ ცნობილი მეთოდია. იგი ფართოდ გამოიყენება კონფლიქტების მოსაგვარებლად ოჯახებში, სკოლებში, ასევე საქმიან წრეებსა და საზოგადოებრივი აქტივობის სხვადასხვა სფეროში.

ისტორიულად მრავალ კულტურაში, ასევე ჩვენშიც, შუამავლობას საუკუნეების მანძილზე ხშირად იყენებდნენ კონფლიქტებისა და სადავო საკითხების გადაჭრისას. ამჟამად ბევრ ქვეყანაში მედიაცია პედაგოგთა და სოციალურ მეცნიერებათა სპეციალისტების სასწავლო კურიკულუმშიც კი შედის. მრავალ ამერიკულ სკოლაში ფუნქციონირებს მედიატორთა კლუბები და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია მათ მიმართოს დასახმარებლად.

### *რა არის თანატოლთა მედიაცია?*

თანატოლთა მედიაცია არის კონფლიქტის გადაჭრის ფორმა, რომლის დროსაც დატრენინგებული მოსწავლე-ლიდერები ეხმარებიან თანატოლებს ყოველდღიური დავების მოგვარებაში. თანატოლთა მედიაციაში მონაწილეობა ნებაყოფლობითია და იქ განხილული ყველა საკითხი კონფიდენციალურია, გარდა არაკანონიერი ან სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისა. მოსწავლე მედიატორები არ განსჯიან და არ აძლევენ რჩევებს, მათ არ აქვთ უფლება გადაწყვეტილების მიღება აიძულონ თანატოლებს.

თანატოლთა მედიაცია სკოლაში კონფლიქტების მართვის ალბათ ყველაზე ეფექტური და პოპულარული მიდგომაა, რადგან თანატოლთა მედიაცია ეხმარება მოსწავლეებს გამოიყენონ კონფლიქტის მართვის უნარები მაშინ, როდესაც ეს მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ მაშინ, როდესაც თავად არიან კონფლიქტში. თანატოლთა მედიაციის პროგრამა ასწავლის მოზარდებს ინტერპერსონალური დავების დაძლევას. გარდა ამისა, მას სკოლაში საგანმანათლებლო მისიაც აქვს.

*მედიაციის მიზნები და ამოცანები*

თანატოლთა მედიაციის მიზანია, სტუდენტებს მიეცეთ საშუალება მართონ კონფლიქტები, გარდაქმნან ურთიერთობები, გააუმჯობესონ სასკოლო კლიმატი, რაც, თავის მხრივ, დაეხმარება სკოლას შექმნას უფრო ჯანსაღი, პოზიტიური და დაცული სასწავლო გარემო. პროგრამის ამოცანებია: ოფიციალური რეფერალების, სწავლების შეჩერებებისა (სწავლებაში შეფერხებების) და გარიცხვების რაოდენობის შემცირება, ასევე განსხვავებულთა შორის ხიდების მშენებლობის, სოციალური ერთობის განცდის გაჩენა, სასარგებლო ცხოვრებისეული უნარების დანერგვა, რაც დაეხმარება მოსწავლეებს გახდნენ პროდუქტიული მოქალაქეები.

*თანატოლთა მედიაციის მთავარი პრინციპები*

- მიუკერძოებლობა
- ნებაყოფლობითობა
- კონფიდენციალობა

*რას აკეთებს თანატოლთა მედიაცია?*

- უზრუნველყოფს მოსწავლეებს კონფლიქტებთან გამკლავების უნარებითა და სტრატეგიებით.
- ავითარებს კომუნიკაციას და გადაწყვეტილებების მიღების სერვისებს, რაც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს გადაწყვეტილებებზე მომავალში და ზრდის მართვის პოტენციალს.
- ეხმარება მოსწავლეებს გააუმჯობესონ პერსპექტივა (მომავლის ხედვა), გაუგონ საკუთარ თავს, სხვებს და მათ პრობლემურ საკითხებს (უკეთ გააცნობიერონ სხვისი პრობლემები).
- აუმჯობესებს სასკოლო კლიმატს, ურთიერთობათა შენების გზით.
- ამცირებს გაუცხოებას, სოციალურ იზოლაციას და უუნარობას, რასაც ბევრი მოსწავლე გრძნობს.
- აყალიბებს სკოლის თემთან კოოპერაციულობის ძლიერ განცდას, იმისათვის, რომ მართონ დავები, რომლებიც ხელს უშლიან სწავლებას.

*რატომ მუშაობს თანატოლთა მედიაცია?*

პრობლემის მოსაგვარებლად და დამაკმაყოფილებელი შედეგის მისაღწევად, ადამიანები უნდა გრძნობდნენ, რომ:

- პროცესი იყო სამართლიანი, ანუ მათი პრობლემები მოისმინეს და გაიაზრეს;
- მიღებული შეთანხმება ან გადაწყვეტილება იყო გააზრებული და სამართლიანი;
- პროცესი ეხმარებოდა მხარეებს შორის ურთიერთობას;
- მათ შეუძლიათ მართონ საკუთარი ურთიერთობები მომავალში.

*როდის შეგვიძლია მედიაციის გამოყენება?*

მედიაციის საგანი შეიძლება გახდეს სასკოლო კონფლიქტების უმრავლესობა. ქვემოთ ჩამოთვლილია რამდენიმე სახის კონფლიქტი (მოსწავლე/მოსწავლის, მშობელი/მშობლის,

მასწავლებელი/მასწავლებლის, მშობელი/სკოლის, მასწავლებელი/მოსწავლის და მასწავლებელი/დირექტორის):

*მოსწავლე/მოსწავლე*

- ზედმეტი სახელის დაძახება
- გამოჯავრება
- გარიყვა
- პრობლემები მეგობრებს შორის
- ჭორები
- საკუთრების საკითხები
- ჩხუბი

*მშობელი/მშობელი*

- სუპერვიზია (ზედამხედველობა)
- დისციპლინა
- ბულინგი

*მასწავლებელი/მასწავლებელი*

- სწავლების გეგმა
- რესურსები
- სწავლების სტრატეგიები
- პერსონალური სტილი

*მშობელი/მასწავლებელი*

- მოსწავლის მართვა
- კლასის ან ჯგუფის ფორმირება-გადანაწილება
- ინდივიდუალური კვება, სასწავლო საჭიროებები
- პერსონალური კონფლიქტები
- ფორმა
- კლასგარეშე მოთხოვნები
- საშინაო დავალების მოთხოვნები

*მასწავლებელი/მოსწავლე*

- ბევრი სამუშაო
- საშინაო დავალება
- პუნქტუალობა
- სასკოლო პასუხისმგებლობები
- ქცევა

*მასწავლებელი/სკოლის დირექტორი*

- სამუშაო გარემოებები
- მოვალეობების გადანაწილება

*დავები, რომლებიც არ განიხილება მედიაციის პროცესზე*

- ძალადობა;
- წამალმოხმარება;
- იარაღის მოხმარება (ტარება/გამოყენება);
- მძიმე დევნა;
- მძიმე რასიზმი.

*მედიატორის როლი*

მოსწავლეებმა ჩვეულებრივ უნდა მოითხოვონ და/ან მათ სხვამ უნდა გაუწიოს რეკომენდაცია, რომ გახდნენ მედიატორები, ასევე უნდა მიიღონ მონაწილეობა რამდენიმე საათიან ტრენინგში, რომელთა განმავლობაშიც ისინი სწავლობენ და გადიან პრაქტიკას კომუნიკაციის უნარებსა და მედიაციის პროცესის სპეციფიკაში. მოსწავლე მედიატორებს შეუძლიათ წაიყვანონ მედიაცია როგორც მარტო, ასევე სხვა მედიატორ მოსწავლესთან, ან კო-მედიატორთან ერთად. მედიატორები ყოველთვის განიხილებიან როლურ მოდელებად და ლიდერებად თავიანთ სკოლაში, ამასთან ერთად, არის მოლოდინი, რომ ისინი იმოქმედებენ კეთილსინდისიერად და პატიოსნად სხვებთან მიმართებაში.

მედიატორი მოქმედებს როგორც ნეიტრალური მესამე მხარე, რათა გაუძღვეს მოლაპარაკებებს თანატოლთა შორის კონფლიქტში.

მედიატორს შეუძლია/აქვს უნარი:

1. **მოუსმინოს** კარგად, რომ გაიგოს უკეთ.
2. **თავი აარიდოს** მცდელობას გამოასწოროს, უთხრას, შესთავაზოს, ან მისცეს რჩევა.
3. **დააზუსტოს** იმისათვის, რომ უფრო უკეთ გაიგოს
   - Restating - ხელახალი ფორმულირება (ან დაზუსტება)
   - Asking open-ended questions - ღია კითხვების დასმა
   - Reframing - რეფრეიმინგი (ჩარჩოს ცვლილება)
   - Being silent - ჩუმად ყოფნა
   - Looking and listening for cues to return the power to the parties - უყუროს და უსმინოს მხარეების რეპლიკებს, რათა დაუბრუნოს ძალა მხარეებს.
4. **შესთავაზოს** თითოეულ მოდავე მხარეს, ჰქონდეს რეაქცია მეორე მხარის ნათქვამზე.
5. **გაიმეოროს ეს ნაბიჯები** იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭიროა.

*თანატოლთა მედიატორი, როგორც აქტიური მსმენელი*

აქტიური მოსმენა არის გზა უსმენდე და ამასთან ერთად პასუხობდე სხვა ადამიანს, რაც ზრდის ურთიერთგაგებას. ლაპარაკისას, ხშირად, ადამიანები სრული ყურადღებით არ უსმენენ ერთმანეთს, უყურადღებოდ არიან, ნახევრად ისმენენ, ნაწილობრივ სხვა რამეზე ფიქრობენ.

როდესაც ადამიანები ჩართულები არიან კონფლიქტში, ისინი უმეტესწილად დაკავებულები არიან ვარაუდებით, ნაცვლად იმისა, რომ უპასუხონ იმას, რაც იყო ნათქვამი.

ისინი ვარაუდობენ, რომ მათ დიდი ხნით ადრე გაიგეს ის, რასაც მათი ოპონენტები ამბობენ. იმის მაგივრად, რომ ყურადღებით იყვნენ, ისინი ფოკუსირებას ახდენენ იმაზე, თუ როგორ უნდა უპასუხონ, რომ მოიგონ დავა.

აქტიური მოსმენა არის მოსმენის და პასუხის სტრუქტურირებული ფორმა, რომელსაც თანატოლთა მედიატორები იყენებენ იმისათვის, რომ იყვნენ ფოკუსირებულები იმაზე, რასაც ამბობს სპიკერი. მედიატორი იქცევა ძალიან ფრთხილად, უთმობს მოლაპარაკე მხარეს მთელ ყურადღებას, ნეიტრალურია და შემდეგ სპიკერის ნათქვამს საკუთარი სიტყვებით იმეორებს. ეს საშუალებას აძლევს სპიკერს განსაზღვროს, ნამდვილად გაიგო თუ არა მედიატორმა მისი ნათქვამი. თუ მედიატორმა ვერ გაიგო სრულად, მაშინ სპიკერი ცდილობს განუმარტოს მას.

თანატოლთა მედიატორები ასევე წახალისებულები არიან გარდაქმნან ან ასახონ სპიკერის სიტყვები განცდათა ტერმინებში. სპიკერის ნათქვამის მხოლოდ გამეორების ნაცვლად, მედიატორმა, როგორც აქტიურმა მსმენელმა, შესაძლოა თქვას „შენ ამას თითქოს გაბრაზებული ამბობ (და ა.შ.)“, როდესაც ის აღწერს მომხდარ შემთხვევას. ამ დროს მედიატორი აძლევს უფლებას შეაფასონ ის, თუ რამდენად ზუსტად გაიაზრა მან მოდავის ემოციური პასუხი.

## *<u>როგორ ხორციელდება მედიაციის პროცესში ჩართვა?</u>*

მას მერე, რაც შეირჩევიან მედიტორები, ასევე კოორდინატორი (შესაძლებელია კოორდინატორის დამხმარის შერჩევა, საჭიროების მიხედვით), როგორც მედიატორები, ასევე მათი კოორდინატორი გაივლიან მედიაციის უნარ-ჩვევების ტრენინგს. შესაბამისად, მათ უკვე ეცოდინებათ თუ რა პრინციპებს ეფუძნება მედიაციის პროცესი, რა აქვს მიზნად და როგორ უნდა წარიმართოს ის. რაც შეეხება უშუალოდ პროცესის დაწყებას, ანუ მოსწავლეთა გადამისამართებას მედიაციის პროცესის გასავლელად:

- თანატოლთა მედიაციის პროცესის მოთხოვნით მიმართვა შეუძლია ნებისმიერ მოსწავლეს, პედაგოგს, მშობელს, ან სკოლაში მომუშავე სხვა პერსონალს, როგორც გადამისამართების გზით (იხ. მედიაციის მოთხოვნის ჩეკლისტი), ასევე მედიატორისათვის, ან კოორდინატორისათვის უშუალო მიმართვის გზით (აქ მედიატორს თავად შეუძლია შეავსოს მედიაციის მოთხოვნის ჩეკლისტი).
- თანატოლთა მედიაციის პროცესის წარმართვისათვის აუცილებელია დავაში მონაწილე ორივე მხარე იყოს თანახმა პროცესში მონაწილეობაზე და წინასწარ იცოდეს, თუ რისთვის იღებს მონაწილეობას და რა შედეგს უნდა ელოდეს. მნიშვნელოვანია დავაში მონაწილე ორივე მხარემ წინასწარ იცოდეს მედიაციის პროცესის ძირითადი პრინციპები და საბაზისო დათქმები (მიუკერძოებლობა, ნებაყოფლობითობა, კონფიდენციალობა). ამ საკითხებში მისი ინფორმირება ევალება მედიატორს, ან კოორდინატორს, თუ მედიატორი განსაკუთრებული გარემოებების გამო ვერ ახერხებს ამას. მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის მიწოდება ისე, რომ მოდავეებს არ გაუჩნდეთ  სასამართლო პროცესის განცდა, ანუ მტყუან-მართლის გარჩევის. მედიაციის პროცესი გულისხმობს „შეტევას“ პრობლემაზე და არა დავაში მონაწილე მხარეებზე (პერსონებზე).
- თანატოლთა მედიაციის პროცესში მონაწილეები თავად ირჩევენ მათთვის მისაღებ და სანდო მედიატორებს.
- თანატოლთა მედიაციის დროის და თარიღის შერჩევაც მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ხდება,  ურთიერთშეთანხმების პროცესებს მართავენ მედიატორები.
- მნიშვნელოვანია სკოლის ადმიანისტრაციამ ხელი შეუწყოს თანატოლთა მედიაციისთვის უსაფრთხო, დაცული და შედარებით მშვიდი ადგილის გამოყოფას.

- თანატოლთა მედიაციის პროცესის ჩატარება რეკომენდებულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას და არა სწავლის დასრულების შემდეგ.
- თუ პირველ შეხვედრაზე მოდავე მხარეები ვერ ახერხებენ საბაზისო წესების დაცვას, გადადიან ერთმანეთის შეურაცხყოფაზე და მედიატორები ვერ ახერხებენ პროცესის კონსტრუქციულ ჭრილში მოქცევას, მაშინ მედიატორები აცხადებენ, რომ მედიაცია შეწყდება, ასახელებენ მიზეზს (შეთანხმებული წესების ხშირ დარღვევას და არა ვინმეს, მაგალითად, აგრესიულ ქცევას, რაც ქცევის შეფასებაა და ეწინააღმდეგება მედიატორის როლურ მოდელს) და სთავაზობენ მხარეებს მედიაციის იმ დროისთვის გადატანას, როდესაც ისინი ამისთვის იქნებიან მზად, აფიქსირებენ თუნდაც ძალიან უმნიშვნელო შეთანხმებას (მაგალითად: არ დავარტყავთ ერთმანეთს ან სხვა). რთულ შემთხვევებში მედიაციის პროცესს რამდენიმე შეხვედრაც შესაძლოა დასჭირდეს. ეს უნდა ითქვას წინასწარ მედიატორების მისალმების და პროცედურის აღწერის მომენტში, რათა მონაწილეებს არ გაუჩნდეთ ფრუსტრაციის განცდა. მედიაცია კი არ უგვარებს მათ პრობლემებს, არამედ იკვლევს კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს, რის შედეგადაც ისინი თავად იღებენ გადაწყვეტილებებს და თავად სწავლობენ პრობლემების მოგვარებას, რასაც შესაბამისად დრო სჭირდება.
- განმეორებითი მედიაციის პროცესის დაგეგმვისათვის მედიატორები კვლავ ხვდებიან მხარეებს ცალ-ცალკე, უსმენენ მათ და ათანხმებენ მათთვის მისაღებ შეხვედრის თარიღს, დროს და ადგილს (თუ რამდენიმე ადგილია სკოლაში გამოყოფილი მედიაციისთვის).
- თანატოლთა მედიატორები ახდენენ ამ შეთანხმებების შესრულების მონიტორინგს, თუ ეს შეთანხმებები არ სრულდება, მხარეებთან შეთანხმებით ინიშნება ახალი მედიაციის პროცესი.
- თუ თანტოლთა მედიატორებს აქვთ განცდა, რომ რაღაც არ გამოსდით, პროცესის მიმდინარეობით არ არიან კმაყოფილები, ან ურთიერთშეთანმებების მიღწევა უჭირთ მხარეებს და სხვა, მაშინ აუცილებლად უნდა მიმართონ კოორდინატორს დახმარებისათვის.
- შესაძლებელია თანატოლთა მედიატორმა გამოთქვას სურვილი პროცესიდან გასვლის, მაშინ ეს შემთხვევა უნდა განიხილოს კოორდინატორმა, ბოლომდე გაერკვეს პრობლემის შინაარსში და შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება. თანატოლთა მედიატორს უნდა მიეცეს დრო დაფიქრებისა და დასვენებისათვის (რაც პერიოდულად აუცილებელია, რადგანაც თანატოლთა მედიაცია დიდ ემოციურ დანახარჯს მოითხოვს) და მიეცეს თანხმობა სერვისის დატოვებაზე, რაც საერთოდ არ გამორიცხავს შემდეგ თანამშრომლობას.
- მნიშვნელოვანია მოეწყოს თანატოლთა მედიატორების და მათი კოორდინატორის პერიოდული შეხვედრები (მაგალითად: კვირაში ერთხელ), რათა დაიგეგმოს მედიაციის პროცესები და ჯგუფში განიხილონ პრობლემური საკითხები.

- თანატოლთა მედიატორებს უნდა ჰქონდეთ ყოველდღიური წვდომა მის კოორდინატორთან, პრობლემური საკითხების განხილვისათვის, საჭიროების შემთხვევაში.
- კოორდინატორს ასევე მნიშვნელოვანია ჰქონდეს კავშირი პროგრამის ხელმძღვანელთან ან იმ პროფესიონალთან, რომელიც დაეხმარება მას, გაუწევს კონსულტირებას ან სუპერვიზიას, პრობლემური სიტუაციების წარმოქმნის შემთხვევაში.

***მედიაციის პროცესი შედგება შემდეგი ნაწილებისგან:***

**Introduction - შესავალი** - როგორც წესი პროცესი მიჰყავს 2 მედიატორს. მედიატორები წარადგენენ საკუთარ თავს მოდავეების წინაშე, ეკითხებიან მოდავეებს სახელებს, შემდეგ აღწერენ პროცესს, კონფიდენციალობის ჩათვლით.

**Sharing Perspectives - პერსპექტივის გაზიარება** - თითოეული მონაწილე ყვება საკუთარ ისტორიას იმის შესახებ, რაც მოხდა. მოდავეები აზიარებენ საკუთარ ინტერპრეტაციებს იმის შესახებ, რაც მოხდა და რა განცდები გამოიწვია მათში ამ კონფლიქტმა.

**Getting More Information - მეტი ინფორმაციის მიღება** - მედიატორები სვამენ ღია კითხვებს დაზუსტებისა და გადამოწმებისათვის. მედიატორები კითხულობენ: „არის კიდევ რამე, რაც საჭიროა რომ ვიცოდეთ?“

**Defining the Problem - პრობლემის განსაზღვრა** - მედიატორები ახდენენ თითოეული მოდავის აზრის პერიფრაზირებას და ფორმულირებას. მედიატორები მოუწოდებენ (სთავაზობენ) მოდავეებს მიაღწიონ შეთანხმებას იმაზე, თუ რა არის პრობლემა რეალურად.

**Brainstorming Solutions - გონებრივი იერიში გადაწყვეტილებისათვის** - მოდავეები ახორციელებენ ტვინის შტურმს შესაძლო გადაწყვეტილებებისათვის. მედიატორები ეკითხებიან მოდავეებს, მათ მიერ გახმოვანებული რომელი გადაწყვეტილებაა მათთვის მისაღები და რომელი არა. მედიატორები სთავაზობენ მოდავეებს განიხილონ, შესაძლო გადაწყვეტილებათაგან თითოეული რა ზეგავლენას მოახდენს მომავალში მოდავეების ურთიერთობებზე ერთმანეთთან.

**Choosing Solutions - გადაწყვეტილებების შერჩევა** - მოდავეები ერთობლივად წყვეტენ, როგორ მოქმედებენ მომავალში. მოდავეები თანხმდებიან, თუ რომელია საუკეთესო გადაწყვეტილება. მედიატორები ეკითხებიან მოდავეებს, არიან თუ არა კმაყოფილები და სჭირდებათ თუ არა კიდევ რამე მედიატორებისგან.

**Closing - დახურვა** - მედიატორები მადლობას უხდიან მოდავეებს მონაწილეობისათვის და ახსენებენ მათ თუ საჭიროა, კონფიდენციალობის შესახებ. მედიატორები აღნიშნავენ, რომ თუ კვლავ დასჭირდებათ მოდავეებს დახმარება მომავალში, მედიაციის პროცესი არის ყოველთვის ხელმისაწვდომი მათთვის.

***თანატოლთა მედიაციის უპირატესობები***

პედაგოგები, რომლებიც ნერგავენ თანატოლთა მედიაციის პროგრამას, ხაზს უსვამენ პროგრამის დადებით შედეგს. ერთმანეთისგან მრავალი კილომეტრით დაშორებული და სრულიად განსხვავებულ პირობებში მომუშავე ასობით პედაგოგი ერთნაირ გამოცდილებას გვიზიარებს.

- **თანატოლთა მედიაცია აგვარებს მოსწავლეთა კონფლიქტებს**

თანატოლთა მედიაციის უმთავრესი სარგებელი არის კონფლიქტების ეფექტურად მოგვარება. მედიაციის სესიების დაახლოებით 90%-ის შედეგი არის შეთანხმებები, რომლებითაც კმაყოფლინი არიან არა მხოლოდ მხარეები, არამედ მასწავლებლები, ადმინისტრაცია და ასევე მშობლები. თუ მედიაციისას მოსწავლეები აღნიშნავენ კონფლიქტის დასრულებას, ეს დავის კარგად მოგვარების ნიშანია. შედეგისთვის მნიშვნელოვანია ის, რომ მედიატორები დებატების დროს მათ თანატოლებს ეხმარებიან არა მხოლოდ უახლოესი ინციდენტის, არამედ ყველა სადავო საკითხის განხილვაში. თუ წერილობით შეთანხმებას არ აქვს შედეგი, მხარეები განმეორებით სწავლობენ სიტუაციას იმისათვის, რომ განმუხტონ კონფლიქტი.

- **თანატოლთა მედიაცია ასწავლის მოსწავლეებს მნიშვნელოვან ცხოვრებისეულ უნარებს**

კონფლიქტების მოგვარების უნარი, ისევე როგორც მაგალითად, წერა-კითხვა, არის მნიშვნელოვანი სასიცოცხლო უნარი იმისათვის, რომ იცხოვრო პროდუქტიული ცხოვრებით. ახალგაზრდა ადამიანებს სჭირდებათ ეფექტური კომუნიკაციის უნარები, ასევე უნარი შეაფასონ მათი ქმედებების შედეგები, მოძებნონ და შეაფასონ პრობლემების ალტერნატიული გადაწყვეტის გზები, შეძლონ მშვიდობიანი თანაცხოვრება იმ ადამიანების გვერდით, რომლებსაც არ ეთანხმებიან. თანატოლთა მედიაცია მონაწილე მხარეებსაც და მედიატორებსაც ფუნდამენტურ უნარებსა და დამოკიდებულებებს ასწავლის.

- **თანატოლთა მედიაცია აყალიბებს მოსწავლეთა კონფლიქტის მართვის უნარებს, რეალური ცხოვრებისეული პრაქტიკიდან გამომდინარე**

ყველა უნარს სჭირდება გავარჯიშება დახელოვნებისათვის. თანატოლთა მედიაცია საშუალებას აძლევს მოსწავლეებს განავითარონ მათი კონფლიქტების მართვის უნარები, როდესაც ეს მათ ყველაზე მეტად სჭირდებათ: რეალურ-ცხოვრებისეულ კონფლიქტებში. ეს აძლევს ამ უნარებს სიცოცხლისუნარიანობას, იმ ძალასა და წონასაწორობასთან ერთად, რაც ზოგჯერ მიუღწეველია სკოლის მიერ. რეალური კონფლიქტების მედიაცია სკოლაში ასევე ხელს უწყობს ამ უნარების გადატანას სკოლის გარეთ. მედიატორად ყოფნა ეხმარება მოსწავლეებს ახალი შეხედულებებითა და უნარებით მიუდგნენ კონფლიქტებს მათ საკუთარ ცხოვრებაში და საზოგადოებაში. მშობლების კომენტარები: „ჩემი მეუღლე და მე ვეღარ ვკამათობთ ქეთის გარეშე, ის გვეხმარება კონფლიქტების მოგვარებაში“ ან „რა გაუკეთეთ ჩემს შვილს ასეთი? ის ახლა მისმენს!“

- **თანატოლთა მედიაცია უქმნის მოტივაციას მოსწავლეებს გაუმკლავდნენ საკუთარ კონფლიქტებს ურთიერთთანამშრომლობით**

თანატოლთა მედიაცია მოტივაციას უჩენს სტუდენტებს, უსაგნოდ ჩხუბის ნაცვლად, მოყვნენ ისტორიებს საგნის გარშემო. პროგრამა ამ შედეგს მრავალი გზით აღწევს. თანატოლთა მედიაცია მოსწავლეების პროცესია, ისინი არიან კონტროლის ქვეშ, პროცედურები კონფიდენციალურია, ბევრი რამის შეძენა შეუძლიათ და ფაქტობრივად არაფერს კარგავენ. მოსწავლეები სწავლობენ მეგობრებისგან, რომლებიც არიან მედიატორები, ან ვისაც ჰქონდა ადრე მედიატორად მუშაობის გამოცდილება. დირექტორები და მასწავლებლები ასწავლიან თანატოლთა მედიაციას, როგორც არბიტრაჟის ალტერნატივას. ამიტომაც მნიშვნელოვანი პროცენტი მედიაციის სესიების არის ინიცირებული თავად მოსწავლეების მიერ.

- **თანატოლთა მედიაცია აღრმავებს სკოლის საგანმანათლებლო გავლენას**

თანატოლთა მედიაცია იყენებს ინტერპერსონალურ კონფლიქტს, როგორც სასწავლო იარაღს. როდესაც მედიატორები ახდენენ კონფლიქტების მოგვარების პრო-სოციალურ მოდელირებას, მოსწავლეთა ნაწილი შემდეგ პრაქტიკაში აგვარებს საკუთარ უთანხმოებებს სამართლიანობისა და ერთობლივი სარგებლის კრიტერიუმებით, ნაცვლად უხეში ძალის გამოყენებისა და დაშინებისა.

- **თანატოლთა მედიაცია აძლიერებს მოსწავლეებს**

ისევე, როგორც მასწავლებლები არ ასწავლიან ბავშვებს ალგებრას, მათი დავალებების მათ მაგივრად მომზადების საშუალებით, ასევე მოზრდილებმა არ უნდა ასწავლონ ახალგაზრდებს კონფლიქტების მოგვარება, მათ მაგივრად ამის კეთებით. თანატოლთა მედიაცია ასწავლის მოსწავლეებს უნარებს და შემდეგ ხელს უწყობს მათ, რომ თავად მოაგვარონ ეს კონფლიქტები ზედამხედველობის ქვეშ. ეს აძლევს მათ თავისუფლებას მოაგვარონ ისეთი კონფლიქტები, რაც შესაძლოა არასოდეს მოქცეულიყო მოზრდილების ყურადღების ქვეშ. ასევე, მედიაცია საშუალებას აძლევს მოსწავლეებს მოაგვარონ საკუთარი კონფლიქტები, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ ეხსნებათ პასუხისმგებლობა საკუთარ ქცევაზე: სასკოლო დისციპლინა რჩება უკომპრომისოდ.

- **თანატოლთა მედიაცია ამაღლებს თვითშეფასებას**

თვითშეფასება სულ უფრო და უფრო მეტად განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი წინაპირობა მოსწავლეთა წარმატებისათვის. თანატოლთა მედიაცია ზრდის თვითშეფასებას რამდენიმე გზით. მედიატორები იყენებენ საკუთარ უნარებს იმისათვის, რომ შექმნან სიღრმისეული ცვლილებები სხვათა ცხოვრებაში და მათი წვლილი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც ზრდასრულების და მოსწავლეების. მონაწილეები მონაწილეობენ პროცესში, რომელიც საშუალებას აძლევს მათ, აიღონ პასუხისმგებლობა საკუთარ ცხოვრებაზე და იცხოვრონ წარმატების და არა დამცირების განცდით. როდესაც მედიაციის სესია „წარმატებულია", ყველა მონაწილე, რომელიც ჩართული იყო პროცესში გრძნობს, რომ მან გააკეთა ღირსეული საქმე, თანატოლთა მედიაციამ მოაგვარა კონფლიქტი მოსწავლეებს შორის.

- **თანატოლთა მედიაცია ასწავლის მოსწავლეებს სიღრმისეულ ანალიზს**

თანატოლთა მედიაციისას მოსწავლეები მნიშვნელოვან აღმოჩენებს აკეთებენ. უმნიშვნელოვანესია ის, რომ მოსწავლეები სწავლობენ იმას, რომ კონფლიქტთა უმრავლესობა არ შეიძლება დაიყვანო მტყუან-მართლის ან ორი ჯგუფის წინააღმდეგობაზე, ეს კონფლიქტები არის შედეგი დამახინჯებული წარმოდგენებისა, გაუგებრობებისა და ბუნებრივად განსხვავებული საჭიროებებისა. თანატოლთა მედიაცია ეხმარება მოსწავლეებს დააფასონ განსხვავებულობა. განსხვავებული ეთნიკური ჯგუფის, ასაკის, კლასის და რელიგიის მოსწავლეები ურთიერთობენ და მუშაობენ ერთად იმისათვის, რომ დაძლიონ მნიშვნელოვანი პრობლემები მედიაციისას. დასასრულს, ერთი თანატოლთა მედიაციის ტრენინგის დროს ერთმა მეათეკლასელმა გოგონამ თქვა, რომ როდესაც მან დაინახა სხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენელი გოგონები ტრენინგის მონაწილეთა შორის, გაიფიქრა: „მე ამ გოგოებს გავლახავ", ხოლო ტრენინგის შემდეგ კი მან გააცნობიერა, თუ რამდენად „სულელი" იყო და რომ „ადამიანები არ უნდა განსაჯო იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყურებიან".

- **თანატოლთა მედიაცია მოელის უკეთესს მოსწავლეებისგან**

ერთმა მგრძნობიარე საშუალო ასაკის მოსწავლემ ასეთი რამ თქვა მედიაციის შესახებ: „მედიაცია გვთხოვს ჩვენ გავაკეთოთ ყველაზე კარგი, რისი გაკეთებაც შეგვიძლია, ეს არ ხდება სკოლათა უმრავლესობაში". უამრავი სასკოლო სტრუქტურა ირიბად მიანიშნებს იმას, რომ მოსწავლეებს არ შეუძლიათ იმოქმედონ პასუხისმგებლობით. ამის საწინააღმდეგოდ მედიაცია უზრუნველყოფს თავისუფალ დისკუსიას, რომელშიც ახალგაზრდა ადამიანებს შეუძლიათ მაქსიმალურად გამოიყენონ საკუთარი პოტენციალი. ამ გარემოში, მოსწავლეები ყოველთვის

აკვირვებენ პედაგოგებს მათი კრეატიული აზროვნებით, მიტევების მზაობით და მათი განწყობით, საკუთარ ინტერესებზე მეტად, სხვების მოტივაცია გაითვალისწინონ. მედიაცია უბიძგებს მოსწავლეებს გახდნენ უკეთესები და ისინიც ყოველთვის იღებენ ამ გამოწვევას.

- **თანატოლთა მედიაცია მოიცავს ყველა სტუდენტს, მათაც კი, ვინც „რისკის ქვეშაა“**

თანატოლთა მედიაცია აძლევს საშუალებას მოსწავლეებს მართონ მათი ცხოვრების ყველაზე რთული მომენტები, ასევე ისწავლონ მათი საშუალებით. მედიაციის გასაცნობად მოდიან ის მოსწავლეებიც კი, რომელთაც აქვთ ქრონიკული ქცევითი პრობლემები. ეს უბიძგებს მათ, კონსტრუქციული გზით მოაგვარონ საკუთარი პრობლემები. ზოგიერთი მათგანი მედიაციის ტრენინგსაც კი გადის. თუ „რისკის ქვეშ“ მყოფი სტუდენტები ხდებიან მედიატორები, ეს მათ საჭირო უნარებზე მეტსაც კი აძლევს; აძლევს საშუალებას, შეიტანონ საკუთარი წვლილი სკოლის ცხოვრებაში.

- **თანატოლთა მედიაცია ქმნის მეტ დროს სწავლებისათვის**

მიუხედავად იმისა, რომ რთულია ამის გაზომვა, ასე ჩანს, რომ თანატოლთა მედიაციის პროგრამა ქმნის მეტ დროს განათლებისათვის. სწავლების შეჩერების რიცხვის შემცირება, რაც მოყვება ხოლმე მედიაციის პროგრამის იმპლემენტაციას, ნიშნავს იმას, რომ მოსწავლეები ატარებენ მეტ დროს კლასებში. კონფლიქტის დროული და მყარი მოგვარების წყალობით, მოსწავლეები ნაკლებად გაფანტულები არიან, ვიდრე მანამდე. დირექტორი მხოლოდ იმ კონფლიქტებზე ხარჯავს დროს, რომელთა მოგვარებასაც მედიატორი ვერ ახერხებს ან რომლებიც შეიცავენ ძალადობას (ერთი სკოლის ანგარიშის მიხედვით, თანატოლთა მედიაციის დანერგვის შემდეგ, ერთი წლის განმავლობაში დისციპლინური გადამისამართებების რიცხვი 50 პროცენტით შემცირდა). ხოლო იმ მოსწავლეებთან, რომლებმაც მედიაციის გზით საკუთარი კონფლიქტები მოაგვარეს, მასწავლებლები ატარებენ ნაკლებ დროს დისციპლინური ახსნა-განმარტებებისათვის და მეტს სწავლებისათვის.

- **თანატოლთა მედიაცია პრევენციულია**

თანატოლთა მედიაცია არ გამოიყენება მხოლოდ მაშინ, როდესაც კონფლიქტი გადაიზრდება ძალადობაში, ის მუშაობს გაცილებით ეფექტურად, როგორც ძალადობრივი კონფლიქტის პრევენცია. კონფლიქტების მოგვარების უნარების განვითარება მედიატორს და მოსწავლეებს მთლიანობაში აძლევს საშუალებას დამოუკიდებლად მართონ საკუთარი კონფლიქტები. წააქეზეთ მოსწავლეები, რომ მათ დროულად, კონფლიქტის დასაწყისშივე, მის ესკალაციამდე მიმართონ მედიაციას. მას მერე, რაც კონფლიქტი „ამოიფრქვევა“, მედიაციას შეუძლია კონფლიქტის უფრო გაღრმავების პრევენცია. უმრავლეს შემთხვევაში ფართო-ჯგუფური დავების პრევენცია შესაძლებელია, თუ ინტერპერსონალურ კონფლიქტებს დასაწყისშივე მოვაგვარებთ. თანატოლთა მედიაციის გამოყენება შეიძლება სხვა პრევენციული პროგრამების პარალელურად.

- **თანატოლთა მედიაცია აუმჯობესებს სასკოლო კლიმატს**

თანატოლთა მედიაციას აქვს გავლენა „სასკოლო კლიმატის“ გაუმჯობესებაზე. პროგრამა აძლიერებს სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას, საკუთრების და კონტროლის განცდას. ის

აქვეითებს მოუგვარებელი და გამწვავებული კონფლიქტებით გამოწვეულ დაძაბულობას. მედიაციის პროგრამა აძლიერებს კომუნიკაციას მოსწავლეებს შორის, მოსწავლეებსა და პედაგოგებს, ადმინისტრაციასა და მშობლებს შორის. ის ხელს უწყობს ძველი მეგობრობის შენარჩუნებას და ახლის გაჩენას, როდესაც ყოფილი მტრები მეგობრები ხდებიან. ყველაფერი ეს ეხმარება სკოლას გახდეს უფრო უსაფრთხო და მეტად პროდუქტიული ადგილი.

- **თანატოლთა მედიაცია მორგებულია როგორც მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ საჭიროებებზე, ასევე პედაგოგთა პროფესიულ საჭიროებებზე**

ახალგაზრდა ადამიანებისთვის განსაკუთრებით საჭიროა დამოუკიდებლობის ხარისხის და საკუთარ ცხოვრებაზე კონტროლის გაზრდა. ამავე დროს, მათმა უმწიფრობამ და გამოცდილების ნაკლებობამ შესაძლოა მიიყვანოს ისინი შეცდომების დაშვებამდე, უპასუხისმგებლო ქცევამდე და ერთმანეთის დაზიანებამდე. ამიტომაც პედაგოგებმა უნდა დაიცვან ბალანსი ავტონომიურობასა და ზედამხედველობას შორის. თანატოლთა მედიაცია ახდენს აკუმულირებას ამ ურთიერთსაწინააღმდეგო საჭიროებების ისეთი სტრუქტურის უზრუნველყოფით, სადაც სტუდენტები არიან თავისუფალნი საკუთარ არჩევანში. იმ დროის განმავლობაში, როდესაც მოსწავლეები ექვემდებარებიან მედიაციის წესებს, ისინი თავად განსაზღვრავენ საკუთარ ბედისწერას. ახალგაზრდა ადამიანები არიან ბედნიერები იმის გამო, რომ თავად აკონტროლებენ, პედაგოგები არიან ბედნიერები იმის გამო, რომ მათი სტუდენტები არიან ზედამხედველობის ქვეშ. ყველა მხარე იგებს! (http://www.schoolmediation.com/pdf/Quick-Guide-to-Implementing-a-Peer-Mediation-Program.pdf).

უახლესი კვლევის მაგალითი, რომელიც განახორციელა აშშ-ს განათლების დეპარტამენტმა თანატოლთა მედიაციის იმპლემენტაციის შედეგების შეფასების შემდეგ:

- 34%-ით შემცირდა ნარკოტიკის პირველადი გამოყენება
- 73%-ით შემცირდა გაძევება სკოლიდან
- 90.2%-ით შემცირდა თავდასხმები
- 57.7%-ით შემცირდა შეტყობინებები დისციპლინის დარღვევის შესახებ.
  (იხ. [http://www.theresolutioncenter.com/peers-making-peace/](http://www.theresolutioncenter.com/peers-making-peace/))

***<u>გამოყენებული ლიტერატურა:</u>***


1. კუჭუხიძე ნ, თანატოლთა მედიაციის ტრენინგ-მოდული, არაძალადობრივი კომუნიკაციის ინსტიტუტი, თბილისი, 2018;
2. ჯავახიშვილი ჯ. და სარჯველაძე ნ., ეროვნებათაშორისი ურთიერთობების მართვა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2007;
3. ზურიკაშვილი ფ., მაღრაძე გ. და სხვ., კონფლიქტი, გენდერი და მშვიდობის მშენებლობა, შ.პ.ს. „პოლიგრაფ+“, თბილისი, 2003;
4. ბებერაშვილი ზ., ბესელია ნ. და სხვ., გზა უფლებებისაკენ, გამომცემელი ყარალაშვილი ო., თბილისი, 2002;
5. ტრენინგმოდულების კრებული, ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო;
6. Maureen F. Block and Barbara Blazej, Resolving Conflict with a Peer Mediation Program, A Manual for Grades 4-8, 2005, A collaborative project of the Peace Studies Program, University of

Maine, and Maine Law & Civics Education, University of Southern Maine, with support from the Division of Family Health, Maine CDC, Department of Health and Human Services;
7. Recommended Standards for School-Based Peer Mediation Programs, 1st edition ©1996 by the National Association for Mediation in Education, 2nd edition ©2007 by the Association for Conflict Resolution (Both editions are available on-line at http://www.acrnet.org).

***ვებ-რესურსები:***

1. http://www.schoolmediation.com/pdf/Quick-Guide-to-Implementing-a-Peer-Mediation-Program.pdf
2. http://www.vadr.asn.au/mediation_in_schools.pdf
3. http://www.njsbf.org/images/content/1/1/11155/CR%20Elementary%20Volume%20II.pdf
4. http://www.mediate.com/articles/hershmanL1.cfm
5. http://www.schoolmediation.com/newsletters/2011/06_11.html
6. http://www.peermediators.org/about/faq
7. http://www.theresolutioncenter.com/peers-making-peace/

# გაკვეთილის ჩატარების გეგმა

***რა არის თანატოლთა მედიაცია?***

წინამდებარე მოდული განკუთვნილია პედაგოგებისათვის, რომლებიც აპირებენ თანატოლთა მედიაციის, როგორც თანატოლთაშორისი კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთი საუკეთესო შესაძლებლობის ჩვენებას, როგორც სასკოლო სივრცეში, ასევე შემდგომ, ცხოვრებისეულ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ტრენინგი გათვლილია საშუალო და მაღალი კლასის მოსწავლეებისათვის. ტრენინგის მიზანია საშუალო და მაღალი კლასის მოსწავლეებისათვის მედიაციის არსისა და მიმდინარეობის გაცნობა. ტრენინგის მიმდინარეობისას მონაწილეები ეცნობიან მედიაციის პროცესს, მის მიზნებსა და ამოცანებს, მედიატორის როლს, მის პასუხისმგებლობებს, თანატოლთა მედიაციის პროცესსა და მისი ეფექტურად წარმართვისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს.

აქ წარმოდგენილი ტრენინგის მიმდინარეობა დაახლოებით 2 აკადემიური საათია და წარმოადგენს მედიაციის პროცესის სწრაფი იმპლემენტაციის მოდელის ნაწილს, რომელიც მომზადებულია არაძალადობრივი კომუნკაციის ინსტიტუტის „თანატოლთა მედიაციის ტრენინგ-მოდულის“ ბაზაზე, რასაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს „კონფლიქტების გადაჭრა თანატოლთა მედიაციის პროგრამის მეშვეობით“. (Maureen F. Block and Barbara Blazej, Resolving Conflict with a Peer Mediation Program, A Manual for Grades 4-8, 2005, A collaborative project of the Peace Studies Program, University of Maine, and Maine Law & Civics Education, University of Southern Maine, with support from the Division of Family Health, Maine CDC, Department of Health and Human Services).

რეკომენდებული სტანდარტების მიხედვით, იმ სკოლებში, სადაც თანატოლთა მედიაციასთან ერთად ხორციელდება, კონფლიქტის მართვის ან ძალადობის პრევენციის პროგრამები, ტრენინგების მიმდინარეობის მინიმალური დრო არის:

1. დაწყებით კლასებში: 12-18 საათი
2. საშუალო კლასებში: 12-18 საათი
3. მაღალ კლასებში: 15-20 საათი
4. განგრძობით მედიატორთა ტრენინგზე: 12+ საათი წლის განმავლობაში.

(Recommended Standards for School-Based Peer Mediation Programs, 1st edition ©1996 by the National Association for Mediation in Education, 2nd edition ©2007 by the Association for Conflict Resolution, Both editions are available on-line at http://www.acrnet.org)

ტრენინგის მონაწილეთა საშუალო რაოდენობა 12-16 კაცია, თუმცა შესაძლებელია ტრენერებმა და პედაგოგებმა ინდივიდუალური მუშაობა გამოიყენონ მონაწილეთა დიდ ჯგუფებში.

ჯგუფში მუშაობა მიმდინარეობს შემდეგი მეთოდების გამოყენებით:

- აქტიური ლექცია
- როლური თამაშები
- სიტუაციური ამოცანა
- მუშაობა მცირე ჯგუფებში
- გონებრივი იერიში
- დისკუსია

***1. აქტივობა: მინი ლექცია ან პრეზენტაცია თემაზე „თანატოლთა მედიაცია“***

მიზანი: მონაწილეების გარკვევა თანატოლთა მედიაციის არსში, მის მიზნებსა და ამოცანებში, ასევე მედიაციის პროცესის ძირითად პრინციპებში (იხ. თანატოლთა მედიაციის კონცეპტუალიზაცია).

ხანგრძლივობა: 30 წუთი.

აქტივობის მიმდინარეობა: გააკეთეთ მინი ლექციის პრეზენტაცია ჯგუფის წევრების წინაშე, დასვით აქცენტები მედიაციის მთავარ პრინციპებზე:

- მიუკერძოებლობა
- ნებაყოფლობითობა
- კონფიდენციალობა

აღნიშნეთ მედიაციის ეტაპები და მედიატორის უნარ-ჩვევები. სთხოვეთ ჯგუფის წევრებს დაგისვან კითხვები პრეზენტაციის მიმდინარეობისას.

უკუკავშირი: პრეზენტაციის დასასრულს ჰკითხეთ ჯგუფის წევრებს, თუ რა იყო მათთვის საინტერესო პრეზენტაციის მიმდინარეობისას? რა იყო გაუგებარი? როგორ ჰგონიათ, რა არის საჭირო იმისათვის, რომ წარმატებით განხორციელდეს თანატოლთა მედიაციის პროცესი?

***2.აქტივობა: ენერჯაიზერი „შტორმი“***

მიზანი: არავერბალური განცდების გამოხატვა, გახალისება, გააქტიურება.

ხანგრძლივობა: 5 წუთი.

აქტივობის მიმდინარეობა: დადექით წრეში ჯგუფის წევრებთან ერთად. წამყვანმა უნდა შეატყუპოს ხელები და გააკეთოს წრიული მოძრაობები, რომელსაც იმეორებს მეორე ადამიანი მის მარჯვნივ მდგომი და ასე მთელს წრეზე. შემდეგ წამყვანი ცვლის მოძრაობას და ერთ ხელს ატყაპუნებს მეორე ხელისგულზე, დანარჩენები იმეორებენ მის მოძრაობას, წამყვანი ხან უმატებს ხელების ტყაპა-ტყუპს, ერთმანეთზე, მუხლებზეც, ხან ანელებს, თითქოს ახდენს „შტორმის" იმიტირებას, როდესაც ხმაური მაქსიმუმს მიაღწევს, მერე თანდათან იკლებს, ხელების ტყაპუნი წყდება და „შტორმიც" გადაივლის.

***3.აქტივობა: მედიატორის როლი***

მიზანი: მოსწავლეებისათვის მედიატორის როლის პასუხისმგებლობებისა და საჭირო უნარების გაცნობიერება.

მასალა: ფლიპჩარტის ფურცლები და მარკერები მონაწილეთათვის.

ხანგრძლივობა: 20 წუთი.

აქტივობის მიმდინარეობა: ჯგუფის წევრებს სთხოვეთ დაყოფა მცირე 3-4 კაციან ჯგუფებად, თითოეულ ჯგუფს სთხოვეთ გამოსახოს ფლიპჩარტზე მედიატორი, ჩამოწერონ მისი ხასიათობრივი თავისებურებები და მედიაციისათვის საჭირო უნარები (დავალების ხანგრძლივობა 10-15 წუთი). დავალების დასასრულს თითოეული ჯგუფი ახდენს მინიპრეზენტაციას და წარმოადგენს საკუთარ ხედვას მედიატორის როლის შესახებ. სესიის დასასრულს წამყვანი ახდენს პრეზენტაციების შეჯამებას და გამოყოფს თანატოლთა მედიატორის იმ უნარებსა და ხასიათობრივ შტრიხებს, რაც უზრუნველყოფს მედიაციის პროცესის ეფექტურ წარმართვას. [10]

კითხვები უკუკავშირისათვის: თავს როგორ გრძნობენ? რა იყო ახალი აღმოჩენა ამ სავარჯიშოს მიმდინარეობისას, რაზეც ადრე არ დაფიქრებულან?

***4. აქტივობა: მედიაციის ნაბიჯები***

მიზანი: მედიაციის ნაბიჯების დასწავლა, გავარჯიშება.

მასალა: ფერადი ნაბეჭდი ფურცლები დავალებით.

ხანგრძლივობა: 10-15 წუთი.

აქტივობის მიმდინარეობა: ამ აქტივობის დროს მოსწავლეები შეძლებენ გაიაზრონ და დაისწავლონ მედიაციის ნაბიჯები, რათა შემდგომში გაუადვილდეთ მედიაციის ჩატარება. ამ აქტივობისას მოსწავლეები მუშაობენ წყვილებში ან მცირე ჯგუფებში. თქვენ შეგიძლიათ გამოიყენოთ მედიაციის 10 ნაბიჯი. დააკოპირეთ ეს ნაბიჯები ფერად ფურცლებზე და მიეცით ამ ნაწილების თითო შეკვრა თითოეულ ჯგუფს (ნუმერაციის გარეშე). ვიდრე დაარიგებთ, აურიეთ მათი თანმიმდევრობა. სთხოვეთ მოსწავლეებს იმუშაონ ერთობლივად, რათა დაალაგონ ეს ნაბიჯები თანმიმდევრულად, გამოიყენონ მაგიდა ან იატაკი. როდესაც სტუდენტები დაასრულებენ, აჩვენეთ/ან აუხსენით მათ მედიაციის ნაბიჯების სწორი თანმიმდევრობა.[11]

---

[10] თეორიული მასალა იხილე .... გვერდზე.

[11] მედიაციის ნაბიჯების შესახებ ინფორმაცია იხილე .... გვერდზე.

კითხვები უკუკავშირისათვის: რა იყო მარტივი ამ სავარჯიშოს შესრულებისას? რა გაგიჭირდათ? რა იყო აღმოჩენა თქვენთვის?

***5. აქტივობა: მედიაციის პროცესი***

მიზანი: მედიაციის პროცესზე დაკვირვება.

მასალა: მედიაციის ვიდეო ჩანაწერი

ხანგრძლივობა: 15-20 წუთი.

აქტივობის მიმდინარეობა: მონაწილეები აკვირდებიან მედიაციის პროცესის ვიდეოჩანაწერს (5-10 წუთი), რომლის დასრულების შემდეგაც იმართება დისკუსია.

ვიდეორგოლები მიდიაციის პროცესის დემონსტრირებისათვის:

- https://www.youtube.com/watch?v=PxCLtFWB74E საშუალო ასაკის მოსწავლეთათვის,
- https://www.youtube.com/watch?v=ynBhMQDT7Kw უფროსი ასაკის მოსწავლეთათვის,
- https://www.youtube.com/watch?v=l2pZJBMsr1I საშუალო ასაკის მოსწავლეთათვის,
- ასევე შეგიძლიათ თავად შეარჩიოთ ვიდეორგოლები მედიაციის თემაზე მოსწავლეთა შესაბამისი ასაკობრვი ჯგუფების მიხედვით.

კითხვები უკუკავშირისათვის: ჰკითხეთ მონაწილეებს, თავს როგორ გრძნობენ? რისი დაკვირვება იყო მათთვის საინტერესო? მათი აზრით, რა იყო მარტივი და რთული პროცესის მიმდინარეობისას? რა განცდები ჰქონდათ მოდავე მხარეებს პროცესის დასაწყისში? შეიცვალა თუ არა რამე პროცესის დასასრულს? ასევე, რა განცდები ჰქონდათ მედიატორებს, პროცესის დასაწყისში და ბოლოს? მათი აზრით, რამ განაპირობა პროცესის ასეთი დასასრული?

*ანტონ ქელბაქიანი*

# ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული ადგილობრივი და საერთაშორისო სტანდარტები

# და

# ბავშვი და მართლმსაჯულება

აღნიშნული მოდულის მიზანია, მასწავლებლებს მივაწოდოს ინფორმაცია ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში არსებული სტანდარტების თაობაზე და ასევე თუ როგორ უნდა იქცეოდნენ ბავშვები მართლმსაჯულების სისტემასთან შეხებისას. აღნიშნული მოდული და მასთან არსებული საკითხავი მასალა, მისცემს შესაძლებლობას მასწავლებლებს, გასაგები ენით და ფორმით მიაწოდონ ინფორმაცია ბავშვებს ზემოთ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით.

ბავშვებისთვის ინფორმაციის მიწოდებისას, სასურველია, მასწავლებლებმა გამოიყენონ შემდეგი სახის მეთოდები:

- დისკუსია/დებატები – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს ბავშვთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს ბავშვებს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
- გონებრივი იერიში (Brain storming) - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი (სასურველია რადიკალურად განსხვავებული), აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას, ეფექტურია ბავშვთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:
    - პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა;
    - დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა;
    - გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან;
    - შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით;
    - უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

- <u>დემონსტრირების მეთოდი</u> <u>(პრეზენტაცია power point-ში)</u> – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ ბავშვებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.

**აღნიშნული მოდულის ხანგრძლივობა განისაზღვრება ორი ერთსაათიანი სესიით**

სესია I

ბავშვთა დაცვის სფეროში არსებული საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები

მეთოდი:

- გონებრივი იერიში
- პრეზენტაცია Power Point-ში

სესია II

ბავშვი და მართლმსაჯულება

მეთოდი:

- გონებრივი იერიში
- პრეზენტაცია Power Point-ში
- დისკუსია/დებატები

# საკითხავი მასალა მასწავლებლებისათვის

### I თემა. ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო და ადგილობრივი სტანდარტები

საერთაშორისო სტანდარტები და ადგლობრივი კანონმდებლობა განსაზღვავს იმ ძირითად ჩარჩოს, სადაც არის ასახული თუ რა უფლებები აქვთ ბავშვებს ზოგადად და მათთან მიმართებაში მიღებული გადაწყვეტილებები რა პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს. ამისათვის მნიშნელოვანია რომ ვიცოდეთ, თუ ვის მიერ არის განსაზღვრული ბავშვთა უფლებების დაცვის ძირითადი წესები, რომ ჩვენ მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ორიენტირებული იყოს

ბავშვის მომავალზე და მის ინტერესებზე. აღნიშნულ მოდულში არის წარმოდგენილი ინფორმაცია უმეტესად საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით, რომელსაც აღიარებს მთელი მსოფლიო და, მათ შორის, საქართველო; ასევე - ინფორმაცია ადგილობრივი კანონმდებლობის შესახებ.

***ბავშვთა უფლებათა კონვენცია*** [12]

ბავშვთა უფლებათა კონვენცია წარმოადგენს უმთავრეს დოკუმენტს ბავშვთა უფლებათა დაცვის სფეროში. იგი მიღებულ იქნა 1989 წელს. კონვენცია ითვალისწინებს სოციალური, ეკონომიკური და კულტურული, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების დაცვას და ეხება ბავშვებთან დაკავშირებულ თითქმის ყველა სფეროს.

კონვენცია წარმოადგენს მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებას და მას სავალდებულო ძალა ენიჭება მას მერე, რაც სახელმწიფოები განახორციელებენ ამ შეთანხმების რატიფიცირებას. საქართველომ ამ კონვენციის რატიფიცირება მოახდინა 1994 წელს.




რატიფიცრება ნიშნავს ამ დოკუმენტის აღიარებას სახელმწიფოს მხრიდან, რის შემდეგაც მას აქვს კანონზე მაღალი ძალა. შესაბამისად, ბავშვთა უფლებათა კონვენცია უფრო მაღალი დონის დოკუმენტია, ვიდრე შესაბამისი კანონმდებლობა საქართველოში. თუმცა კონვენცია დგას საქართველოს კონსტიტუციის შემდგომ და უნდა შეესაბამებოდეს მას.

კონვენცია განსაზღვრავს ზოგად პრინციპებს, რომელთა დაცვაც უნდა განახორციელოს სახელმწიფომ ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. კონვენციის უმთავრესი პრინციპი არის ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა.

*ა) ბავშვის საუკეთესო ინტერესი*

[12] http://www.parliament.ge/uploads/other/132/132680.pdf

კონვენციაში ბავშვის საუკეთესო ინტერესი ასეთი ფორმით არის განმარტებული - *„ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას“.*




ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, რომელიც უკავშირდება ბავშვს, მიუხედავად იმისა თუ რა სფეროს ეხება (განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, მართლმსაჯულების სისტემას თუ სხვა), გადაწყვეტილების მიმღები პირები უნდა ამოდიოდნენ ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე.

ზოგადად ბავშვის საუკეთესო ინტერესის ცნება მოქნილი და ადაპტირებადია. იგი უნდა მოერგოს და განისაზღვროს ინდივიდუალურად, შესაბამისი ბავშვის/ბავშვების კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, მათი პირადი კონტექსტის, მდგომარეობის და საჭიროების გათვალისწინებით.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გათვალისწინებელი უნდა იყოს შემდეგი ელემენტები:

- ❑ ბავშვის მოსაზრებები;
- ❑ ბავშვის იდენტობა;
- ❑ ოჯახური გარემოსა და ურთიერთობების შენარჩუნება;
- ❑ ბავშვზე ზრუნვა, მისი დაცვა და უსაფრთხოება;
- ❑ დაუცველობა;
- ❑ ბავშვის უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვით;
- ❑ ბავშვის განათლების უფლება.

საუკეთესო ინტერესების შეფასების ელემენტები შესაძლოა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს კონკრეტული შემთხვევისა და გარემოებების განხილვის დროს. მაგალითად, ოჯახური გარემოს შენარჩუნება შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მშობლების მხრიდან ძალადობის ან ჩაგვრის რისკისაგან ბავშვის დაცვის საჭიროებას. ამგვარ სიტუაციაში ელემენტები ერთმანეთთან მიმართებაში უნდა აიწონოს, რათა მოიძებნოს ისეთი გადაწყვეტის გზა, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესს შეესაბამება.

ანალოგიური სახის ჩანაწერი გვხვდება ეროვნულ კანონმდებლობაში, კერძოდ, ბავშვთა უფლებათა კოდექსში[13]. ეს დოკუმენტი შემდგენაირად აყალიბებეს ამ პრინციპს - „ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს". ასევე ვხვდებით შემდეგი სახის ჩანაწერს: „ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოების, საჯარო დაწესებულებების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას".

*ბ) დისკრიმინაციის დაუშვებლობა*

კონვენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპია დისკრიმინაციის დაუშვებლობა. ამ საკითხზე კონვენციაში ვხვდებით შემდეგი სახის ჩანაწერს: *„მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვეციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად."*[14]

ამ საკითხს ეხება ასევე ადგილობრივი კანონმდებლობა და, კერძოდ, საქართელოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ". აღნიშნული კანონი უფრო ფართოდ ადგენს და განსაზღვრავს დისკრიმინაციის დაუშვებლობას სხვადასხვა ნიშნის მიხედვით. კერძოდ, დაუშვებელია ადამიანების დისკრიმინაცია - *„რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, ასაკის, მოქალაქეობის, წარმოშობის, დაბადების ადგილის, საცხოვრებელი ადგილის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, რელიგიის ან რწმენის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, პროფესიის, ოჯახური მდგომარეობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობისა და გამოხატვის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების ან სხვა ნიშნის მიუხედავად."*



[13] https://matsne.gov.ge/ka/document/view/4613854?publication=0
[14] https://matsne.gov.ge/ka/document/view/2339687?publication=1

ამ კუთხით სახელმწიფოებს ორის სახის ვალდებულება აკისრიათ:

- განახორციელონ ყველა შესაძლო ღონისძიება დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად, რაც, პირველ რიგში, გულისხმობს მაღალი რისკის მქონე ჯგუფებს მიკუთვნებული ბავშვების დაცვას;
- წაახალისონ თანასწორობა, რაც ყველა ბავშვთან თანასწორად მოპყობისათვის გარკვეული ჩარჩო პირობების შემუშავებასა და განსაკუთრებით მაღალი რისკის ჯგუფს მიკუთვნებული ბავშვების მხარდასაჭერად კამპანიების წარმართვაში უნდა გამოიხატებოდეს.

*გ) ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი*

კონვენციის თანახმად, ბავშვი არ წარმოადგენს მხოლოდ ზრუნვის ობიექტს, არამედ იგი არის სრულფასოვანი სუბიექტი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს, სადაც მას უნდა მოუსმინონ და მისი აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული. ამ კუთხით კონვენციაში ვხვდებით შემდეგი სახის ჩანაწერს:

*„მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოხატოს ეს შეხედულებანი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა ბავშვის ასაკისა და მოწიფულობის შესაბამისად“.*

*„ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი; ეს უფლება შეიცავს ნებისმიერი სახის ინფორმაციისა და იდეის მოძიების, მიღების და გადაცემის თავისუფლებას საზღვრების მიუხედავად, ზეპირი, წერილობითი ან ბეჭდვითი ფორმით, ხელოვნების ნაწარმოების ფორმით ან ბავშვის არჩევანის შესაბამისად, სხვა საშუალებების დახმარებით“.*

გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაყვეტილების მიღებისას ბავშვების მოსმენის ვალდებულებას აკისრებს შესაბამის უწყებას თუ პირებს. ეს არ არის არც სურვილი, არც რეკომენდაცია ან შეთავაზება, ეს სახელმწიფოს ვალდებულებაა! ამ უფლებას ბავშვის გარდა ვერავინ გამოიყენებს, შესაბამისად, ეს მკაცრად მათი პირადი უფლებაა.

საჭირო არ არის ბავშვმა მასთან დაკავშირებული საკითხის ყველა დეტალი იცოდეს. თუმცა საჭიროა ბავშვმა ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რაც მას ეხება, შეძლოს საკუთარი მოსაზრებების ჩამოყალიბება. კონვენციით არ არის განსაზღვრული კონკრეტული ასაკობრივი ზღვარი, რა დროსაც შესაძლოა ბავშვს ჰქონდეს საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობა. ბავშვს მისი აზრის მოსმენის უფლება აქვს მიუხედავად მისი ასაკისა.

ქართული კანონმდებლობაც განსაზღვრავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ბავშვის აზრი უნდა იყოს გათვალისწინებული. ბავშვთა უფლებათა კოდექსში არის ჩანაწერი, რომ ბავშვზე ორიენტირებული გადაწყვეტილების მიღებისას შესაბამისმა ორგანოებმა/პირებმა შემდეგი სახის კრიტერიუმები უნდა შეაფასონ:

- ბავშვის აზრის მოსმენა და სათანადოდ გათვალისწინება;
- ბავშვის ყველა სხვა უფლების დაცვა, მათ შორის, ღირსების დაცვის, თავისუფალი განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვის, ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვისა და ბავშვებისადმი თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა;
- ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შეფასება და გათვალისწინება.




ქართულ კანონმდებლობაში ასევე პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ:

- ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე;
- ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი აქვს, უშუალოდ, მისი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით;
- დაუშვებელია პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე შეზღუდვა;
- ბავშვთან გასაუბრებისა და მისი აზრის მოსმენის პროცესი უნდა იყოს ინფორმაციული, ნებაყოფლობითი, ბავშვისადმი პატივისცემისა და ანგარიშვალდებულების გამომხატველი, ბავშვისთვის მორგებული, ინკლუზიური, უსაფრთხო, ბავშვის საკითხებზე სათანადოდ მომზადებული სპეციალისტების მიერ წარმართული.

*დ) განათლების უფლება*

საერთაშორისო სტანდარტების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა, სახელმწიფოებმა მიიღონ ყველა ზომა, რომ განათლება ხელმისაწვდომი იყოს ყველა ბავშვისთვის. კონვენციაში პირდაპირ არის ხაზგასმული, რომ დაწყებითი/საბაზისო განათლება უნდა იყოს უფასო და სავალდებულო ბავშვებისთვის. განათლებაზე ხელმისაწვდომობა გულისხმობს სამ მნიშვნელოვან ფაქტორს: დისკიმინაციის აკრძალვა, ფიზიკური ხელმისაწვდომობა და ეკომონიური ხელმისაწვდომობა.




ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, ბავშვის განათლების მიზნებია:

- ბავშვის პიროვნების, ტალანტის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების განვითარება მისი სრული პოტენციალით;
- ადამიანის უფლებების და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება;
- ბავშვის პატივისცემის განვითარება მისი მშობლებისადმი, კულტურული, ენობრივი და იმ ქვეყნის ეროვნული ღირებულებებისადმი, რომელშიც წარმოიშვა ან ცხოვრობს, და ასევე, მისგან განსხვავებული ცივილიზაციებისადმი;
- ბავშვის მომზადება ცხოვრებისეული პასუხისმგებლობისთვის თავისუფალ საზოგადოებაში, ურთიერთგაგების, მშვიდობის, ტოლერანტობის, სქესთა თანასწორობის, ყველა ადამიანს, ეთნიკურ, ეროვნულ და რელიგიურ დაჯგუფებას, შორის მეგობრობის სულისკვეთებით;
- ბუნებრივი გარემოს მიმართ პატივისცემის განვითარება.

გარდა ამისა, განათლების მიზანი უნდა იყოს, რომ ყველა ბავშვმა შეძლოს შეიძინოს რეალური ცხოვრებისთვის აუცილებელი უნარ-ჩვევები. განათლების სისტემა უნდა იყოს მოქნილი და ადაპტირებადი. იგი ადაპტირებადია, თუ იცვლება საზოგადოებაში წარმოშობილი საჭიროებების შესაბამისად და პასუხობს ისეთ გამოწვევებს, როგორიც არის უთანასწორობა, ეკონომიკური რყევები, საზოგადოებრივი ცვლილებები და სხვა სახის საჭიროებები. შესაბამისად, განათლება ადაპტირებული უნდა იყოს საზოგადოების ყველა ფენაზე, მათ შორის, ადგილობრივი საზოგადოების სპეციფიკურ გარემოზე.

ქართულ კანონმდებლობაშიც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ  - ყველა ბავშვს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღებისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება. სახელმწიფომ უნდა  უზრუნველყოს განათლების ინკლუზიური სისტემის ყველა ბავშვისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა.

## II თემა. ბავშვი და მართლმსაჯულება

ყველაზე დიდი რისკები მართლსაჯულების სისტემაში ბავშვის მოხვედრისას იკვეთება სამართალდამცავ ორგანოებთან მათი პირველი კონტაქტისას. ამ დროს არის მათი უფლებების დარღვევის ყველაზე მეტი რისკი. აქედან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ბავშვებს ჰქონდეთ მინიმალური ცოდნა მაინც, თუ რა უფლებები აქვთ ამ დროს, რომ შეძლონ თავიანთი უფლებების ეფექტიანად დაცვა. აღნიშნულ თავში არის წარმოდგენილი ინფორმაცია, როგორც ზოგადი პრინციპების თაობაზე, ასევე კონკრეტული მითითებები, თუ რა უფლებები აქვთ ბავშვებს სამართალდამცავ ორგანოებთან კონტაქტისას, დაკავებისას და გამოკითხვისას/დაკითხვისას.

*ა) ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემა*

„ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება" გულისხმობს მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც ქმნის ბავშვის უფლებათა ეფექტური განხორციელების გარანტიას ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპების, ბავშვის ინდივიდუალური განვითარების და საქმის გარემოებების მხედველობაში მიღებით. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება ნიშნავს მართლმსაჯულებას, რომელიც არის მისაწვდომი, ასაკთან შესაბამისი, სწრაფი, თანმიმდევრული, ბავშვის უფლებებსა და საჭიროებებზე მორგებული. ესაა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვას სამართლიანი სასამართლო პროცესის, სასამართლო პროცესში მონაწილეობის და ინფორმირების, პირადი და ოჯახური ცხოვრების, პატივისა და ღირსების პატივისცემის შესახებ.

სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან ბავშვს პირველი კონტაქტი შეიძლება ქონდეს სხვადასხვა სტატუსით. ბავშვი შეიძლება იყო კონკრეტული დანაშაულის მოწმე, დაზარალებული ან ბრალდებული. საქართველოს კანონმდებლობა განსაზღვრავს ბავშვების უფლებებს ამ პროცესში მათი სტატუსების შესაბამისად.

*ბ) ბავშვის საუკეთესო ინტერესის პრიორიტეტულობა*

როგორც საერთაშორისო სტანდარტები, ასევე ადგილობრივი კანონმდებლობა გვეუბნება, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.




*გ) ბავშვის მოსმენისა და მონაწილეობის უფლება*

ბავშვს, როგორც ყველა სფეროში, ასევე მართლმსაჯულების სისტემაში, აქვს მოსმენისა და პროცესში მონაწილეობის უფლება. მას უნდა უსმენდნენ უშუალოდ და არა მხოლოდ მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ან ადვოკატის მეშვეობით.

უშუალოდ მართლმსაჯულების პროცესში გამოყენებული ენა, ტერმინილოგია, მიდგომები უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის აღქმისა და გაგების უნარებს. ბავშვს უნდა მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი მოსაზრებები ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად.




*დ) კანონიერი წარმომადგენელი*

სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ნებისმიერი სახის კომუნიკაცია ბავშვთან, მიუხედავად მისი სტატუსისა, აკრძალულია კანონიერი ან საპროცესო წარმომადგენლის გარეშე.



*ვინ არის კანონიერი წარმომადგენელი?*

კანონიერი წარმომადგენელი არის - არასრულწლოვნის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც ბავშვის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით.

*რა უფლებები აქვს კანონიერ წარმომადგენელს?*

- იცოდეს ბრალდებულისათვის წაყენებული ბრალდების არსი;
- იცოდეს არასრულწლოვან მოწმესა და ბრალდებულს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ;
- მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ნებისმიერ სახის ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ბავშვს, რომელიც ჩართულია მართლმსაჯულების პროცესში.

*ე) საპროცესო წარმომადგენელი*

*ვინ არის საპროცესო წარმომადგენელი?*

საპროცესო წარმომადგენელი არის - მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის მიერ დანიშნული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი ან სხვა სანდო პირი, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას არასრულწლოვნის სახელით. საპროცესო წარმომადგენელი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებითაც კანონიერი წარმომადგენელი.

საპროცესო წარმომადგენელის მოწვევა ხდება იმ შემთხვევაში, თუ:

- არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია;
- არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონიერ წარმომადგენელთან ან/და უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე ან პროცესში მის მონაწილეობაზე;
- კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს;
- არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია ან თვითმხილველია;
- კანონიერი წარმომადგენელი იმავე დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული;
- კანონიერი წარმომადგენელი ხელმიუწვდომელია.

სანდო პირი საპროცესო წარმომადგენლად ინიშნება არასრულწლოვნის მოსაზრების გათვალისწინებით.

*რა უფლებები აქვს საპროცესო წარმომადგენელს დამატებით?*

- სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებთან გამოთქვას მოსაზრება არასრულწლოვნის საჭიროებების შესახებ;
- ურთიერთობა ჰქონდეს არასრულწლოვნის ახლო ნათესავთან, ადვოკატთან და მეგობართან;
- არასრულწლოვანს აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური ან სოციალური მომსახურებისა და მისი მიღების ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ;
- არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მისი უფლებებისა და მოვალეობის შესახებ;
- არასრულწლოვნის დასახმარებლად განახორციელოს სხვა მოქმედებები.

*<u>ვ) მოწმე ბავშვი</u>*

*ვინ შეიძლება იყოს მოწმე?*

მოწმე არის პირი, რომელმაც შეიძლება იცოდეს სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა დასადგენად საჭირო მონაცემი. მოწმე შეიძლება იყოს ნებისმიერი ასაკის პირი.



*რა უფლებები აქვს მოწმეს?*

- იცოდეს, რა საქმის გამოა გამოძახებული;
- თუ არ იცის ქართული ენა, ჩვენება მისცეს მშობლიურ ან მისთვის სასურველ სხვა ენაზე და საჭიროების შემთხვევაში ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურეობით;
- არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს;
- გაეცნოს ნებისმიერ დოკუმენტაციას, რაც მას უკავშირდება;

- ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით, თუ იგი გადახდისუუნაროა ან თუ არის სისხლის სამართლის კოდექსის XIX, XX და XXII თავებითა და 144[1]–144[3] მუხლებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე.

*რა ვალდებულებები აქვს მოწმეს?*

- გამოცხადდეს პოლიციის ან სასამართლოს გამოძახებით;
- უპასუხოს დასმულ შეკითხვებს.

*რა შემთხვევაში არ შეიძლება პირი დაიკითხოს მოწმედ?*

არ შეიძლება გამოიკითხოს ან მოწმედ დაიკითხოს პირი, რომელსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ შეუძლია სწორად აღიქვას, დაიმახსოვროს და აღიდგინოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მიაწოდოს ინფორმაცია ან მისცეს ჩვენება. გარდა ამისა, მოწმეს შეუძლია ისარგებლოს ფსიქოლოგის მომსახურეობით, რომლემაც მას ფსიქოლოგიური მხარდაჭერა უნდა გაუწიოს.

*ვინ შეიძლება იყოს დაზარალებული?*

დაზარალებული არის პირი, რომელსაც მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ დანაშაულის შედეგად. დაზარალებული შეიძლება იყოს ნებისმიერი ასაკის პირი.

დაზარალებულ ბავშვს ენიჭება არასრულწლოვანი მოწმისათვის მინიჭებული ყველა უფლება და ეკისრება მისთვის დაკისრებული ყველა მოვალეობა.

*ზ) მოწმის და დაზარალებულის კოორდინატორი*

იმ სისხლის სამართლის საქმეში, რომელშიც არასრულწლოვანი მოწმე ან არასრულწლოვანი დაზარალებული მონაწილეობს, პროკურორის გადაწყვეტილებით, შესაძლებელია ჩაერთოს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი. მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორი ვალდებულია დაუყონებლივ დაუკავშირდეს არასრულწლოვან მოწმეს, არასრულწლოვან დაზარალებულს მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. მოწმეს/დაზარალებულს და მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვთ, უარი განაცხადონ მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორთან თანამშრომლობაზე.

*რა ფუნქცია აქვს მოწმისა და დაზარალებულის კოორდინატორს?*

- არასრულწლოვან მოწმესა და არასრულწლოვან დაზარალებულს, კანონიერი წარმომადგენლის ან/და ადვოკატის თანდასწრებით ან მეშვეობით მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია გამოძიებისა და სასამართლო განხილვის მიმდინარეობის შესახებ;
- არასრულწლოვან მოწმესა და არასრულწლოვან დაზარალებულს მათთვის გასაგები ენით განუმარტოს მათი უფლებები და მოვალეობები და აუხსნას გამოძიებისა და სასამართლო განხილვის სამართლებრივი პროცედურები;

- დაესწროს არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის მონაწილეობით ჩატარებულ საგამოძიებო/საპროცესო მოქმედებასა და სასამართლო განხილვას, მათი ემოციური მხარდაჭერის მიზნით;
- არასრულწლოვან მოწმეს, არასრულწლოვან დაზარალებულს კანონიერი წარმომადგენლის ან/და ადვოკატის თანდასწრებით ან/და მეშვეობით მიაწოდოს ინფორმაცია მისთვის საჭირო იურიდიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო ან/და სხვა მომსახურების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში დაეხმაროს შესაბამის ორგანოსთან/ორგანიზაციასთან დაკავშირებაში.

*თ) არასრულწლოვანი ბრალდებული*

*ვინ შეიძლება იყოს ბრალდებული?*

საქართველოში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი არის 14 წელი. ამ ასაკის მიღწევამდე, ბავშვს ვერ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა. ბრალდებული შესაძლოა იყოს, მხოლოდ 14 წელს ასაკს მიღწეული პირი.

ბრალდებული არის პირი, რომლის მიმართაც არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული.



*რა უფლებები აქვს ბრალდებულს?*

- დამოუკიდებლად ან ადვოკატის მეშვეობით ჩაატაროს გამოძიება, კანონიერად მოიპოვოს და წარადგინოს მტკიცებულება;
- მოითხოვოს საგამოძიებო მოქმედების ჩატარება და გამოითხოვოს მტკიცებულება, რომელიც საჭიროა ბრალდების უარსაყოფად ან პასუხისმგებლობის შესამსუბუქებლად;
- მონაწილეობა მიიღოს მისი ან/და მისი ადვოკატის შუამდგომლობით ჩატარებულ საგამოძიებო მოქმედებაში;
- მოითხოვოს ადვოკატის დასწრება მისი მონაწილეობით ჩატარებული საგამოძიებო მოქმედების დროს;
- დაკავებისთანავე ან დაპატიმრების შემთხვევაში მოითხოვოს უფასო სამედიცინო შემოწმება და მიიღოს შესაბამისი წერილობითი დასკვნა;

- ნებისმიერ დროს, საკუთარი ხარჯით, დაუყოვნებლივ ჩაიტაროს სამედიცინო შემოწმება მის მიერ არჩეული ექსპერტის მიერ;
- დაკავებისთანავე ან დაპატიმრების შემთხვევაში თავისი ოჯახის წევრს ან ახლო ნათესავს შეატყობინოს დაკავების ან დაპატიმრების ფაქტი და ადგილსამყოფელი, თავისი მდგომარეობა;
- გაეცნოს ბრალდების მხარის მტკიცებულებებს, მიიღოს მტკიცებულებისა და სისხლის სამართლის საქმის მასალების ასლები;
- მონაწილეობა მიიღოს მისი ბრალდების საქმის გამოძიებაში, ასევე უშუალოდ ან დისტანციურად, ტექნიკური საშუალებების გამოყენებით – სასამართლო განხილვაში;
- გაასაჩივროს გამომძიებლის მოქმედება პროკურორთან, პროკურორის მოქმედება და გადაწყვეტილება – ზემდგომ პროკურორთან, ხოლო კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში – სასამართლოში;
- გაასაჩივროს სასამართლო გადაწყვეტილება, მიიღოს გასასაჩივრებელი გადაწყვეტილების ასლი;
- ნებისმიერ დროს გამოიყენოს დუმილის უფლება. თუ ბრალდებული ირჩევს დუმილის უფლებას, ეს არ შეიძლება შეფასდეს მისი ბრალეულობის დამადასტურებელ მტკიცებულებად.
- აირჩიოს და ყავდეს ადვოკატი. ასევე შეცვალოს თავისი ადვოკატი ნებისმიერ დროს. თუ მას არ ყავს საკუთარი ადვოკატი, მას ენიშნება სახელმწიფოს ხარჯზე. ბრალდებულს არ აქვს უფლება უარი თქვა დაცვის უფლებაზე.

*ი) თარჯიმნის მომსახურეობის უფლება*

არასრულწლოვანი, მიუხედავად მისი სტატუსისა, უფასოდ სარგებლობს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მან არ იცის ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა ანდა მას არ შეუძლია ილაპარაკოს ამ ენაზე,

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი უფასოდ სარგებლობს აგრეთვე ყველა იმ მომსახურებით, რომლებიც მას საქმის გასაცნობად და სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის ესაჭიროება.

*კ) ბავშვის დაკავება*

დაკავება არის თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთა.

პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან. დაკავების მომენტიდან პირი ითვლება ბრალდებულად. 14 წლამდე ასაკის პირის დაკავება აკრძალულია კანონით.

დაუშვებელია ბავშვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი. არასრულწლოვნის დაკავება, დაპატიმრება და მისთვის თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით.

დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს. დაკავებიდან არა უგვიანეს 48 საათისა დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება. თუ ამ ვადაში დაკავებულს დადგენილება არ გადაეცა, იგი დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.



*რა უფლებები აქვს ბავშვს დაკავებისას?*

- დაუყოვნებლივ, ასევე ნებისმიერი დაკითხვის წინ, ბრალდებულს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს, რა დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი;
- ეცნობოს, რომ მას აქვს უფლება ადვოკატზე, დუმილისა და კითხვებზე პასუხის გაცემისაგან თავის შეკავების უფლება, უფლება, არ დაიბრალოს დანაშაული, რომ ყველაფერი, რასაც იგი იტყვის, შესაძლებელია მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული, და უფლება, დაპატიმრებისას, ხოლო დაკავებისას – მისი მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამის დაწესებულებაში მიყვანისთანავე მიიღოს უფასო სამედიცინო შემოწმება;
- დაუყონებლივ შეატყობინოს ინფორმაცია ახლო ნათესავს, ბავშვის მიერ მითითებულ ნებისმიერ პირს; კანონიერ წარმომადგენელს უნდა ეცნობოს ბავშვის დაკავების და ადგილსამყოფელის თაობაზე, ასევე დაკავების მიზეზი და ის უფლებები, რაც აქვს ბავშვს;
- თუ, კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირება ვერ ხერხდება, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები ატყობინებენ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენლს, იმ მიზნით, რომ განისაზღვროს საპროცესო წარმომადგენელი;
- არასრულწლოვნის დაკავების შემდეგ შეძლებისდაგვარად მალე, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, უნდა წარდგენს მოსამართლის წინაშე, რომელმაც უნდა მიიღოს გადაწყვეტილება აღკვეთი ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

*<u>ლ) ბავშვის გამოკითხვა და დაკითხვა</u>*

ბავშვი შეიძლება გამოიკითხოს/დაიკითხოს, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია.



ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვა მისი კანონიერი ან საპროცესო წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით ტარდება. არასრულწლოვანი მოწმე, სარგებლობს სავალდებულო დაცვის უფლებით მხოლოდ განსაზღრულ შემთხვევებში.

ბავშვს, უშუალოდ ან კანონიერი წარმომადგენლის და ადვოკატის შუამდგომლობით, შეუძლია მოითხოვოს დაკითხვა მაგისტრატ მოსამართლესთან.

ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვას, გამომძიებლის ან პროკურორის გადაწყვეტილებით შესაძლოა დაესწროს ფსიქოლოგი. ფსიქოლოგი აფასებს არასრულწლოვნის საჭიროებებს და გამოკითხვის/დაკითხვის დროს ახორციელებს მის ფსიქოლოგიურ მხარდაჭერას. თუ არასრულწლოვანი არის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე გამოსაკითხი პირი/მოწმე ან მსხვერპლი, მისი გამოკითხვისას/დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო ან ვიდეოჩაწერა.

14 წლამდე ასაკის ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და თანდასწრებით. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება დააზუსტოს ბავშვისთვის დასმული შეკითხვა. 14 წლამდე ასაკის გამოსაკითხ პირს/მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

ბავშვის გამოკითხვა/დაკითხვის დროს უნდა იყოს შესაბამისი ინტერვალები შესვენებისთვის. ამ კუთხით, გათვალისწინებული უნდა იყოს ბავშვის ასაკი, განვითარების დონე და სხვა გარემოებები. თუ ბავშვი არის სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის საქმეზე მოწმე ან დაზარალებული, დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს.

ბავშვი შეიძლება გამოიკითხოს/დაიკითხოს მხოლოდ 08.00 საათიდან 22:00 საათამდე. სხვა დროს მასთან კომუნიკაცია აკრძალულია კანონმდებლობით. ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვებითა და სასმელი წყლით არანაკლებ ყოველ 4 საათში ერთხელ, 08:00 საათიდან 22:00 საათამდე, აგრეთვე საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით.

პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის ან არასრულწლოვანი დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს დადგენილებით აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს.

ოჯახურ დანაშაულთან, ქალთა მიმართ ძალადობასთან ან/და ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი გამოსაკითხი პირის/მოწმის და არასრულწლოვანი დაზარალებულის გამოკითხვა/დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას და არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში სოციალური მუშაკის მიერ არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა/დაკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანდასწრებით.